ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის ისტორიიდან

„აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“
გამომცემლობა
ქუთაისი - 2019

წინამდებარე ნაშრომში შესულია სტატიები, რომლებშიც ბევრი სიახლე და საყურადღებო მოვლენებია აღწერილი. აღნიშნულ სტატიებში საინტერესო მასალაა მოცემული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულის შესახებ. სტატიებში XIX -XX საუკუნეების მღელვარე და მჩქეფარე ისტორიული მოვლენები. ზოგიერთი პროცესი კი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მან მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. სტატიები ეხება სხვადასხვა საკითხებს, კერძოდ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას აჭარაში, ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების მეტად ნაყოფიერ საქმიანობას, მეოცე საუკუნის დასაწყისის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას ბათუმის ოლქში, ბათუმის თვითმმართველობის ისტორიას, ფრანგების მოღვაწეობას ამ მხარეში (ფრანგების საქმიანობა საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობია და მკითხველი ბევრ საინტერესო ამბებს გაიგებს ამასთან დაკავშირებით), გერმანელების ცხოვრებას აჭარაში (ეს საკითხი პირველად არის განხილული), 1920-1921 წლების უაღრესად მღელვარე პროცესებს, სამართლებრივ მდგომარეობას აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ანტისაბჭოთა მოძრაობის ბევრ უცნობ ფურცლებს 1922-1924 წლებში, ბათუმში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეების კულტურულ მდგომარეობას და სხვა.

ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი ჯემალ კარალიძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი სულხან კუპრაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი თამაზ ფუტკარაძე

ISBN 978-9941-484-23-0

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ბათუმის ოლქში

ცარიზმი მტკიცედ ატარებდა ნაციონალურ-კოლონიურ პოლიტიკას აჭარაში. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა მუდამ ცდილობდა გაეთიშა მცირე ერები ერთმანეთისაგან და ამ გათიშული ერების ასიმილაცია მოეხდინა[1]. დიდმპყრობელური პოლიტიკა ხელოვნურად ქმნიდა ისეთ პირობებს, რომ პატარა ერებს დავიწყებოდა თავისი წარსული. უპირველეს ყოვლისა, იგი არწმუნებდა აჭარლებს, რომ მას არაფერი საერთო არ აქვს ქართველობასთან. მეფის მთავრობის მოხელეები ჩასჩიჩინებდნენ მოსახლეობას, რომ ქართული კულტურა მისთვის უცხოა. ცარიზმმა განდევნა ქართული ენა სკოლებიდან, სასამართლოდან, ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან. ამ დაწესებულებაში ხელისუფლებას ჰყავდა ოსმალური ენის მცოდნე თარჯიმნები და ამ უკანასკნელთა საშუალებით ელაპარაკებოდნენ ხალხს. ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობისთვის მშობლიური ენის წართმევა ანტიეროვნული მოქმედება იყო: „ადგილობრივმა მაჰმადიანმა მოსახლეობამ კარგად უნდა იცოდეს რუსული ენა. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა რუსული მათთვის გახდეს ერთადერთი და მშობლიური ენა. ხოლო მთებში, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია ოსმალური გადმონაშთები, აქაც უნდა ვეცადოთ, რომ რუსულმა თანდათან შეავიწროვოს და შემდეგ განდევნოს იგი ხმარებიდან", - აღნიშნავს 1901 წლის ოფიციალურ წერილში კავკასიის მთავარმართებლის სახელზე ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი.

თვითმპყრობელობა არ კმაყოფილდება მარტო ადგილობრივ პრივილიგირებულ ფენებზე დაყრდნობით და იგი ცდილობდა შეექმნა აჭარაში რუსული მოსახლეობის მტკიცე კერები.

ამით ცარიზმს უნდოდა გაეძლიერებინა სამეფო კარის დასაყრდენი საიმედო ელემენტები. მეფის რუსეთს აჭარის სტრატეგიული მნიშვნელობაც არ ავიწყდებოდა და სწორედ ამიტომ აჭარქობულეთში რუსეთისათვის საიმდო მოსახლეობის დამკვიდრებაზე ზრუნავდა. რუსი მემამულეები გაჩნდნენ ქობულეთში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, ბუკნარში, მახინჯაურში და სხვაგან. ამის გარდა წარმოიშვა შიდა გუბერნიებიდან გადმოყვანილ რუს გლეხთა დასახლებული სოფლები. ასეთი სოფლებიდან ყველაზე ადრე სმეკალოვკა შეიქმნა. მანამდე, 1883 წელს საფუძველი ჩაეყარა რუსულ სოფლებს ჭოროხის გაღმა[2], გოროდოკში აძლიერებდნენ რუსების ჩამოსახლებას. არარუსს გოროდოკში უფლება არ ჰქონდა ეყიდა მიწა და სახლი აეშენებინა. მთავრობამ ფართოდ განიზრახა რუსული ახალშენის მოწყობა აჭარის ერთ-ერთ მდიდარ ნაწილში, მურღულის ხეობაში. ამ ხეობაში მკვიდრი მოსახლეობა შედარებით შეძლებულად ცხოვრობდა. მთავრობამ მოინდომა ამ ხეობის მკვიდრთა აყრა და აქ რუსული სოფლების მოწყობა. 1904 წელს ასეთი გეგმა შესასრულებლად მოსვლია ადგილობრივ მოხელეებს, მაგრამ შეშინებიათ ხალხისათვის ბრძანების გამოცხადება, რადგან ეს გამოიწვევდა აჯანყებას. ბრძანების წაკითხვა დაავალეს ქართველ მოხელეს ალექსანდრე აბაზაძეს, რომელსაც ვერ გაუბედია დავალების შესრულება. დავით კლდიაშვილი იგონებს: „ერთი ფეხის გადადგმა გამოიწვევდა, ყოველ ეჭვის გარეშე საშინელ სისხლის ღვრას, დაუსრულებელს, გაუთავებელს, იქნებოდა დიდი მსხვერპლი, შედეგი კი არაფერი. გადმოსახლებულები ამ მთიან ადგილებში ვერ მოეწყობოდნენ და ამოიჟლიტებოდნენ გაბრაზებულ მკვიდრთა ხელით, როგორც იქნა ეს უცნაური განკარგულება გადაიდო". იქაც კი, სადაც იძულებით დაასახლეს რუსის გლეხობა, ჩრდილოეთიდან ჩამოსულებმა ვერ იხეირეს. მაგალითად, ჭოროხის

გაღმა, თხილვანში, ჩამოსახლებული რუსები ბუნებრივ გარემოს ვერ შეეგუენ. მათ არ იცოდნენ სიმინდის მოყვანა, პური კი არ მოდიოდა ნესტიან ადგილებში...

აჭარაში თავისი სურვილითაც მოდიოდნენ დასასახლებლად ფულის მქონე მდიდარი რუსები და ჩალის ფასად ყიდულობდნენ მიწის ნაკვეთებს... 1905 წლისთვის ქობულეთამდე გაჭიმულ რუს მემამულეთა შორის მხოლოდ ერთი ქართველი მიწის მფლობელი- სევასტი ჭელიძე ყოფილა, რომელსაც პატარა აგარაკი ჰქონია გაშენებული. რუსი მემამულეები შეეცადნენ ჭელიძის გაძევებას, მაგრამ იგი მეტად ჯიუტი კაცი ყოფილა, ამოტომ მისი გაძევება ვერ მოუხერხებიათ აგარაკიდან[3].

ხელისუფლება ყოველნაირად ხელს უწყობდა ამ აგრესიულ რუს მემამულეებს და ეს იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენდნენ ხელისუფლებისათვის საიმედო დასაყრდენს. ერთი ბათუმელი რუსი მემამულე წერდა: „როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი რუსული კულტურისა და რუსული მოქალაქეობის დანერგვის ინტერესების შესაბამისად ერთიღა დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ ბათუმის დანარჩენი ნაწილიც გადავიდეს რუსეთიდან გადმოსახლებულთა ხელში, რადგანაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაამტკიცეს თავისი სრული უუნაროება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჯეროვნად გამოეყენებინათ მათ განკარგულებაში მყოფი ოლქის სანაპირო ნაწილი".ასეთ რუს მემამულე მოახალშენეებზე ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა. ერთის მხრივ, ეს მოსახლეობა ხელს უწყობდა გარუსების დანერგვის პოლიტიკას ადგილობრივ და მეორე მხრივ, მეფის რეჟიმს იგივე მოსახლეობა უზრუნველყოფდა სტრატეგიულ თავდაცვას, რადგან ამით საიმედო დასაყრდენი ბაზაც მტკიცდებოდა.

ეთნიკურ თავდაცვით საკითხს ხელისუფლება განსაკუთ-

რებულ ყურადღებას აქცევდა, ეს დასტურდება კავკასიის მთავარმართებლის მიმართვიდანაც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის სახელზე, რომელშიც მითითებულია: „როგორც უმაღლესი მთავრობა, ისე ადგილობრივი ადმინისტრაცია დღიდან რუსეთის ბატონობის დამკვიდრებისა კავკასიაში, მუდამ ზრუნავდა დაპყრობილი მხარის კოლონიზაციაზე და ამ ამოცანის განსახორციელებლად ხელს უწყობდა ამ მხარეში ნამსახურევი ჯარისკაცების დასახლებას, რომ ამით შეექმნა სტრატეგიული ადგილები, ხელისუფლება აქაც განაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბათუმის სამხრეთით ზღვის სანაპირო ზოლს, ოსმალთა საზღვრამდე რუსეთიდან გადასახლების საკითხს. აგრეთვე ამას აქვს არა მარტო კულტურული მნიშვნელობა, არამდ პოლიტიკურიც, რადგან იგი უშუალოდ ეხება ოსმალეთის იმპერიას. ადგილობრივი მოსახლეობა ამჟამადაც თავის ერთმორწმუნეთა გავლენაში იმყოფებიან, რაც სახელმწიფო ინტერესების მხრივ სრულიად არაა სასურველი"[4].

აჭარის და საერთოდ კავკასიის შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის შესახებ შესანიშნავ მასალას გვაწვდის პეტერბურგელი პროფესორი ფ. პასტერნაცკი თავის წიგნში: „კავკასია-შავიზღვისპირეთის სანაპიროს ციებ ცხელების შესახებ", რომელიც გამოვიდა 1900 წელს. მან ორჯერ (1898-1899) იმოგზაურა შავიზღვისპირეთში და იმპერიის მთავრობას წარუდგინა მოხსენებითი ბარათი კავკასიის შავიზღვისპირეთის კოლონიზაციაზე. ის წერდა: „როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანს ამ სანაპიროზე მოხდა ისეთი მოვლენები, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა დამოკიდებულება ამ მხარისადმი და მიიღო ახალი მიმართულება ამ მხარესთან მიმართებაში. ის ჩართული იქნა იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ამ მხარეში გადავასახლოთ რუსი ადამიანები, რომელთაც უნდა გამოეყოს

მოწის დიდი ნაკვეთები, აგრეთვე ის მიწებიც, რომლებიც აქ დატოვეს ტუზემცებმა და ჩერქეზებმა". შემდეგ ავტორი განაგრძობს: „შავი ზღვის სანაპიროებზე ჩვენ ათასი წლის წინათ მივიღეთ საჩუქრად ჩვენი სულიერი კულტურის ძვირფასი საგანძური. შავი ზღვის სანაპიროებისაკენ იყო მიმართული რუსული სახელმწიფოებრიობის მთელი ძალისხმევა. ამ ზღვის დაუფლებით, როგორც მას უწოდებს ბისმარკი - რუსული ტბა , ჩვენ გვეხსნება ხელ-ფეხი აღმოსავლეთისაკენ და ეს არის ჩვენი უდიდესი პოლიტიკური ამოცანის გადაჭრა. აღმოსავლეთის სანაპიროს დაპყრობა იმითაც არის საუკეთესო რუსული სახელმწიფოებრიობისათვის, რომ ეს არის საუკეთესო ეკონომიკური გზა აზიიდან ევროპისაკენ, სადაც მიმდინარეობს მსოფლიო საქონლის გაცვლა და სადაც უნდა მოხდეს სავაჭრო პოლიტიკური დაახლოვება ინდოეთთან და შორეულ აღმოსავლეთთან. შავი ზღვის სანაპიროებისაკენ უნდა იყოს მიმართული რუსეთის იმპერიის მთელი ძლისხმევა, რათა გადავაქციოთ ეს ზღვა რუსული ცხოვრების ქვაკუთხედად, მრეწველობის განვითარების ძირითად ბაზად და რუსი ხალხის კეთილდღეობის წყაროდ"[5]. როგორც ვხედავთ, ჩინებულად არის გადმოცემული ის მიზნები, რაც ამოძრავებდა ცარიზმს კავკასიის შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის საქმეში.

მეფის რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების რუსიფიკაციის ერთ-ერთ საშუალებას რუსული სკოლა წარმოადგენდა. თვითმყრობელობის კოლონიური პოლიტიკის გატარების მეთოდი აჭარა-ქობულეთში ისეთი უხეში იყო, რომ მოსახლეობამ უარყო რუსული სკოლა. ეს გარემოება აწუხებდა ხელისუფლებას და გამოსავალს ეძებდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი თავის 1903 წლის საანგარიშო მოხსენებაში შემდეგს წერდა:

„ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ზნეობრივ მდგომარეობაში არავითარ საგრძნობ ცვლილებებს არა აქვს ადგილი. კულტურის გავლენა დანაშაულობათა შემცირებაზედ ჯერ მცირედ შესამჩნევია, რადგან ოლქში რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი გამტარებელი რუსული სკოლები მცირე რაოდენობისაა, ჯამეებთან არსებულ სკოლებს ე.წ „მედრესეებს", რომლის რაოდენობა უდრის 257 ერთეულს, ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობის ცხოვრებაში აქვს რელიგიური ფანატიზმის დაცვის უნარი და ყველა კერძო არა მუსულმანური კულტურის გავლენისაგან განკერძოვების ტენდენცია. ამ სკოლებში სწავლა მისაწვდენია თითოეული მთიელი ბავშვისთვის, რადგანაც იგი იწვევს მეტად უმნიშვნელო ხარჯებს და ასეთი სკოლები ყველა სოფელშია. ამ სკოლების დამღუპველ გავლენასთან ბრძოლა აუცილებელია სამინისტრო დაწყებითი სკოლების გახსნის საშუალებით. ამ სკოლების გახსნა ხაზინის ხარჯზეა საჭირო, რადგან მოსახლეობას არა აქვს შეგნებული მათი მნიშვნელობა და რადგანაც მაჰმადიანური სამღვდელოების ზეგავლენით იგი უყურებს ამ საქმეს მტრულად. ამჟამად არსებულრუსულ სასწავლებელში მაჰმადიანთა შვილები ნაკლებად შემოდიან. სამინისტროს სკოლებში ამჟამად მყოფი აჭარელთა მოსწავლე-ახალგაზრდობა დაკომპლექტებულია უმთავრესად მცველთა და სხვა მოსამსახურეთა ბავშვებით"... აღნიშნავს რა ასეთ მდგომარეობას, გუბერნატორი სახავს ღონისძიებებს თუ როგორი საშუალებით იქნება შესაძლებელი აჭარელი ბავშვების მოზიდვა რუსულ სკოლებში. იგი ფიქრობს, რომ ამისთვის ჯერ საჭიროა დაველოდოთ შესაფერი დროს და ამასთანავე, მანამდე კი აუცილებელია, რომ პირველკურსდამთავრებულებს მისცენ პრივილეგიები, ხელფასიანი ადგილები მამასახლისების, მწერლის და პოლიციის სამსახურში მცველების თანამდებობაზედ.

გუბერნატორის აზრით, ეს გამოიწვევს შურს სხვებში, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებით მიისწრაფვის საპატიო ადგილებისაკენ, რაც დაკავშირებულია იარაღის ტარების უფლებასთან და მატერიალურ სარგებლობასთან. გუბერნატორის აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ადგილობრივი მუსულმანი ბავშვებით რუსული სკოლების შევსება[5].

მეფის მთავრობა ძირითადად რუსთა მოსახლეობისთვის და პრივილეგიური ფენებისათვის ხსნიდა სკოლებს. მაგალითად, მთავრობამ გახსნა ორკლასიანი ნორმალური სკოლები ქობულეთში 1896 წელს, ხულოში - 1897 წელს, ქედაში -1903 წელს, გახსნეს აგრეთვე ერთკლასიანი სკოლები კვირიკეში (1904 წელს), ორთა ბათუმში (1907 წელს), მარადიდში (1909წ).

მეფის მთავრობა რუსი ჩინოვნიკების შვილებისათვის საკმაო რაოდენობით გახსნა ბათუმში რუსული სკოლები. სამხედრო გუბერნატორი თავის მოხსენებაში შემდეგს წერდა: ,,სხვა მიმართულება ჩანს ქალაქის მოსახლეობაში, რომელიც წარმოადგენს ხალხთა დიდ სიჭრელეს. ქალაქის მოსახლეობის სკოლისადმი შეგნებული დამოკიდებულობის საუკეთესო საზომს წარმოადგენს ის გარემოება, რომ რუსეთის 25 წლის ბატონობის განმავლობაში, ბათუმში 20 სასწავლებელი წარმოიშვა, რომელთა რიგში ვაჟთა კლასიკური გიმნაზია და აგრეთვე ქალთა გიმნაზიაა. მიუხედავად ამისა ეს სასწავლებლები არაა საკმარისი და სწავლის მსურველთა უმეტესობა იძულებულია სხვა ქალაქების სასწავლებლებში შევიდნენ". მართლაც, ქალაქის რუსულ სკოლათა შორის პირველი ადგილი ეკავა ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიას, რომლის შენობის აგება 1897 წელს დაიწყეს ზღვის პირას. 1910 წელს აქ სწავლობდა სულ 409 მოსწავლე, ხოლო 1913 წელს 500 მოსწავლე. ეროვნული შემადგენლობის მხრივ რუს მოსწავლეთა რიცხვი 1910 წელს 133 იყო, ხოლო რუსული ორიენტაციის

ქართველთა კი 125, აქედან მუსულმანთა რიცხვი 15 მოწაფით განისაზღვრებოდა, მაგრამ ოფიციალური ფურცლიდან არ ჩანს, თუ რამდენი იყო მათ შორის ქართველი მაჰმადიანი. ასევე აღსანიშნავია ქალთა გიმნაზია, სახელოსნო სასწავლებელი, გოგოლის სახელობის სკოლა, ბერძნული სკოლა, რკინიგზის ნორმალური სკოლ და ა.შ.[7]

მეფის დროინდელი სკოლა მიზნად ისახავდა თვითმპყრობელური რეჟიმისადმი მონური სულისკვეთებით გაჟღენთილი თაობის აღზრდას. ცარიზმის ბველი სკოლა ემსახურებოდა რუსეთისადმი ერთგულების ჩანერგვას, იგი თესდა ეროვნებებს შორის შუღლს და მტრობას, უხშობდა ახალ თაობას ეროვნული თვითშეგნების განვითარებას, ამ სკოლებს უნდა გაეტარებინათ რუსიფიკატორული პოლიტიკა მოსახლეობაში.

დავით კლდიაშვილი იგონებდა ადგილობრივ მოსახლეობას: „რუსობას უნერგავდა გულმოდგინედ ოლქის მზრუნველი ზავადსკი, ცნობილი იანოვსკის ნაცვალი. ასეთ ინციდენტს ჰქონდა ადგილი ბათუმში მისი ერთ-ერთ ჩამოსვლის დროს. ბათუმის საქალაქო სასწავლებლის ერთ კლასში მან მოიხმო მოწაფე და შეეკითხა თუ ვინ იყო ის, როდესაც მოსწავლემ უთხრა მისი ვინაობა, ზავადსკი გაბრაზდა და აიძულა მოსწავლე გაემეორებინა მასთან ერთად, რომ ის იყო რუსი. ამ გზით „აძლიერებდნენ" მეფის რუსეთს"[8].

მეფის რუსეთი ცდილობდა ქართული ენა საფუძვლიანად ამოეძირკვა სკოლებიდანაც. განსაკუთრებით ის იმისთვის იბრძოდა, რომ მაჰმადიანი ქართველებისათვის ქართული ენა უცხო ყოფილიყო. მთელი მისი მცდელობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის რუსული ენა გამხდარიყო ერთადერთი სასაუბრო ენა.

ცარიზმი ავიწროვებდა აგრეთვე პროგრესულად მოაზროვნე ქართველ პედაგოგებს, რომლებიც ეროვნულ სულს აღვივებდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში. შოვინისტური ძალისხმევა მიმართული იყო სწორედ ასეთ ეროვნულ ნიადაგზე მდგარი მასწავლებლების წინააღმდეგ. ცარიზმის ჩინოვნიკების შეფასებით ქართველი პედაგოგები „უბნელებდნენ მოსწავლეებს გონებას, არასწორი მიმართულებით მიჰყავდათ მათი აღზრდის საქმე, უნერგავდნენ ქართულ ნაციონალიზმს!"

აი, როგორი ხასიათის წერილი გაუგზავნა ბათუმის ოლქიდან კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ადგილობრივმა გუბერნატორმა. წერილი ეხებოდა ქართველ პედაგოგს მირიან რამიშვილს, რომლის დანიშვნა თურმე ბათუმის ოლქის სკოლაში ყოვლად მიუღებლად ჩათვალეს. წერილში ხაზგასმულია: „მე იძულებული ვარ გთხოვოთ მიაქციოთ ყურადღება ბათუმის ოლქში სკოლების ისედაც შემცირებულ რაოდენობას... ადგილობრივი მოსახლეობა რელიგიური შეხედულებების გამო ირიბად უყურებს რუსულ კოლებს და ასეთ სკოლებში მასწავლებლად ქართველების დანიშვნა და თანაც ისეთების, პოლიტიკურად არასაიმედო, ნამდვილად არასასიამოვნოა. ამას ისიც ემატება, რომ ქართველი პედაგოგები ყოველ ღონეს ხმარობენ გაავრცელონ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები მაჰმადიანებზე და მათში შეიტანონ ქართული წიგნიერება. ვიმეორებ „ქართული წიგნიერება"[9]. შემდეგ გუბერნატორი განაგრძობს, რომ „ ქართველებს არა თუ შეუძლია სასკოლო ქსელის გაზრდა ოლქში, არამედ თავისი საქმიანობით მუსულმანების თვალში ამცირებენ სკოლის მნიშვნელობას და ამიტომ ქართველები არ უნდა იქნან დაშვებული სკოლებში პედაგოგებად, ეს სახიფათოა როგორც პოლიტიკურად, ასევე ზნეობრივად. უნდა ვეცადოდ პედაგოგებად იყოს მხოლოდ და მხოლოდ რუსები იმისათვის,

რომ მძლავრი ტემპით დაიწყოს ოლქის სკოლებში რუსიფიკაციის პროცესი". ამისათვის კი აუცილებელია - როგორც ამას მიუთითებდა გუბერნატორი - რუსული სკოლების მასიური გახსნა. საჭიროა იმუშაონ პედაგოგებად რუსებმა,სომხებმა და თუგინდც მუსულმანებმაც, გარდა ქართველებისა, რომლებმაც კარგად იციან რუსული ენა. ამით ეს მხარე (ბათუმის ოლქი) კიდევ უფრო შეეზრდება რუსულ- ნაციონალურ კულტურას"[10].

შავრაზმელები, რომლებიც მოკალათდნენ განათლების სფეროში, კარებს ურაზავდნენ პროგრესულ იდეებს, აბუჩად იგდებდნენ ხალხის ზნე-ჩვეულებებს, იძულების წესით ნერგავდნენ მათთვის უცხო ტრადიციებს[11].

საყურადღებოა ერთი გარემოება, რომელიც შესამჩნევი გახდა რუსეთის კოლონიზაციის დროიდან, კერძოდ იმპერიას თავი არ შეუწუხებია მედრესეების ან სხვა რომელიმე ოსმალური დაწესებულებების შესამცირებლად. პირიქით, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, რუსეთის მმართველობის დროს კიდევ უფრო გაიზარდა მედრესეების რიცხვი.[12]

განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება 1910 წლისათვის, როდესაც დღის წესრიგში დადგა მოსახლეობის **სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის საკითხი.** ამ დროისათვის ბათუმის ოლქში ცხოვრობდა 57 637 კაცი, უმრავლესობა მუსულმანი ქართველბი, ქურთები და ხემშილები იყვნენ. მთელი გასაწვევი მოსახლეობა შეადგენდა 35%-ს, აქედან გამომდინარე ყოველ წლიურად გაწვეული უნდა ყოფილიყო სულ 364 კაცი. ამდენი რაოდენობის კაცის გამოყვანა შეუძლებელი იყო, რადგან მაჰმადიანი მოსახლეობა ძნელად თუ შეეგუებოდა ჯარის პირობებს. საიმპერიო ხელისუფლებას სურდა მოეხდინა გაწვევა, რადგან მათი შეფასებით მოსახლეობის ჯარში გაწვევა გამოიწვევდა ადგილობრივი მაჰმადანების მასიურად აყრას თავისი

მკვიდრი ადგილიდან და გაქცევას ოსმალეთში და აქ კი უნდა განხორციელებულიყო ცარიზმის გეგმა, კერძოდ, რუსული მოსახლეობის მასიურად ჩამოსახლება და იმპერიისათვის არასასურველი ელემენტების თავიდან მოშორება.

აი, რაში მდგომარეობდა სამხერო რეფორმის ძირითადი შინაარსი და მიზანი: „В связи с русским заселением этого района скорее осуществитвится наша государственная задача во всем этом богатейшем районе. И для нас будет благоприятна последствие массово ухода инородцев из области".[13]

„აჭარიდან ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივ წასვლას უნდა მივესალმოთ",- ასეთი იყო ამ ღონისძიების ძირითადი შინაარსი. მეფის მთავრობა თუ შეძლებდა ამ გეგმის განხორციელებას, დიდად კმაყოფილი დარჩებოდა, რადგან მას საშუალება ეძლეოდა აჭარის ნოყიერ მიწაზე ჩამოსულები დაესახლებინა, რაც ხელს შეუწყობდა ამ მხარის რუსიფიკაციას. იმპერიის მესვეურები ვარაუდობდნენ, რომ: „Ведение всеобшей повинности... вызовет бегство и муходжирование болышинства населения и вероятно всего мужсково населения призывного возраста".[14]

მიუხედავად ამ ვერაგული ჩანაფიქრისა, ცარიზმმა ვერ შეძლო სამხედრო რეფორმის ბოლომდე განხორციელება, რადგან ამ რეფორმას 1911 წლის თებერვალში მოჰყვა ხალხის მღელვარება და იმპერიის მესვეურები იძულებულნი გახდნენ ის შეეწყვიტათ.

ამრიგად, აშკარაა, რომ მეფის რუსეთი აჭარას ინკორპორაციისთვის იყენებდა ადგილზე რუსეთს მოახალშენეთა დიდი მასის ჩასახლებას- რუსული სოფლების შექმნას, სასკოლო პოლიტიკას და სამხედრო რეფორმასაც კი , რომ აჭარა მტკიცე ღვედებით დაეკავშირებინათ იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებთან და ამოეშანთათ ყოველი ქართული, ტრადიციული.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1.რ.კოჭლამაზიშვილი, საქართველოს გლეხური მეურნეობათა სოციალურ-ეკონომიური ხასიათი, თბილისი,1975,გვ 25.

2.აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით აცსა), ფ.1, აღწ. 1, საქ. 410,ფურც.20.

3.იქვე ფურც.26.

4.იქვე ფურც.41.

5.აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №283, გვ.179.

6.აცსა, ფ.1,აღწ.1,საქ. 426, ფურც.11.

7.იქვე ფურც.19.

8.დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ,1984, გვ. 40.

9.აცსა, ფ.1,აღწ.1, საქ.426, ფურც 29.

10.იქვე, ფურც.37.

11.აქვე, ფურც.59.

12.აცსა,ფ.1,აღწ.1, საქ 431, ფურც.3.

13.იქვე , ფურც.8

14.იქვე, ფურც.16.

About Some Aspects of Tsarist Colonial Policy in Batumi Region

Summary

Russian Tsarist regime steadily led its national-colonial policy in Adjara. The Tsarist colonial policy always tried to isolate the small nations from each other and then to make their assimilation. The invading policy of Russia artificially created the conditions for small nations to forget their past. First of all, this policy persuaded the Adjarians that they had nothing in common with Georgians. The officials of the Tsarist government constantly told the people that the Georgian culture was

strange for them. The Tsarist policy banished The Georgian language from schools, court, administrative institutions. The government officials spoke to the people by the help of interpreters of the Turkish language. To restrict the native language for the Muslim Georgians was an anti-national step: the local Muslim population must know the Russian language very well\. We must do our best to make Russian the only native language for them, and in the mountainous regions, where the Ottoman remains are still strong, we should try that Russian could oppress and gradually abolish its usage" – one of the military governor of Batumi region mentions in his official letter to the Chief Governor of the Caucasus in 1901.

ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მოღვაწეობა ბათუმის ოლქში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში

რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიპყრო მთელი კავკასია. დაიწყო რუსული კოლონიური პოლიტიკის გატარება. ეს ძირითადად ნიშნავდა დაპყრობილი ხალხების ასიმილაციას. იმპერიის მიერ დაპყრობილ მუსლიმანურ რეგიონებში, შეუდგნენ რუსული მართლმადიდებლური სამისიონერო პოლიტიკის განხორციელებას.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, გაერთიანებულმა რუს-ქართველთა ჯარმა, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერითა და ხელშეწყობით, შეძლო აჭარის თურქეთის ხანგძლივი ბატონობისაგან განთავისუფლება და დედა-სამშობლოსთან მისი დაბრუნება. ახალშემოერთებული კუთხე და მისი მოსახლეობა მაშინვე მოექცა რუსული ეკლესიის, კერძოდ კი „კავკასიაში ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენი საზოგადოების" ყურადღების ცენტრში. აღსანიშნავია ერთი ფაქტი. კერძოდ, როდესაც რუს-ქართველთა გაერთიანებული ჯარი ბათუმში შემოვიდა, მას თან ახლდნენ როგორც რუსი, ასევე ქართველი ეროვნების საეკლესიო მოღვაწეები. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ქართველი საეკლესიო მოღვაწე დავით დუმბაძე. ბათუმში საზეიმოდ შემოსულ ჯარს საეკლესიო ზარების გუგუნით მიეგება წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია და ამ ეკლესიის მრევლი. ეს იყო პირველი შემთხვევა ზარების რეკვისა, რადგან ადრე თურქები არ აძლევდნენ უფლებას ეკლესიებს ზარების დარეკვისა. ამ მოვლენის აღსანიშნავად ბათუმ-

ში გაიმართა საზეიმო ბანკეტი, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც საერო, ასევე საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლები. ამ ბანკეტზე სიტყვით გამოვიდა, ბერძნული ეკლესიის წინამძღვარი ალექსი და დიდი შეფასება მისცა ამ ისტორიულ მოვლენას. ამასთან, მან დიდი სიყვარულით მოიხსენია დავით დუმბაძე, რომელიც მანამდე რამოდენიმეჯერ იყო ბათუმში სამოქალაქო პიროვნების რანგში ნამყოფი. იგი ხვდებოდა ბერძნული და ბათუმში არსებული სხვა ეკლესიების წარმომადგენლებს და გებულობდა ბათუმში შექმნილ ვითარებას. ასევე, იგი ინტერესდებოდა ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობით, ხვდებოდა ბათუმელ ქრისტიანებს და მათ ანუგეშებდა, ეუბნებოდა, რომ მალე ეს მხარე განთავისუფლდებოდა თურქთა ბატონობისაგან. ჩვენ ვიცოდით, რომ – განაგრძობს ალექსი – დავით დუმბაძე ქრისტიანული სამისიონერო საზოგადოების წევრი იყო და მას ვაწვდიდით ინფორმაციებს ქრისტიანთა მდგომარეობის შესახებ. ალექსიმ თქვა, რომ ის დიდად მადლობელი იქნებოდა თუ მღვდელი დავით დუმბაძე, სხვებთან ერთად დაჯილდოვდებოდა მედლით იმ თავდადებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ამ დიდი ისტორიული მოვლენის განხორციელების საქმეში.[1]

საინტერესოა ერთი ინფორმაცია, რომელსაც ახლადშემოერთებული მხარიდან მიაწოდეს რუსეთის იმპერიის წმინდა სინოდს. მოხსენება ეკუთვნის ბათუმში მოღვაწე საეკლესიო პირს ვლადისლავ მალცევს. იგი დათარიღებულია 1879 წლის 18 აგვისტოთ. ეს მალცევი რუსეთის ჯარს შემოყოლია 1878 წლის 25 აგვისტოს და ქალაქში დარჩენილა, რათა შეესწავლა

---

[1].Государственный исторический архив в Санкт-Петербурге (В сокращении ГИА СП), (Фонд Русско-Турецкая война 1877-1878 г.г.), фонд 2011, опис 14, дело 1123, листок 19-26

მდგომარეობა და ეცნობებინა იმპერიის ცენტრისათვის. მალცევი წერს: „ბათუმი განთავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან. მეორე წელია უკვე რაც ამ ქალაქში ვიმყოფები და შევძელი ამ ხნის განმავლობაში ქალაქის შესწავლა. ბათუმში რამდენიმე ქრისტიანული ტაძარია, რომელთა შორის აღსანიშნავია წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, სომხური გრიგორიანული ეკლესია. ასევე დაიწყეს კიდევ ეკლესიების მშენებლობა. ამჟამად თითქმის დამთავრების პირასაა მისული კაზაკ პლასტუნთა ეკლესია, სამხედრო შტაბის ტერიტორიაზე მშენებარე ეკლესია. უნდა ითქვას, რომ ქრისტიანები თურქთა ბატონობის პერიოდში შევიწროვებულ მდგომარეობაში იყვნენ და ეს განპირობებული იყო რუსეთთან მომავალი ომით... ამჟამად მიმდინარეობს ადგილობრივი მაჰმადიანების თურქეთში მასიური გადასახლება და სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ამ გადასახლებას გაგებით ეკიდებიან ადგილობრივი ბათუმელი ჩინოვნიკები. ეს კი ქმნის იმის საშუალებას, რომ უნდა შევძლოთ ამ მხარეში რუსეთიდან რაც შეიძლება მეტი ხალხის გადმოსახლება, რომელიც მოგვცემს საშუალებას ამ მხარეში ქრისტიანული მრწამსის გაძლიერებისათვის. ამისათვის წმინდა სინოდმა არ უნდა დაიშუროს არც თანხები და არც ძალისხმევა. კარგი იქნება თუ ბევრ საეკლესიო მოღვაწეს გამოვგზავნით ამ მხარეში სამოღვაწეოდ. ქრისტიანული სამისიონერო საზოგადოებების საქმიანობა სწორედ ამ მიმართულებით უნდა იქნას წარმართული და მას ამ საქმეში წმინდა სინოდმა დიდად უნდა შეუწყოს ხელი. ასევე მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ყოველ გადმოსახლებულ მოახალშეებს რაოდენობისდა მიხედვით თან წამოჰყვეს საეკლესიო პირები. ეს უნდა გაკეთდეს

არა მარტო ბათუმში, არამედ მთელ ბათუმის მხარეში, საიდანაც მაჰმადიანები წავიდნენ თურქეთში. იმედს გამოვთქვამ, რომ წმინდა სინოდი და ქრისტიანული სამისიონერო საზოგადოებები ყველაფერს გააკეთებენ ამ მხარის ქრისტიანულ მრწამსზე მოსაქცევად. ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობა ყოველნაირად გვიწყობა ხელს... რაც შეეხება ქართველთა მონდომებას, რომ ამ მხარეში ქართული მართლმადიდებლობა გაბატონდეს, ეს ჩვენთვის არ არის მისაღები და მათ ამაში ხელი უნდა შეეშალოს, რადგან ქართველები ნაციონალისტები არიან და ისინი დაიწყებენ ამ ახალშემოერთებულ მხარეში ნაციონალისტური იდეების ქადაგებას და ეს კი ჩვენთვის სახიფათოა. იმედია, რომ მოკლე ხანში ყველაფერი გაკეთდება ამ მხარეში, რათა რუსული მართლმადიდებლობა გაძლიერდეს და განმტკიცდეს".[2] ამ მოხსენებაში შესანიშნავადაა მოცემული ის დამპყრობლური მიზნები, რომელიც ამოძრავებდა რუსულ იმპერიულ სახელმწიფო მანქანას და მის ხელშემწყობ რუსულ ეკლესიას.

1882 წელს ბათუმში რუსეთიდან ჩამოვიდა 200-მდე მოახალშენე. ისინი დაასახლეს ბათუმთან ახლოს მდებარე მიწებზე. ამ ჩამოსულებს თან ახლდა რამდენიმე მღვდელი. საყურადღებოა ერთი ინფორმაცია, რომელიც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მიუვიდა 1883 წლის 12 თებერვალს: „ბათუმელი მოახალშენეები გთხოვთ დაგვეხმაროთ ეკლესიის მშენებლობის დასამთავრებლად თანხების მოზიდვაში. ჩვენ დავიწყეთ და თითქმის დამთავრების პირასაა მისული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. დაგვჩა ცოტა რამ სამუშაოები,

[2].ГИАСП, там же, листок 55-59

მაგრამ თანხა ამისათვის საკმარისი არა გვაქვს. ჩვენი მოძღვარი მამა ივანე ყველაფერს აკეთებს რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს ეკლესიის მშენებლობა და რუს მოსახლეობას, რომელიც არც თუ ისე ცოტანი არიან, შესაძლებლობა მიეცეს თავის ეკლესიაში ილოცონ. თან ჩვენ ავითვისეთ ის მიწები, რომლებიც ცარიელი იყო. ასევე შევატყობინეთ ჩვენს ახლობლებსა და ნაცნობებს რუსეთში რაც შეიძლება სწრაფად გადმოსახლდნენ ამ მხარეში."[3]. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ამ წერილს ასეთი რეზოლუცია დაადო: „დაუყონებლივ გამოჰყავით თანხები ეკლესიის დასამთავრებლად და მოსახლეობის კანონიერი თხოვნის დასაკმაყოფილებლად. იცოდეთ, თუ დროზე არ დამთავრდება ამ ეკლესიის მშენებლობა, ყველანი ამისათვის აგებთ პასუხს. ასევე შეისწავლეთ თავისუფალი მიწების რაოდენობა, რათა ზუსტად შევძლოთ ახალი ნაკადის ჩამოყვანა და დასახლება".[4] ამ რეზოლუციის შესრულება დაევალა ბათუმის ოლქის გუბერნატორის მოადგილეს, კანცელარიის თანამშრომლებს ნიკოლაევს, დავიდოვსა და პოლიკარპოვს, რომელიც განაგებდა რუსეთიდან ჩამოსახლებული ხალხის თავისუფალ მიწებზე დასახლებას.

1887 წლის იანვარში ბათუმში ჩამოვიდნენ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების" წევრები პეტრე ბიკოვი, ხარიტონ ნიკიტინი, დიმიტრი ბოროვსკი, მათ თან ახლდნენ ქართველი საეკლესიო მოღვაწეები გრიგოლ სირაძე და გიორგი რამიშვილი. მათ შეისწავლეს ბათუმსა და მასთან ახლო მდებარე ტერიტორიებზე ქრისტიანული სარწმუნოების

---

[3]. ГИАСП, (Фонд Кавказ 80-90-е годы XIX в.), ф. 1089, о. 10, д. 877, л.201-205
[4].Там же, л.220-223

მდგომარეობა, დაადგინეს თუ რამდენი ქრისტიანი ცხოვრობდა ბათუმში და მის ირგვლივ ტერიტორიაზე, როგორი იყო მათი დამოკიდებულება სხვა, განსაკუთრებით მაჰმადიანური რელიგიის წარმომადგენლებთან, როგორ მიმდინარეობდა ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობა და ა. შ. 1887 წლის 24 დეკემბერს მათ წერილი გაუგზავნეს საზოგადოებას, რომელშიც მიმოხილული იყო ბათუმსა და მის ახლომდებარე ტერიტორიაზე ქრისტიანული რელიგიის მდგომარეობა. ამ წერილში ისინი მიუთითებდნენ, რომ ბათუმში ხმა დაირხა, რომ აქ მომავალ წელს აპირებს ჩამოსვლას რუსეთის იმპერატორი და აქაურ მოსახლეობას აქვს განზრახული მისთვის თხოვნის გადაცემა ბათუმში გრანდიოზული ეკლესიის აშენების თაობაზე.[5]

მართლაც, 1888 წლის სექტემბერში, ბათუმში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე. მას დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. ბათუმის საზოგადოებამ, საეკლესიო მოღვაწეებმა მას გადასცეს თხოვნა იმაზედ, რომ რუსული იარაღის სადიდებლად და რუსული მართლმადიდებლობის გაძლიერება-განსამტკიცებლად, რუსეთის იმპერიის სადიდებლად აქ აშენებულიყო გრანდიოზული ტაძარი, რომელიც იქნებოდა რუსეთის სიმბოლო, მთელ მსოფლიოში რუსული იარაღის ბრწყინვალება და სიძლიერე. რუსეთის იმპერატორმა არა თუ შეისმინა ეს თხოვნა, არამედ აღფრთოვანება გამოხატა ამ თხოვნისადმი და დაპირდა, რომ ის თვითონ აიყვანდა კონტროლზე მას და უახლოეს ხანში მოაგვარებდა ბათუმში ეკლესიის აშენების საკითხს. ეკლესიის მშენებლობა გაგრძელდა რამდე-

---

[5]. Там же, л.230-232

ნიმე წელს (დასრულდა 1906 წელს). ტაძარი აკურთხეს ალექსანდრე ნეველის სახელზე და იგი აშენდა ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის აღსანიშნავად. ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აიკრძალა, ხოლო თვით ტაძარი კი გადაეცა სამხედრო უწყებას.

1888 წელს, საქართველოს ეგზარხოსის პალადის განკარგულებით, ბათუმის ოლქის მაჰმადიან მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების ნაშთების არსებობის გამოსარკვევად, ბათუმ-ართვინის ოკრუგებში იმოგზაურა არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ (მოგვიანებით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი). იგი მოსახლეობაში საინტერესო ფაქტის მოწმე გახდა. პალადის სახელზე დაწერა კიდეც, რომ ბათუმის ოლქის მაჰმადიან მოსახლეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი, მოსახლეობა ჩუმად ლოცულობს, საიდუმლოდ იცავს და ასრულებს შეძლებისდაგვარად ქრისტიანულ დღესასწაულებს, არ ივიწყებს მამა-პაპურ ადათ-წესებსაც. სწორედ ეს გახდება იმის საფუძველი, რომ თუ ჩვენ გონივრულად ვიმუშავებთ, ყველაფერს გავაკეთებთ მიზანმიმართულად და წინდახედულად, არ გამოვიყენებთ დაბალებას, არამედ ვიმუშავებთ დარწმუნების გზით, შევძლებთ ახსნა-განმარტებას და ვისაუბრებთ ჩვენს წარსულზე ჭკვიანურად და დამაჯერებლად, მაშინ დარწმუნებული ვარ, მაჰმადიანი ქართველების მობრუნება თავისი წინაპრების სარწმუნოებაზე არ იქნება ძნელი საქმეო.

ამბროსი ხელაიას მოგზაურობამ დააჩქარა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების" გურია-აჭარის ფილიალის შექმნა 1889 წელს. მას სათავეში ჩაუდგა „განსაკუთრებული კომიტეტი", რომელშიც შევიდნენ: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე ერისთავი, გენერალ-მაიორი

გრიგოლ გურიელი, ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწე ლორთქიფანიძე, არქიმანდრიტი ბენიამინი და ამბროსი, ბათუმის ეკლესიის დეკანოზი სიმონ ქიქოძე და იონა მეუნარგია.

ქართველმა საზოგადოებამ დიდი ინტერესი გამოიჩინა აღნიშნული განყოფილებისადმი. თვლიდნენ, რომ მას უნდა ებრძოლა მაჰმადიანი მოსახლეობის კულტურული აღორძინებისა და ამით ეროვნული ერთიანობის აღდგენა-განმტკიცებისათვის. ამ სურვილს აძლიერებდა ისიც, რომ კომიტეტის შემადგენლობა ქართველებით დაკომლექტდა. ამასთან გრიგოლ გურიელს შემოერთებულ მხარეში დიდი გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდა, ხოლო თავად ამ რეგიონის მოსახლეობა, მაჰმადიანობის მიუხედავად, უაღრესად ტოლერანტულად იყო განწყობილი ქრისტიანობისადმი.

განყოფილების საქმიანობის შესახებ საკმაოდ ნათლად მიგვანიშნებს 1890 წლის 21 თებერვლის სხდომა, რომლის თითქმის ყველა მონაწილემ ამ მიმართულებით სპეციალური ორგანოს დაარსება საჭირო და დროულ საქმედ მიიჩნია. ამავე დროს ისინი ფრთხილ და წინდახედულ მოქმედებას მოითხოვდნენ. მათ არც ის თავისებურება რჩებოდათ გაუთვალისწინებელი, რომ თურქთა მიერ მიტაცებული ქართული რეგიონებიდან აჭარამ ყველაზე კარდაგ შემოინახა და შეინარჩუნა ქართული ენა, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები, მაგრამ ერთბაშად მამაპაპურ რჯულზე დაბრუნება, მაინც ძნელი იქნებოდა, თანაც გაუფრთხილებელ ნაბიჯს შეეძლო საქმე გაერთულებინა. ამიტომ სხდომამ, სავსებით სწორად გადაწყვიტა დროებით უარი ეთქვა სამისიონერო პროგრამის განხორციელებაზე და წინა პლანზე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი წამოეწია. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ სხდო-

მამ დაადგინა, რომ ბათუმისა და ართვინის ოლქებში გაეგზავნათ ორ-ორი წარმომადგენელი (ერთი სასულიერო და ერთი საერო), რომლებიც ადგილზე შეისწავლიდნენ წინასწარ შედგენილი ინსტრუქციის მიხედვით ვითარებას: 1. აღეწერათ ყველა ქრისტიანული ტეგლი, რომელიც სამოღვაწეო ადგილებში იყო და აღერიცხათ ის ეკლესიები, ტაძრები და მონასტრები, რომელთა აღდგენა შეიძლებოდა; 2. მიეთითებინათ ის დასახლებული ადგილები, სადაც შესაძლებელი და აუცილებელი იყო სკოლების გახსნა; 3. განესაზღვრად ის პუნქტები, სადაც მოსახლეობა მისიონერებს კეთილად მიიღებდა; 4. შეესწავლათ თავიანთ სამოღვაწეო რეგიონში თუ რამდენად შემორჩა ძველი ქრისტიანული ადათ-ჩვევები.[6]

ამ დადგენილების საფუძველზე, 1890 წლის ივნის-ივლისში აღნიშნულ ოლქებში იმოგზაურეს ოზურგეთის მაზრის მღვდელმა ექვთიმე თალაკვაძემ და გურია-სამეგრელოს სამისიონერო განყოფილების წევრმა იონა მეუნარგიამ. ჟურნალი „მწყემსი" წერდა, რომ: „ადგილობრივი მოსახლეობა მათ ყველგან სიხარულით ხვდებოდა. ერთ საზოგადოებაში კი იმდენად დიდი პატივი მიაგეს, რომ რადგან ხეირიანი ბინა არ ჰქონდათ, მასპინძლებმა ღამე სტუმრებს მეჩეთში გაათევინეს".[7]

სამისიონერო საზოგადოების საქმიანობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის პეტერბურგელი მწერალი და პუბლიცისტი ნიკოლოზ ლენდერი, რომელიც ორჯერ, 1892 და 1894 წლებში

---

[6]. ვ. წვერავა, აჭარაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიისათვის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის შრომების კრებული „საისტორიო მაცნე", № XI, 2000, გვ. 34

[7]. ვ. წვერავა, დასახელებული სტატია, გვ.35

იმყოფებოდა ბათუმში. ნიკოლოზ ლენდერი აღნიშნავს, რომ ბათუმში და მთლიანად ბათუმის ოლქში მიმდინარეობს რუსული სახელისუფლო სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესი. ეს პროცესი მიმდინარეობს უხეშად. არ ითვალისწინებენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი მაჰმადიანი სასწრაფოდ წავიდეს ბათუმიდან და მისი ოლქიდან. მათ ადგილზე სურთ ჩამოასახლონ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მოსახლეობა და ამით ძლიერი დასაყრდენი შექმნან. ამ პროცესში ჩაბმულია რუსული ეკლესია. ჩემთან საუბარში – განაგრძობს ლენდერი – კაზაკთა პლასტუნთა ბატალიონის ეკლესიის მღვდელმა, მამა ივანე პოტაპოვმა აღნიშნა, რომ ეკლესია ცდილობს ბათუმში და მის ოლქში გაძლიერდეს რუსული მართლმადიდებლური სული და ამ მიზნით ის და ბათუმში არსებული სამისიონერო საზოგადოების წევრები ძალ-ღონეს არ იშურებენ. განსაკუთრებით აქტიურობენ ამ საქმიანობაში რუსეთიდან ბათუმში მოვლენილი საეკლესიო პირები: სერგეი რომანცევი, პეტრე ივანოვი, მირონ ფედოტოვი და სხვები. ისინი ხშირად დადიან ბათუმის უბნებში და მოსახლეობასთან ატარებენ ახსნა-განმარტებით სამუშაოებს. ამის შედეგად ბევრი მოსახლე ჩვენს რელიგიაზე გადმოდის. ასე მაგალითად, კაზაკთა პლასტუნთა ბატალიონის ეკლესიის მრევლს შეემატა ადგილობრივი ქართველები, რომლებიც მოინათლნენ რუსულ მართლმადიდებლურად და ესწრებიან ეკლესიაში გამართულ წირვა-ლოცვებს. ასევე ხდება სხვა ეკლესიებშიც. რაც შეეხება იმას, რომ მუსლიმანები მიდიან მუჰაჯირად თურქეთში აქედან, ამას ჩვენ მივესალმებით, რადგან მათგან გამოთავისუფლებულ ადგილებზე, რუსეთიდან მთავრობას შემოჰყავს დიდძალი მოსახლეობა. ამით კიდევ უფრო გაძლიერდება

რუსული მართლმადიდებლური სული ბათუმის ოლქში და ამასთანავე მთავრობას შეექმნება მყარი პოზიცია. ლენდერი შემდეგ აღნიშნავს, რომ პოტაპოვმა ისიც აღნიშნა, რომ ჩვენს სამისიონერო საქმიანობაში ქართველი საეკლესიო მოღვაწეებიც გვყავს ჩაბმული, მაგრამ მათთან მუშაობაში სიფრთხილეს ვიჩენთ, რადგან ქართველები ნაციონალისტები არიან და მათმა პროპაგანდამ შეიძლება ჩვენს საქმეს ავნოს, თუმცა, ვცდილობთ, კონტროლზე ავიყვანოთ მათი სამისიონერო საქმიანობა. ნიკოლოზ ლენდერი გაკვირვებული აღნიშნავს, რომ ასეთი აზრების მოსმენა სახელმწიფო ჩინოვნიკისგან მას არ გაუკვირდებოდა, მაგრამ საეკლესიო მოღვაწისაგან კი მსგავსი მოსაზრებების მოსმენა განსაცვიფრებელიაო.[8]

რაც შეეხება სამისიონერო საზოგადოების წევრებს ექ. თალაკვაძესა და ი. მეუნარგიას, მათი მოგზაურობის შემდეგი ადგილი გახლდათ სოფელი ზემოხინო. მათ დაათვალიერეს ხინოწმინდის ძველი საკრებულოს ტაძრის ნანგრევები. აქ ექ. თალაკვაძემ სოფლის მაჰმადიანი მოსახლეობის თანდასწრებით შეასრულა პარაკლისი, აქედან ისინი გაემგზავნენ სხვა სოფლებისაკენ, შემდეგ კი გადავიდნენ ართვინის მხარეში, სადაც მოინახულეს შემორჩენილი ქართული მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლები. ყველა ძველ ტაძარში მღვდელი თალაკვაძე იხდიდა სამადლობელ პარაკლისებს, რომლებსაც მაჰმადიანებიც ესწრებოდა.

ქართველი მღვდელმსახურების და საერთოდ ქართველი საზოგადოებისა და კომიტეტის გეგმაზომიერი და საზრიანი მოქმედების შედეგად შესაძლებელი გახდა სამხრეთ-დასავ-

---

[8]. Н. Лендер, Кавказ и Черное море, Санкт-Петербург, 1897, стр. 21

ლეთ საქართველოს კულტურული აღორძინების ვრცელი პროგრამის შემუშავება: 1. დაწყებითი სკოლების გახსნა ქობულეთში, ხულოში, ქედაში, მარადიდსა და მურღულში. განათლების შეტანა ხელს შეუწყობდა ხალხში მივიწყებული ეროვნული კულტურის აღორძინებას, 2. სამკურნალო დაწესებულების გახსნა ტბეთის ცნობილ ტაძართან და ქედაში. 3. აღნიშნულ ადგილებში სასულიერო პირთა გაგზავნა, რომლებიც მედიცინაში იყვნენ გათვიცნობიერებული და ხელსაყრელ პირობებში ძველ ტაძრებსა და ოჯახებშიც საეკლესიო რიტუალებს განახორციელებდნენ.

საქართველოს ეგზარქოსმა, რომელიც ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას ახორციელებდა, ამ ფაქტში რუსეთის გეგმების ხელყოფა დაინახა და ქართველი მისიონერები აჭარიდან გაიწვია, მათ ადგილზე კი გაამწესა ბერძენი და რუსი სასულიერო პირები, თუმცა მათი სამრევლოები აქ არ იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ აქამდე მღვდლებისა და მისიონერების დანიშვნა ამ რეგიონში იმერეთის ეპისკოპოსის ფუნქციებში შედიოდა. ეგზარქოსმა ეს უფლება მას ჩამოართვა და მიითვისა კიდევ მეტი, ხოლო ბათუმის ოლქის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ – ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა საქართველოს ეგზარქოს მოსთხოვა, რომ ბათუმიდან სხვაგან გადაეყვანა მღვდლები ლუკა ხუნდაძე და დავით ახვლედიანი, რადგან ისინი ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობაში ნაციონალისტურ იდეებს ქადაგებდნენ და სახიფათონი იყვნენ ხელისუფლებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საზოგადოება საერთოდ ატარებდა ცარიზმის პოლიტიკას და სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა, მისმა აჭარის განყოფილებამ მაინც

დადებითი როლი შეასრულა. საზოგადოება თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამით გეგმავდა ქართველ მაჰმადიანებში ეროვნული სულისკვეთების აღორძინება-განმტკიცებას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამის იქით ბათუმის სამისიონერო განყოფილების მოღვაწეობა არ წასულა, რადგან რუსული დიდმპყრობელური სახელმწიფო შეგნებულად აბრკოლებდა აჭარის ადგილობრივი მოსახლეობის თვითგამორკვევას და ცდილობდა ყოველნაირად შეეშალა ხელი ქართველი თანამოძმეების ერთიანობისათვის და ყველაფერი დაეტოვებინა უცვლელად მანამ, სანამ არ მოხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია რუსულ იმპერიულ მანქანასთან. ეგზარქოსი პალადი ცდილობდა მისიონერულ საქმიანობისათვის ჩამოეშორებინათ ქართველი მღვდელმსახურები, რადგან ის კარგად ხედავდა, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა ქართველ თანამოძმეებს კარგად ხვდებოდა და ამაში ის მომავლისათვის სახიფათო მოვლენას ხედავდა. პალადი ამბობდა, რომ სამისიონერო საქმიანობის სულისჩამდგმელი, ბათუმის ოკრუგის უფროსი თავადი გურიელი გარდაიცვალა, ხოლო თავადი ერისთავი, რომელიც მისიონერებს ყოველნაირად ხელს უწყობდა, თანამდებობიდან გადადგა, ხოლო სხვა წევრები ბათუმში არ ცხოვრობენო.

სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ბათუმის ოლქში ქართველთა სამისიონერო საქმიანობა დიდხანს შეფერხდა, თუმცა საბოლოოდ მისი აღმოფხვრა ხელისუფლებამ ვერ შეძლო. ქართველი საეკლესიო მოღვაწეები შემდეგშიც ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ახლად შემოერთებულ აჭარაში აღორძინებულიყო ქართული მართლმადიდებლური სული. ამას კი ისინი ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის დახმარებით კიდევაც ახერხებდნენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. Государственный исторический архив в Санкт-Петербурге, (Фонд Русско-Турецкая война 1877-1878 г.г.)
2. Государственный исторический архив в Санкт-Петербурге , (Фонд Кавказ 80-90-е годи XIX в.)
3. ვ. წვერავა, აჭარაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიისათვის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის შრომების კრებული „საისტორიო მაცნე", № XI, 2000
4. Н. Лендер, Кавказ и Черное море, СП, 1897

The activity of the Christian Society for the restoration of the Christianity in the Batumi District in the 80-90th of the XIX century

Resume

In the 1877-1878 years the war broke between Russia and Turkey. As a result, Adjara returned to the Mother-Georgia. This region and its population immediately occurred under the attention of the "Christian Society". The members of this society traveled through the whole territory of the Batumi District with the aim of spreading the Christianity in Adjara but the Russian Empire considered the activity of the Georgian members of the "Christian Society" as dangerous for the interests of the Russian Empire and banned its activity.

როტშილდის ქარხნის დირექტორი-ფრანგი გიონი

აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ (1878წ.) შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელიც უშუალოდ შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. შეერთებიდან ორი ათეული წლის შემდეგ ბათუმი დიდ ნავსადგურად და მთავარ საექსპორტო პუნქტად იქცა. ქალაქში მტკიცედ დამკვიდრდა როტშილდის, მანთაშევის, ნობელის და სხვა მონოპოლისტი გაერთიანებები. მათ კონტროლს დაექვემდებარა იმ დროისათვის ტექნიკურად საუცხოოდ აღჭურვილი საწარმოები, რაც ძირითადად განსაზღვრავდა ბათუმის ოლქის კომერციულ პროფილს.

მათგან აღსანიშნავია როტშილდის ქარხანა. ქარხნის დირექტორი ფრანგი გიონი, სამუშაოზე იღებდა მხოლოდ ქართველებს. მისი აზრით: „ქართველები კეთილსინდისიერი მუშები არიან და ყოველთვის დროულად ასრულებენ მათზე მინდობილ საქმესო".[9] ამიტომაც იყო, რომ როტშილდის ქარხანაში მუშა-მოსამსახურეები ქართველები იყვნენ. გიონი რატომღაც არ სწყალობდა რუსებს. მისი თქმით: „რუსები გამოირჩევიან საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებით".[10] ამის გამო ფრანგი გიონი აითვალისწუნა ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობამ. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან გამართულ თათბირებზე რუსი ჩინოვნიკები თავს ესხმოდნენ ქართველებს და უწოდებდნენ მათ ყაჩაღებსა და ბუნტისთავებს. ისინი მოითხოვდნენ, რომ შემცირებულიყო ქართველ მუშათა რაოდენობა ფაბრიკა-ქარხნებში, დირექტორებს ავალებდნენ შეემცირებინათ ქართველები და მათ

---

[9]. აცსა, ფ.1, აღწ. 1, საქ. 26, ფურც. 10

[10]. იქვე, ფურც. 10

ნაცვლად სამუშაოზე მიეღოთ მხოლოდ რუსები. ხელისუფლების ასეთი შოვინისტური ქმედების წინააღმდეგ გამოდიოდა გიონი და აკრიტიკებდა მას. ის ამბობდა, რომ ჩინოვნიკები არ იცნობდნენ ქართველებს და ამიტომ ცდილობენ ლაფში ამოსვარონ ისინი. აღნიშნავდა, რომ ქართველები კეთილსინდისიერად ასრულებენ სამუშაოებს და რომ როტშილდის ქარხანა მსოფლიო ბაზარზე მოწინავე პოზიციებს იჭერს, ეს ქართველების დამსახურებაც არის. ამით გაბოროტებული ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობა თავს ესხმოდა გიონს, უწოდებდა მას ქართველების აგენტს და აბეზღებდა კავკასიის მეფისნაცვალთან, რომელსაც თხოვდნენ ყველაფერი ეღონა „ამ ფრანგის თავიდან მოსაშორებლად". 1901 წლის 16 აპრილს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან გამართულ თათბირზე, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გიონი და გუბერნატორის თანაშემწე მორდიუკოვი. გიონმა მორდიუკოვს კაცთმოძულე უწოდა, თავის მხრივ კი მორდიუკოვმა თქვა, რომ „ბათუმის ოლქი უშუალოდ შედის რუსეთის იმპერიაში და ვიღაც უცხოელების მოსაზრებას ანგარიშს არ გავუწევთო".[11] შეიძლება ესეც არის მიზეზი იმისა, რომ როტშილდის ქარხანაში გაძლიერდა სოციალ-დემოკრატიული გაერთიანება. ყველა გაფიცვა, რომელიც კი გაიმართა როტშილდის ქარხანაში, მუშების გამარჯვებით დამთავდა. ქარხნის დირექტორი გიონი ყველა ძირითად მოთხოვნას უსრულებდა მუშებს.

აი რას წერს 1901 წლის ნოემბრის ბოლოს ბათუმში ჩამოსული იოსებ ჯუღაშვილი თავის თანაპარტიელებს თბილისში. წერილი დათარიღებულია 1902 წლის 22 იანვრით: „როტშილდის ქარხნის დირექტორი, ფრანგი გიონი ნამდვილად ჰუმანური კაცია. ის გამოირჩევა ქართველებისადმი სიმპათიით. ამიტომაც

---

[11]. იქვე, ფურც. 26

არის, რომ აქაურ მუშათა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ... ჩვენ ჩამოვაყალიბეთ სოციალ-დემოკრატიული წრეები ქარხანაში, რომელშიც გაერთიანდნენ ჩვენი მომხრე მუშები. ჩვენს მიერ მოწყობილ გაფიცვებს ქარხნის დირექტორი მშვიდად ხვდება და ყოველთვის აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს". [12]

ფრანგი გიმარში და 1905–1907 წლების რევოლუცია

1905-1907 წლების რევოლუციის დროს გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები. განსაკუთრების გამოირჩეოდნენ სოციალ-დემოკრატები და სოციალ-ფედერალისტები. ისინი ხშირად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის იმართებოდა პოლიტიკური დისკუსიები. მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ ბათუმის სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი ყოფილა ფრანგი გიმარში, რომელიც კარგად საუბრობდა როგორც ქართულად, ასევე რუსულად. 1905 წლის 24 აგვისტოს, ბათუმში, მარინის პროსპექტზე (დღევანდელი მემედ აბაშიძის გამზირი) მდებარე ერთ სახლში გაიმართა საიდუმლო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ სოციალ-დემოკრატები და სოციალ-ფედერალისტები. დისკუსიაში აქტიურად იყო ჩაბმული ფრანგი გიმარში. ის მოუწოდებდა პარტიებს მუშაობა ეწარმოებინათ ეროვნული კუთხით და გაემართათ მიტინგები, სადაც დააყენებდნენ ეროვნულ საკითხებს. მართალია ფრანგის ამ მოსაზრებებს არ დაეთანხმნენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ფრანგი აყენებდა ეროვნულ მოთხოვნებს მისასალმებელი იყო. გიმარში დაიღუპა 1905 წლის 30 ნოემბერს, ბათუმში გამართული საბარიკადო ბრძოლების დროს. აი რას წერდა მის შესახებ სოციალ-ფერელასტური პარტიის წევრი დავით მესხიშვილი

---

[12]. იქვე, ფურც. 66-68

1905 წლის 10 დეკემბერს: „მეტად ცუდი ამბავი მოხდა. ბრძოლების დროს (იგულისხმება 1905 წლისი 30 ნოემბერი - ო.გ.) დაიღუპა ჩვენი მეგობარი ალექს გიმარში. ის ყოველთვის პრინციპულობით გამოირჩეოდა. უყვარდა საქართველო და იბრძოდა მისი სიკეთისათვის. ჩვენთვის ის იქნება მაგალითის მიმცემი ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში." [13]

ფრანგი რეფლერი და კათოლიკური მოძრაობა ბათუმში

ბათუმში ფრანგების სახელთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო მოვლენა. ეს შეეხება კათოლიკურ მოძრაობას აქ 1908- 1916 წლებში. ბათუმში მე-20 საუკუნის დასაწყისში ბევრი კათოლიკე ცხოვრობდა. მარტო უმშვენიერესი კათოლიკური ტაძარი რად ღირს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი და მისი აპარატი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალათ კათოლიკური მოძრაობისათვის. პოლიტიკურ დაბეზღებაში ხშირად ფიგურირებდნენ ბათუმში მცხოვრები ფრანგი მოქალაქეები, რომლებიც ბათუმელ ქართველ კათოლიკებში ეწევიან წირვა-ლოცვას კათოლიკურ წესჩვეულებაზე. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე უფრო აქტიურობს, არის კათოლიკე ფრანგი, სმეკალოვის ქუჩაზე მცხოვრები ვინმე ლეფლერი. ის ხშირად ხვდება ქართველ კათოლიკებს და მათთან ატარებს საუბარს. 1910 წლის 15 თებერვალს, გუბერნატორისადმი მიწერილ წერილში საუბარი იყო სმეკალოვის ქუჩაზე, რეფლერის სახლში გამართული შესვედრის შესახებ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ კათოლიკეები თბილისიდან და ქუთაისიდან. შეკრების დროს იყო საუბარი საქართველოს წარსულზე, რუსეთის იმპერიის უარყოფით გავლენაზე

---

[13]. იქვე, ფურც. 103-109

და ა.შ. ხოლო 1910 წლის 4 მარტს იმავე გუბერნატორის სახელზე მიწერილ წერილში ნათქვამია, რომ კათოლიკეების შეხვედრებს ფრანგ რეფლერის ბინაზე აქვს სისტემატიური ხასიათი. მათი მიზანია ბათუმში კათოლიკური ცხოვრების გააქტიურება. ასევე მათ სურთ ბათუმი გადაიქცეს კათოლიკური მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად ცენტრად. ამას ისინი იმით ამართლებენ, რომ აქ მოქმედებს ერთ-ერთი ძლიერი კათოლიკური ეკლესია. [14]

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის დავალებით, შეიქმნა ჯგუფი რომელსაც დაავალა შეედგინა სპეციალური სამოქმედო პროგრამა. პროგრამაში გათვალისწინებული იყო მთელი რიგი ღონისძიებისა, რომელიც შეაფერხებდა კათოლიკურ მოძრაობას.

გარდა იმისა, რომ კათოლიკეები იკრიბებოდნენ ფრანგ რეფლერთან, ამასთან ხშირად აკრავდნენ ანტისახელმწიფოებრივი მიმართულების პროკლამაციებს, სადაც მხილებული იყო მეფის რუსეთის შოვინისტური მიზნები და ქმედებანი ხელი შეეშალათ ბათუმში კათოლიკური მოძრაობისათვის. ერთი ასეთი პროკლამაცია პოლიციამ ნახა ლორის-მელიქოვის ქუჩაზე 1911 წლის თებერვალში. ამ პროკლამაციის შესახებ სამხედრო გუბერნატორი ავალებდა პოლიცმეისტერ როჟანოვს გამოიძიოს თუ ვისი ნამოქმედარი უნდა ყოფილიყო იგი. როჟანოვი საპასუხო წერილში 1911 წლის 25 თებერვალს აცნობებს გუბერნატორს შემდეგს: „გაცნობებთ, რომ ლორის მელიქოვის ქუჩაზე გამოკრული პროკლამაციის ავტორები უნდა იყვნენ ბათუმელი კათოლიკეები. ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ მათ ხელმძღვანელობს ბათუმის მოქალაქე ფრანგი ლეფლერი, რომლის

[14]. აცსა, ფ. 1, აღწ. 1, საქ. 69, ფურც. 11

სახლი სმეკალოვის ქუჩაზე გადაქცეულია ბათუმელი კათოლიკეების თავშეყრის ადგილად. ჩვენ ისიც გავიგეთ, რომ ლეფლერს და სხვა კათოლიკეებს კავშირი აქვთ საფრანგეთის კონსულთან ბათუმში, რომელსაც როგორც ჩანს თხოვენ აცნობონ საფრანგეთის ხელისუფლებას იმის შესახებ, თუ როგორ ავიწროვებენ რუსეთის ხელისუფალნი ბათუმელ კათოლიკეებს".[15]

1912 წლის მაისში ჩატარდა საეკლესიო მსვლელობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი კათოლიკეები. მათ წინ მიუძღოდა ლეფლერი და სპეციალურად ჩამოსული კათოლიკე მღვდელი იტალიელი ჯაკომი. მსვლელობის მონაწილენი მივიდნენ კათოლიკურ ეკლესიაში. ამ ფაქტმა ძალიან აღაშფოთა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, მაგრამ თუ რა მოიმოქმედა მან, დოკუმენტებიდან ცნობილი არ არის.

1914 წლიდან ბათუმში ხშირი იყო უცხოელების ჩამოსვლის ფაქტები. მაგალითად 1914 წლის ნოემბერში ბათუმში პარიზიდან ჩამოვიდა ვინმე მაქსიმილიან დელაკრუა, რომელიც მოხიბლული დარჩენილა ბათუმის კათოლიკური ეკლესიით. სტუმარი დაინტერესებულა კათოლიკეების ცხოვრებით ბათუმის ოლქში და შეხვედრია ადგილობრივ კათოლიკეებს ათანასე ბაღოშვილსა და დავით გიორგაძეს. მათ სტუმრებისათვის უთქვამთ რომ ადგილობრივი რუსული ადმინისტრაცია ყოველნაირად ხელს უშლის კათოლიკეებს, ავიწროებს მათ, ამიტომაც თვალში საცემი არ არის კათოლიკური მოძრაობაო. სტუმარს პირობა მიუცია, რომ ამის შესახებ ინფორმირებულს გახდიდა საფრანგეთში საზოგადოებას.[16]

---

[15]. იქვე, ფურც. 24-27

[16]. იქვე, ფურც. 34-36

ფრანგები ბათუმში 1920 წელს

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის გადაწყვეტილებით ბათუმის ოლქი გადაეცა ოსმალებს და ისინი აქ დარჩნენ 1918 წლის ნოემბრამდე. შემდეგ კი ბათუმის ოლქში შემოვიდნენ ინგლისელები. ისევე როგორც ოსმალები, ასევე ინგლისელებიც ცდილობდნენ ბათუმის ოლქის მოწყვეტას დედა-სამშობლო საქართველოდან და მის სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოქცევას, მაგრამ მძლავრმა ქართულმა ეროვნულ- განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არ მიცა მტერს ამის განხორციელების საშუალება.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელთა მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის ბოლო პერიოდში, კერძოდ 1920 წლის მაისში, ბათუმში იმყოფებოდნენ საფრანგეთის წარმომადგენლები: ჟაკ როშტო, მიშელ ბელონი, ფრანცუა ლუპენი და ჟან-მარი გამბა. ისინი იყვნენ ბათუმის ოლქის ინგლისელი გენერალ-გუბერნატორის გენერალ კუკ-კოლისის რეზიდენციაში და დიდხანს საუბრობდნენ მასთან.

საინტერესოა ოფიცერ ჯაკ როშტოს შეხედულება ბათუმის შესახებ. როშტო ბათუმში ყოფილა ჯერ კიდევ 1913 წელს. ის ამბობს: ,,ბათუმი ლამაზი ქალაქია. მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველია. ისინი დიდად სტუმართმოყვარენი არიან. ქართველებს შეშანიშნავი ისტორია აქვთ, მათ ტერიტორიაზე ბევრი საუცხოო ეკლესია-მონასტერია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები დიდი ხანია რაც რუსების კოლონიაა, ისინი თავისუფლების მოყვარე, ამაყი ხალხია. ამჟამად (1920 წელს - ო.გ.), ქართველები დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებენ და ვფიქრობ კიდევაც გაართმევენ ამას თავს ... ისინი ამის ღირსნი არიან... ბათუმს ლამაზი ნავსადგური აქვს. იქ ინგლისური გემები ასრულებენ სამუშაოებს. ბათუმიდან გააქვთ სხვადასხვა სახის

ნაწარმი, ძირითადად ხე-ტყე, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სხვა."[17] 1920 წლის ივნისის შუა რიცხვებში დაიწყო მოლაპარაკება ინგლისელებსა და ქართული ჯარის მთავარსარდლობას შორის ბათუმის ოლქის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის გადმოცემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებაში მონაწილეობას ღებულობდა ფრანგები: ჟაკ როშტო და მიშელ ბელონი. მოლაპარაკების დროს ინგლისელებმა და ფრანგებმა თანხმობა განაცხადეს იმაზე, რომ თუ იქნება უმაღლესი ხელისუფლების თანხმობა, ისინი წინააღმდეგნი არ არიან ბათუმის ოლქის საქართველოსათვის გადაცემაზე. შეხვედრის დროს ფრანგმა ჟაკ როშტომ აღნიშნა: „საქართველოს აქვს უპირველესი უფლება ბათუმის ოლქის მიმართ, რადგან ეს მხარე ისტორიული საქართველოა."[18] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1920 წლის 25 ივნისს საფრანგეთის წარმომადგენელი საქართველოში დემარტელი აცნობებდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს: „საფრანგეთი დიდი სიხარულით შეხვდა ბათუმის ოლქის საქართველოსათვის გადაცემას. ინგლისელები ალბათ უახლოეს ხანში მოახდენენ ოლქის დაცლას საქართველოს სასარგებლოდ და ვიმედოვნებ ეს საქმე დროულად მოგვარდება. მივიღეთ ცნობა საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის სარდალ, ადმირალ დებონისაგან, რომელიც აღნიშნავს, რომ ფრანგმა ჯარისკაცებმა, რომლებიც ბათუმში იმყოფებიან სასწრაფოდ უნდა დატოვონ ქალაქი და უკან დაბრუნდნენო. ეს უახლოეს ხანში განხორციელდება."[19] ევგენი გე-

---

[17].საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 1640, აღწ. 12, საქ. 187, ფურც. 89

[18]. იქვე. ფურც. 96

[19]. იქვე. ფურც. 125-128

გეჭკორმა მადლობა გადაუხადა საფრანგეთის მთავრობას დახმარებისათვის და იმედი გამოთქვა საფრანგეთთან მომავალ მჭიდრო თანამშრომლობაზე.

გამოყენებული წყაროები

1. აჭარის ცენტრალური არქივი (შემოკლებით აცსა) ფ. 1, აღწ.1, საქ 26

2. აცსა, ფ.1 აღწ.1, საქ. 69

3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ.1640, აღწ. 12, საქ. 187

The French in Batumi

Resume

This scientific work deals the personality of Gion, the manager of the factory of Rothshild in Batumi. He employed mainly the Georgians at the factory, and by this fact he made angry the chauvinistic local government.

It is shown also the life of the Givard, he was French, a member of the Social-Federalist Party, and died as a hero in 1905-1907 years.

In this work it is shown also the life of Loffler, he was French by nationality. This work deals also with the issue of the activity of catholic movement. It is narrated also about the French, who were in Batumi in 1929. They appreciated the Georgian people and the history of Georgia very much.

სამართლებრივი მდგომარეობა აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში

ოსმალთა სანგრძლივმა ბატონობამ და ისლამის რელიგიის გავრცელებამ აჭარაში გამოიწვია სრულიად ახალი სამართლებრივი სისტემის დანერგვა, რომელიც განსხვავდებოდა ტრადიციული ქართული სამართლებრივი ნორმებისაგან. იმისათვის რომ იგი საკუთარი სახელმწიფოს ნაწილად ექცია, აჭარაში საკუთარი ოფიციალური სამართლებრივი ნორმების დანერგვა დაიწყო. ოსმალთა სახელმწიფოს ოფიციალური სამართლებრივი სისტემა გამომდინარეობდა ისლამის რელიგიისაგან. აჭარაში ოსმალებმა თანდათანობით დანერგეს მუსლიმანური სამართალი, რომელსაც ,,შარიათი" ეწოდებოდა.

აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში შარიათი ითვლებოდა ერთადერთ ოფიციალურ სახელმწიფო სამართლებრივ ნორმად.

შარიათი არის ისლამის რელიგიური კანონი, მუსლიმანთა რელიგიური ცხოვრებისა და საქციელის, იურიდიული ნორმების, პრინციპებისა და ქცევის წესების კომპლექსი. მათი დაცვა ნიშნავდა ალაჰისათვის სასურველ, უმწიკლო ცხოვრებას, რომელიც უზრუნველყოფს მორწმუნეთათვის ადგილს სამოთხეში. შარიათი ითვლება ღვთაებრივ კანონად, რომელიც ადამიანისათვის მისაწვდომია ყურანის, ჰადისებისა და რელიგიური ავტორიტეტების შრომების საშუალებით. რეალურად შარიათი ხორცშესხმულია ფიკჰის შესახებ შრომებში, პრაქტიკაში კი მუსლიმანურ სასამართლოებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამა თუ იმ საქციელის ნებადართულობისა თუ აკრძალვის სხვადასხვა ხარისხს.

მიუხედავად შარიათის დამკვიდრებისა აჭარაში, აქ მთლიანად ვერ აღმოფხვრეს ძველი ქართული სამართლებრივი ნორმები და ადათ-წესები, რომლის მეშვეობითაც, ძირითადად შინაური საქმეები, სასოფლო- თემობრივი ურთიერთობანი წყდებოდა.

საერთოდ აჭარაში ოსმალეთის პერიოდშიც და შემდგომშიც სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ჩანაწერები დაგვიტოვეს დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა, შემდგომ პერიოდში აჭარაში არსებულ სამართლებრივ ნორმებთან დაკავშირებით, რაც უშუალოდ მიწათმფლობელობის წესებს ეხებოდა, ნაწილობრივ ინფორმაციას გვაწვდიან თედო სახოკია და მემედ აბაშიძე. საინტერესო გამოკვლევა აქვს ამირან ავალიანს თავის წიგნში- „მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში," რომელშიც მიმოხილულია აჭარაში არსებული მიწათმფლობელობის წესები და მასთან დაკავშირებული სამართლებრივ ნორმები.

ასევე, აჭარაში საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიის შესახებ წიგნი გამოაქვეყნა ახალგაზრდა მკვლევარმა ირაკლი ბარამიძემ, რომელშიც განხილულია აჭარაში მოქმედი სამართლებრივი თვალსაზრისები მიწათმფლობელობასთან დაკავშირებით.

უშუალოდ აჭარაში სამართლებრივი შეხედულებების ისტორიის შესახებ ძალზე საინტერესო გამოკვლევები აქვთ სამართალმცოდნეებს - ბესარიონ ზოიძეს, ოთარ ზოიძესა და სხვებს.

ძველ წყაროებზე დაყრდნობით, ნათლად ჩანს, რომ აჭარაში, მიუხედავად შარიათის მტკიცე ბატონობისა, ცალკეულ სასოფლო თემს თავისი გადაწყვეტილებანი გამოჰქონდა. მაგალითად, გიორგი ყაზბეგი ღორჯომის შესახებ წერს: „...აქ არაა სოფელი ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არამედ არის მხოლოდ თემი, რომელსაც ღორჯომს უწოდებენ. სახლებს, ჯგუფებს ერთმანეთთან აკავშირებს საერთო ადმინისტრაცია და რაც

მთავარია ჯამე (მეჩეთი). სოფლის მმართველობა მეჯლისის ხელშია (სასამართლო, საბჭო), რომელსაც ყადი თავმჯდომარეობს და შედგება რამდენიმე არჩეული პირისაგან. კვირაში ერთხელ (პარასკევობით) მართმორწმუნენი მეჩეთში იკრიბებიან სადაც ლოცვის შემდეგ მეჯლისი არჩევს მცხოვრებთა საჩივარს. სოფლის მეჯლისი აქაური ადგილობრივი ადმინისტრაციის უმდაბლესი ინსტანციაა, შემდეგია სასამართლო და მუდირის მმართველობა (ხულოში), მას მოსდევს სასამართლო და კაიმაკამის მმართველობა (ქედაში) და ბოლოს მუთასერიფი ბათუმში".[20]

1877-1878 წლებამდე, სანამ რუსეთი შეიერთებდა ოსმალეთის სახელმწიფოში მოქცეულ ქართული ტერიტორიების ნაწილებს, იგი განაწილებული იყო სხვადასხვა სანჯაყებსა და ვილაიეთებში. მაშინდელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის მონაცემების საფუძველზე მკვლევარი ი.ბარამიძე ასკვნის რომ: ...„ოსმალეთის იმპერიაში ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში ტერიტორიების გაერთიანება ხდებოდა არა ეთნოგრაფიული ნიშნით, არამედ უპირატესად გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც იმპერიული სახელმწოფოს მოწყობა არასოდეს ითვალისწინებდა ერთი მოდგმის ხალხების თუ ერების ერთად თანაცხოვრების საუკუნოვან სისტემებს, მათ ტრადიციებსა და ადათ-წესებს. მოგვიანებით, 1877-1878 წლების ომის შემდეგ მიერთებული ტერიტორიების ადმინისტრაციული სტრუქტურის შედგენისას, არც რუსეთის იმპერიის მესვეურთ მიუღიათ მხედველობაში იქ მცხოვრები ხალხების ეროვნული შემადგენლობა. ასე აღმოჩნდა ყარსის

[20] გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1998, გვ. 21.

(ეროვნული ნიშნით უფრო სომხურ)ოლქში ოლთისი და არდაგანი." [21]

საერთოდ, ნებისმიერი იმპერიის უმთავრესი ამოცანა ყოველთვის იყო დაპყრობილ და შემოერთებულ ხალხებში ეროვნული თვითმყოფადობის გრძნობის გაქრობა და მათი ასიმილაცია სხვა ხალხებთან. ეს იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც იმპერია დაპყრობილი ტერიტორიების ადმინისტრაციული დაყოფისას არასოდეს ითვალისწინებდა ეროვნულ ნიშანს.

გიორგი ყაზბეგის გადმოცემით, ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში შედიოდა 11 ადმინისტრაციული ერთეული. ეს იყო - ბათუმი, ჩურუქ-სუ, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლივანა, გონიო, ხოფა, არქავე, ათინა, ხემშინი. ესენი, გიორგი ყაზბეგის აზრით, 5 კაზაში იყო გაერთიანებული.

ბუნებრივია, ოსმალეთი ამ ტერიტორიებს საკუთარ ტერიტორიებად მიიჩნევდა. ამიტომ ამ მხარეებში ისეთივე სასამართლო და სახელმწიფო რეფორმებს ატარებდა, რასაც თვით ოსმალეთის ტერიტორიებზე. მაგალითად; ოსმალეთმა თანზიმათი ყველა დაპყრობილ ტერიტორიაზე ერთნაირად გაატარა, რამაც შეუწყო ხელი ოსმალეთის ქართულ ტერიტორიებზე ოსმალთა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას და ოსმალური კანონმდებლობის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით ოსმალოს საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწის შესახებ მიღებულ კანონმდებლობას, რომელიც 1858 წელს გამოვიდა.

შარიათის მიხედვით ყველა მუსლიმანს შეეძლო საკუთრებაში ჰქონოდა მიწა დასამუშავებლად, მაგრამ ეს საკუთრება

---

[21] ი.ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა განვითარების ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ., 1999, გვ. 28.

მისთვის მუდმივი არ იყო, ვინაიდან მიწის მთავარ მესაკუთრედ ალაჰი ითვლებოდა.

ამავე დროს, განსხვავებით სხვა მუსლიმანური სახელმწიფოებისაგან, ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან, სულთან სულეიმან კანუნის დროიდან, დასაშვებად იყო მიჩნეული მიწის კერძო საკუთრებაში არსებობა, ოღონდ გარკვეული პირობებით.

თანზიმათის შემდეგ გატარებულმა ღონისძიებებმა ქართველ ბეგებს შეუნარჩუნა მიწაზე კერძო საკუთრება, მაგრამ მათზე ახალი გადასახადები დააწესა და რაც მთავარია, განამტკიცა ოსმალეთის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა აჭარაში. მაგალითად, მკვლევარ ოთარ თურმანიძის აზრით, „...აგრარული რეფორმის გატარების შემდეგაც ამ მიწებით მოსახლეობა ძველებურადვე სარგებლობდა. სულთნის მთავრობის მესაკუთრეობა მიწაზე მხოლოდ ახალი გადასახადების დაწესებით შემოიფარგლა". [22]

სასამართლო საქმეებს ძირითადად ყადი წყვეტდა. ყადი იყო ისლამური სამართლის მცოდნე პიროვნება. იგი მუსლიმთა მოსამართლეც იყო, რომელსაც ნიშნავდა ფაშა და ა.შ.

ყადები ისლამურ ქვეყნებში ხემძღვანელობდნენ შარიათების სასამართლოებს, რომელთა უფლებამოსილებაში შედიოდა სოციალურ, საოჯახო, კერძო და ნაწილობრივ სისხლის სამართალთან `დაკავშირებული საკითხები.

საერთოდ ოსმალეთის პერიოდის აჭარაში ყადი დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა, მაგრამ მოსახლეობა მის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, ამის მიზეზი იყო პირველ რიგში, მაშინდელ ოსმალურ სასამართლო სისტემაში გავრცელე-

---

[22]. ო. თურმანიძე, საადგილმამულო ურთიერთობანი აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათ., 2004, გვ. 56

ბული მექრთამეობა. ამავე დროს, ოსმალურ სასამართლოში ადგილობრივი ქართული მოსახლეობა პასუხს ვერ პოულობდა და ვერ ახერხებდა საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ამიტომ უფრო საჭიროდ ადათობრივი სასამართლო მიაჩნდა.

ოსმალეთის სახელმწიფოში, მიუხედავად იმისა, რომ იგი იმპერია იყო, საკანონმდებლო სისტემა და სამართლებრივი ნორმები არც თუ ისე მტკიცედ იყო დაცული. განსაკუთრებით კი ისეთ მხარეებში, რომლებიც არათურქულ პროვინციას და დაპყრობილ მხარეს წარმოადგენდა, ისე როგორც აჭარა. რა თქმა უნდა, თურქული სასამართლო ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს და არ იჩენდა დიდ დაინტერესებას გადასაწყვეტი საქმეებისადმი, იგი ნებისმიერი სასამართლო საქმის მომჩივანის სასარგებლოდ გადაწყვეტას, ქრთამის მიხედვით ახორციელებდა, ან კიდევ, სასამართლო საქმეებს საერთოდ მიაფუჩეჩებდა, ან უსაშველოდ გააჭიანურებდა.

მსგავსი შემთხვევები ადგილობრივ მოსახლეობას რწმენას უკარგავდა თურქული სასამართლოს მიმართ, ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ქრთამის გარეშე ვერავითარ სამართალს ვერ იპოვიდნენ - ან ქრთამი უნდა გადაეხადათ ან სამართლის ძიების სხვა გზა მოეძებნათ. გარდა მოსამართლეთა გამომძალველობისა, აჭარის მოსახლეობისათვის თურქულ სასამართლოში ყველაზე ძნელი იყო ენობრივი ბარიერი. ვინაიდან სასამართლო წარმოებდა თურქულ ენაზე, ხოლო აჭარის მოსახლეობას თურქული არ ესმოდა და ეს კი ძალიან დიდ გაუგებრობას ქმნიდა.

როგორც დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავდა თავის ჩანაწერებში „აჭარაში ძირითადი სამეტყველო და საურთიერთო ენა ქართული იყო". [23]

---

[23]. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბ., 1976, გვ. 89

ენობრივი ბარიერი, სასამართლოებში გაბატონებული უსამართლობა და მექრთამეობა განაპირობებდა იმას, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იშვიათად მიმართავდა ყადის სასამართლოს, ცდილობდა სადავო საკითხები ადათობრივი სასამართლოს წესით გადაეჭრა და სამართალი ბეგთან ეძია. საერთოდ, სადავო საკითხისა და სამართლებრივი პრობლემის ასე გადაჭრა აჭარლებისათვის უფრო შედეგიანი იყო. ე.ი. აჭარაში ადათობრივი სასამართლოს ან ბეგის ჩარევას შეეძლო საკითხები უფრო ოპერატიულად გადაეჭრა ისე რომ, პიროვნება უმიზეზოდ არ დაიჩაგვრებოდა და მისი ღირსება და თავმოყვარეობა არ შეილახებოდა. ღირსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარელთა ცხოვრებაში. ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტისას ადათობრივი და ჩვეულებითი სამართალი ყოველთვის ითვალისწინებდა პიროვნების ღორსებისა და თავმოყვარეობის ინტერესებს.

ხშირ შემთხვევაში მოსახლეობა ცდილობდა სამართალი საკუთარი ინიციატივით დაედგინა. ასეთ ინიციატივებს კი ბევრ შემთხვევაში არასასურველ შედეგებამდე მიჰყავდა ადამიანები. ალბათ ყველაზე არასასურველი შედეგი იყო სისხლის აღება, რომელიც აჭარაში საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო. ვინაიდან ოფიციალურ სამართალზე ხელჩაქნეული პიროვნება ცდილობდა პირადად გასწორებოდა იმას, ვინც მას ზიანი მიაყენა ან დაჩაგვრა მოუნდომა, ხოლო მკვლელობისათვის ძირითადად მოსახლეობა სისხლის აღების წესს მიმართავდა, რაც საბოლოოდ, იწვევდა სხვადასხვა გვარეულობებს შორის საშინელ შუღლსა და დაპირისპირებას, რომელიც ხშირად რამდენიმე თაობას გადაეცემოდა.

აჭარის მაშინდელი ხელმძღვანელობა ცდილობდა, რომ აჭარის მოსახლეობა მაინც სახელმწიფო კანონების შემსრულებელი ყოფილიყო. მაგალითად, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი ყოველ

ღონეს ხმარობდა, რათა აჭარაში საბოლოოდ აღმოფხვრილიყო სისხლის აღების მავნე ჩვეულება, რომელიც ფაქტობრივად ადათ-წესად იყო ქცეული.

საინტერესოა რა მიმართება არსებობდა აჭარაში შარიათის სასამართლოსა, რომელიც სახელმწიფო სამართლის ფუნქციებს ასრულებდა და ძველი ადათ-წესების დამცველ ჩვეულებით სასამართლოს შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარს, ოთარ ზოიძეს, რომელიც წერს: ,,ყადებსა და ხალხურ სასამართლოებს შორის ურთიერთმიმართების ხასიათის დასადგენად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საადათო სასამართლო უძველესი დროიდანვე არსებობდა, ხალხის ყოფის აუცილებელი და ორგანული ნაწილი იყო. ხოლო ყადების სასამართლო თავსმოხვეული რელიგიის თანხმლებ კომპონენტს წარმოადგენდა და მის დამკვიდრებას ბრძოლა სჭირდებოდა. მას უნდა შეევიწროებინა სახალხო სასამართლო, რაც ფრიად ძნელი იყო. რადგან ბრძოლის წარმატებით დასრულებისათვის საკმარისი არ იყო საუკუნეობით არსებული ყოფის შეცვლა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელი იყო და არც მომხდარა".[24]

იმ ქვეყნებში, სადაც ისლამი მოგვიანებით და იძულებით გავრცელდა, ყოველთვის დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა შარიათის დანერგვას, ვინაიდან მოსახლეობა არ თანხმდებოდა საუკუნეობრივი ადათ-წესების შეცვლას და ერჩია ყველა საქმე ძველებურად, სახალხო სასამართლოზე გადაეწყვიტა, ვიდრე ყადის განაჩენს დაემორჩილებოდა, რომელიც უცხოდ და საკუთარი ცხოვრების წესისათვის შეუსაბამოდ მიაჩნდა.

---

[24]. ო. ზოიძე, ,,მოძმე აჭარელი ხალხის შესახებ", ჟურნალი ,,ცისკარი", 1989, №8, გვ. 151-158

აჭარაში თურქთ ბატონობა ვასალურ ხასიათს ატარებდა, ამიტომ თურქებმა ვერ მოახერხა საადათო სასამართლოს მოსპობა. როგორც ჩანს, ყველაზე რთულ საქმეებს ხალხი ძველი, საკუთარი ადათ-წესებით და შეხედულებებით წყვეტდა და სჯიდა.

მკვლევარი ზ.ჩიტაძეც იზიარებს ამ აზრს: „თურქეთის ძალაუფლება და მმართველობა აჭარაში სრული და ყოვლისმომცველელი არც თანზიმათის შემდგომ პერიოდში ყოფილა."[25] საერთოდ, თურქეთის მმართველობის დროს აჭარაში უმაღლეს სასამართლო ორგანოდ ითვლებოდა მეჯლისი. მეჯლისი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას წარმოადგენდა და ორმაგი სტანდარტით სარგებლობდა, პირველ რიგში, იძულებული იყო გაეთვალისწინებინა ქვეყნის, ადგილობრივი მოსახლეობის ადათ - წესები და ბევრი სამართლებრივი საკითხი ადათის მიხედვით გადაეწყვიტა. ასევე, შესაძლებლობის მიხედვით მიმართავდნენ შარიათის კანონმდებლობას, მაგრამ ადათების სასამართლო გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე შარიათი. მაგალითად, დოკუმენტურად არ არის შემონახული არც ერთი შემთხვევა აჭარაში იმისა, რომ რომელიმე მცხოვრები ქურდობისათვის შარიათის მიხედვით განესაჯათ.

ბუნებრივია, რომ შარიათისა და ყურანის ნორმები არ შეესაბამებოდა ადგილობრივ ადათ-წესებსა და ძველ ჩვეულებებს. ამიტომაც აჭარლები უარყოფითად იყვნენ განწყობილი თურქული სამართლებრივი ნორმებისადმი და ფაქტობრივად არც აღიარებდნენ მას.

---

[25].ზ. ჩიტაძე, მმართველობისა და მართლმსაჯულების ორგანოები მეფის რუსეთის დროინდელ აჭარაში, ჟურნალი „ჰოროხი", №6, გვ. 80-90

აჭარაში მიმდინარეობდა ბრძოლა თურქულ სამართლებრივ სისტემასა და ადგილობრივ ქართულ ადათ-წესებს შორის. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ადათ-წესები იმდენად მტკიცე აღმოჩნდა აჭარაში, რომ ძლიერ კონკურენციას უწევდა შარიათსა და თურქეთის სახელმწიფოს სხვა სამართლებრივ ნორმებს. ის კი არა, აჭარაში ყადების სასამართლოს პარალელურად მოქმედებდა სახალხო მმართველობის ორგანო - ოლქა, რომელიც დაახლოებით ყრილობის მნიშვნელობით იხმარებოდა და სასამართლო ფუნქციაც ეკისრებოდა. ზ. ჩიტაძის აზრით, ,,ოლქა იგივე ოლქობა - ეს სოფლის ანუ მთელი მხარის საერთო კრება, ყრილობაა. აღნიშნულ შეკრებაზე საკითხის დასმა და განხილვა ხდებოდა ზეპირი ფორმით. ოლქას ხელმძღვანელობდა სოფლის, მხარის ავტორიტეტიანი და ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც ეწოდებოდა "წინაი კაცი" "თავი კაცი" "ოლქა ბაში". [26]

ოლქა ბაშს ირჩევდნენ ოლქაზე. თავის მხრივ იგი ანგარიშვალდებული იყო ოლქას წინაშე. თვით ოლქა არავის ემორჩილებოდა და ანგარიშს არავის აბარებდა.

როგორც მკვლევარი ვლ.მგელაძე წერდა: ,,ხალხსა და მთავრობას შორის სადავო საკითხს ჯერ ოლქობა განიხილავდა, ხოლო შემდეგ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მოქმედებდა მოსახლეობა". [27]

ე.ი. ოლქობა აჭარის პოლიტიკური და სამართლებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე უმთავრესი მოვლენა იყო. ოლქობაზე არაერთი მტკივნეული საკითხი განხილულა, რომელიც აჭარის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებას შეეხებოდა.

---

[26].ზ. ჩიტაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 92

[27].ვლ. მგელაძე. ეთნოგრაფიული ჩანაწერები, ბათ., 1961, გვ. 32

1878 წლის აპრილში შემდგარ ოლქობაზე მთელი აჭარის მოსახლეობა მონაწილეობდა, რომელიც ძალზე მტკივნეულ საკითხს განიხილავდა, კერძოდ რუსეთის შემოსვლის შემდეგ აჭარის მოსახლეობა სამშობლოში დარჩენილიყო თუ ოსმალეთში გადასახლებულიყო. ოლქობას აჭარაში რუსეთის მმართველობის პერიოდშიც იწვევდნენ, მაგრამ ამ დროისათვის, ძირითადად მოსახლეობა სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს განიხილავდა. ოლქობა აწესრიგებდა გვართა შორის წარმოშობილ უთანხმოებას, სჯიდა მათ ვინც ადგილობრივ ადათ-წესებს დაარღვევდა, განიხილავდა საძოვრებითა და ტყეებით სარგებლობის საკითხებს. თუკი სოფელში ან თემში მოხდებოდა ქურდობა, ოლქობაზე გამოიძიებდნენ ქურდობის საქმეს და ქურდს განაჩენს გამოუტანდნენ.

თავისი მმართველობის პერიოდში თურქეთის მთავრობა ოლქობისადმი მტრულად იყო განწყობილი, რადგან კარგად ხედავდა, რომ ოლქობა მისი ხელისუფლების პარალელური ხელისუფლება იყო და გაცილებით მეტი ძალა და ზეგავლენა ჰქონდა. ამასთანავე, იგი თურქეთის სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციებსაც ამცირებდა, მაგრამ თურქეთს ოლქობის ამკრძალავი რეალური ღონიძიებების გატარება არ შეეძლო, პირიქით, ცდილობდა მასთან კონფლიქტში არ შესულიყო მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ადმინისტრაცია კარგად ხედავდა, რომ ოლქობა ხელს უშლიდა თურქეთის ცენტრალური ხელისუფლების კანონმდებლობის გატარებას აჭარაში, ოლქობის წინააღმდეგ ძალის მეთოდსაც მიმართავდა.

მმართველობის თურქული სისტემის გვერდით აჭარის ადგილობრივი ხალხური თვითმმართველობის არსებობა დამაჯერებლად მეტყველებს იმაზე, რომ თურქეთის ძალაუფლება აჭარაში არ იყო ყოვლისმომცველი, რომ აჭარის მოსახლეობა

თავის საშინაო საქმეებში უგულვნებელჰყოფდა და არ ცნობდა თურქულ ადმინისტრაციებს.

ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობის მიუხედავად, აჭარაში, მოსახლეობის ცნობიერებაში თურქული მმართველობის ფორმები ძალიან ნელა იკაფავდა გზას და მოსახლეობა მაინც ძველ, ტრადიციულ სამართლებრივ ნორმებს იცავდა.

მიუხედავად ადგილობრივი ადათობრივი სამართლის არსებობისა, არ შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში შარიათის ზეგავლება და მისი ნორმები მთლიანად უარყოფილი იყო. ვინაიდან აჭარაში ისლამის სარწმუნოება საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო, არსებობდა შარიათის დიდი ზეგავლენაც. შარიათი მძლავრობდა იქ სადაც საკითხი ეხებოდა პრობლემატიკას, გათხოვება- დაქორწინებას, განქორწინებას. ყველა ეს რიტუალი უნდა შესრულებულიყო ისლამის რელიგიის წესების გათვალისწინებით. შარიათის ნორმების უგულვნებელჰყოფა თვითონ რუსებმაც ვერ შეძლეს, რის გამოც მათ საოლქო თუ სასოფლო სასამართლოებში ერთ-ერთ წევრად ყადი შეიყვანეს.

როგორც საქართველოს სხვა ნებისმიერ კუთხეში, ისე აჭარაში მოქმედებდა ხალხური სამართლის ყველა ის ფორმა რომელიც ჩვენთვის არის ცნობილი. განსაკუთრებით გავრცელებული იყო სამედიატორო სამართლის ფორმა, ვინაიდან იგი უშუალოდ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საკითხებს და ყოველდღიურ ცხოვრებას ეხებოდა. სამედიატორო სასამართლო წყვეტდა აგრეთვე მოსახლეობაში მიწის გარშემო ატეხილ დავას. ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც როცა სოფლებს შორის მიწაზე ატეხილ დავას ვერ წყვეტდნენ სოფლის მიერ არჩეული მედიატორები. ამისათვის მოიწვევდნენ პატიოსნობითა და დარბაისლობის განთქმულ პიროვნებას, რომლის ავტორიტეტიც ძალზე

მაღალი იყო. პასუხიც და მიღებული გადაწყვეტილებას თანაბრად აკმაყოფილებდა მოდავე მხარეებს.

მოგვიანებით, როდესაც აჭარაში რუსული იმპერიული ხელისუფლება დამყარდა (1878 წელი), ადგილობრივ მოსახლეობაში რუსეთის ნდობის მოსაპოვებლად, გენერალ-გუბერნატორი კომაროვი იძულებული გახდა გამოეცა განკარგულება, რომელშიც იგი მოსახლეობას ადგილობრივი სამართლის ნორმებისა და სარწმუნოების ხელშეუხებლობას პირდებოდა. ამავე დროს რუსული კანონმდებლობის დანერგვასა და დაცვასაც ითვალისწინებდა. თავისი მმართველობის პირველ ეტაპზე რუსეთის ხელისუფლებამ, გაითვალისწინა აჭარის მოსახლეობის ადგილობრივი ადათობრივი სისტემა და არსებული სამართლებრივი ნორმები, მაგრამ ამავე დროს მკაცრად გაუსვა ხაზი სახელმწიფო სამართლის ანუ იგივე რუსული სამართლის კანონმდებლობის სავალდებულო შესრულებას. ფაქტობრივად, ამ განცხადების საფუძველზე მოსახლეობას ეძლეოდა უფლება საჩივრის სახით მიემართა სახელმწიფო სამართლის ინსტანციებისათვის, რადგან სასტიკად იკრძალებოდა მოსახლეობის მიერ საკუთარ შეკრებებზე ძველი ადათების მიხედვით, დამნაშავე პირისათვის ამა თუ იმ განაჩენის გამოტანა. განაჩენს გამოიტანდა სახელმწიფო ორგანოები, რომელსაც თვითონვე აღასრულებდა.

რუსული სამართლებრივი ნორმების დამკვიდრებამ პირველ ეტაპზე უკანა პლანზე გადაწია აჭარაში მოქმედი ადათობრივი სამართლებრივი ნორმები, რომელიც შემდგომ ეტაპზე თანდათანობით გაქრობის გზას დაადგა.

თურქეთის მმართველობისგან განსხვავებით, რომელიც ითმენდა ადგილობრივი ადათ-წესებისა და სამართლის ნორმების არსებობას, რუსეთის მმართველობა ადგილობრივ საადათო

სამართლებრივ გადაწყვეტილებას ძალაში არ ტოვებდა, თუ მას სახელმწიფო სამართლის ორგანოები არ დაამტკიცებდენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჭარაში ადათობრივი სასამართლოს სხვა ფორმებთან ერთად მოქმედებდა „წინაი კაცების სასამართლო." სოფელი აღიარებდა და ემორჩილებოდა მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტისა და გამოცდილების მქონე პიროვნებებს, რომლებსაც „წინაი კაცებს" უწოდებდნენ. სწორედ ისინი კისრულობდნენ მოსამართლის ფუნქციებს.

ადათობრივი სამართლის ნორმებს მიეკუთვნებოდა, ასევე, თვითგასამართლება, როცა გვარი თვითონვე ჭრიდა თავის პრობლემებს.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში თურქეთი საკმაოდ დიდხანს ბატონობდა, რასაც ისლამის რელიგიის გავრცელება, განსხვავებული მსოფლმხედველობა, ცხოვრების წესი და რა თქმა უნდა, სამართლებრივი ნორმები მოჰყვა, აჭარის მოსახლეობის სამართლებრივ ცნობიერებაში მაინც დარჩა ის ადათობრივ-სამართლებრივი წეს-ჩვეულებანი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ ადათობრივ-სამართლებრივ წეს-ჩვეულებათა იდენტური იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1998ი. ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა განვითარების ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ., 1999

2. ო. თურმანიძე, საადგილმამულო ურთიერთობანი აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათ., 2004

3. დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში, თბ., 1976

4. ო.ზოიძე, „მომმე აჭარელი ხალხის" შესახებ, ჟურნალი „ცისკარი", 1989, N8

5. ზ. ჩიტაძე, მმართველობისა და მართლმსაჯულების ორგანოები მეფის რუსეთის დროინდელ აჭარაში, ჟურნალი „ჭოროხი", №6

6. ვლ. მგელაძე, ეთნოგრაფიული ჩანაწერები, ბათ., 1961

7. ი. ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა განვითარების ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათ., 1999

The Law Situation in Adjara during Oscan Domination

Resume

The long period of the domination of Osman Empire and spreading of the Muslim religion resulted in the spreading of a quite different law system in Adjara. This system was quite different from the traditional Georgian law system. To make adjara a part of its state, the Osman Empire began to implement the laws of the Osman Empire in Adjara. The law system of the Osman Empire proceeded from the Muslim religion. The Osman Empire part by part planted the Muslim law system, named as "Shariat", In Adjara.

ქალაქ ბათუმის თვითმართველობის ისტორიიდან

ბათუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი თვითმმართველი ქალაქია და მის მმართველობას განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის“ შესახებ. იგი ამოქმედდა 2005 წლის 16 დეკემბრიდან. თუმცა ქალაქის თვითმმართველობას გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს.

საკრებულოს დაარსება და ჩამოყალიბება დაკავშირებულია მასშტაბურ გეოპოლიტიკურ პროცესებთან. 18877–1878 წწ. რუსეთ–თურქეთის ომში რუსების გამარჯვების შემდეგ 1878წ. 25 აგვისტოს დღის 2 საათზე ბათუმში შემოვიდა რუსული ჯარი სვიატოპოლკ–მირსკის მეთაურობით. აქედან იწყება ბათუმის ახალი ისტორია, მიუხედავად რუსეთის სახელმწიფო იმპერიული ხასიათისა, ეს მხარე ევროპული კულტურის მაცნე იყო. ამავე პერიოდისთვის საქართველოში მიმდინარეობდა მძლავრი ეროვნულ–განმანათლებელი მოძრაობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

სწორედ ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის ხელისუფლება შეუდგა სამხრეთ დასავლეთ–საქართველოში ტაო–კლარჯეთის და განსაკუთრებით ქ. ბათუმის ინტეგრაციას რუსული სახელმწიფოს ფარგებში. ბათუმს, როგორც სამხედრო–სტრატეგიული, ასევე ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიის უკიდურესი სამხრეთ საზღვრების გამაგრებისათვის. ამ მიზნების განხორციელებისთვის საჭირო იყო გარკვეული ღონისძიებების გატარება. უპირველესად ახალი წესრიგის შემოღება. პირველი ნაბიჯი იყო საპოლიციო მმართველობა. 1878 წ. ბათუმის პოლიციმეისტერად დაინიშნა დურმიშხან ჟურული,

რომელიც ქალაქს განაგებდა სახლმფლობელებისა და ვაჭრებისაგან არჩეული 3–4 დეპუტატის დახმარებით. საპოლიციო მმართველობის დროს ქ. ბათუმს საოლქო მმართველობიდან გამოყოფილი ცალკე ფინანსები ჰქონდა. [1]

1885 წ. ბათუმის 90 მცხოვრებმა კავკასიის მთავარმმართებლის სამოქალაქო ნაწილს გადასცა თხოვნა ქალაქში თვითმმართველობის შემოღების შესახებ. თხოვნაში ნათქვამი იყო, რომ ბათუმში თვითმმართველობის შემოღება ხელს შეუწყობდა ქალაქის კეთილმოწყობას და სხვა საკითხების ადგილზე გადაწყვეტას. ამ თხოვნის წინააღმდეგი წავიდა ბათუმის მაშინდელი პოლიცმაისტერი ვოზნესენსკი, რომელმაც თავისი უარი დაასაბუთა მოტივით – ბათუმს ინტელოგენცია არ ჰყავსო. ამ და სხვა მიზეზების გამო ეს საქმე შეჩერდა 1887 წლამდე.

მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაცია გრძნობდა, რომ სწრაფად მზარდი ქალაქის დატოვება პოლიციის გამგებლობაში დიდხანს არ შეიძლებოდა. ბათუმის ოლქის ყოფილი სამხედრო გუბერნატორის, გენერალ–მაიორი გროსმანის დაჟინებული მოთხოვნით ქუთაისის გუბერნატორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბათუმში შემოეღოთ საქალაქო მმართველობა. ამ მიზნით 1887 წლის ნომერში შეიქმნა კომისია კა სევერინის თავმჯდომარეობით მოსამზადებელი სამუშაოების წარმოებისათვის. კომისიამ შეადგინა საარჩევნო სიები, რომელიც დაამტკიცა გუბერნატორმა, მაგრამ შემდგომ კომისიის მოქმედება შეჩერდა და საქმის წარმოება გადაეცა ისევ საპოლიციო სამმართველოს. საბოლოოდ 1888 წლის 25 აპრილს მოვიდა იმპერატორის ბრძანება შემოღებულიყო ბათუმში საქალაქო მდგომარეობა იმ შეზღუდვებით, რომ თვითმმართველობასთან არ ყოფილიყო სამშენებლო განყოფილება და ქალაქის თავის

თანამდებობა პირველ 4 წელს ყოფილიყო არა არჩევითი, არამედ დანიშვნითი კავკასიის მთავრობის მიერ, ამ ბრძანების შესრულება დაევალა ახალ კომისიას, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის მოხელე კ.დ გავრონსკი.

1870 წელს რუსული საქალაქო დებულების შესაბამისად მოქალაქეს უფლება ქონდა მონაწილეობა მიეღო თვითმმართველობის არჩევნებში, თუ იგი აკმაყოფილებდა შემდეგ პირობებს: 1.იყო რუსეთის ქვეშევრდომი. 2. 25 წლის ან მეტი ასაკის. 3. ქალაქში ფლობდა უძრავ მოძრავ ქონებას და იხდიდა შესაბამის გადასახადს, ან ჰქონდა სავაჭრო–სამრეწველო დაწესებულება და გააჩნდა ფასიანი სანებართო მოწმობა. 4. მასზე არ ირიცხებოდა გადასახადთთა ნარჩენები. მოსახლეობის ეკონომიკური კატეგორიების შესაბამისად ყალიბდებოდა სხავადასხავა თანრიგის სამი საარჩევნო კრება. პირველ თანრიგში შედიოდნენ მესაკუთრები, მეორეში – საშუალო შეძლების მოქალაქენი, მესამეში კი ის წვრილი მესაკუთრეები, რომელნიც იხდიდნენ გარკვეულ საქალაქო გადასახადს. ყოველი თანრიგი ირჩევდა სათთბიროს ხმოსანთა მესამედს. [2]

საქალაქო თვითმმართველობის განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა სათათბირო, რომლის ხმოსანთა რაოდენობა, ქალაქის სიდიდის შესაბამისად 36-დან 150 კაცამდე მერყეობდა. სათათბიროს უფლება - მოვალეობაში შედიოდა ქალაქის თანამდებობის პირთა არჩევა და მათი ხელფასების განსაზღვრა, ქალაქის შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტის დამტკიცება, თვითმართველობის სახელით კრედიტების აღება, საქალაქო საქმეთა განხილვა, სხვადასხვა საკითხზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა და სხვა.

საქალაქო სათათბირო ირჩევდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ გამგეობას, რომელსაც აღმასრულებელი ფუნქცია ეკისრებოდა. გამგეობაში რამდენიმე კაცი შედიოდა და იგი ქალაქისთავის თავმჯდომარეობით მუშაობდა. სათათბირო ქმნიდა მუდმივ და დროებით მოქმედ კომისიებს, რომელთაც ევალებოდათ საქალაქო მეურნეობის ცალკეულ სფეროთა ხელმძღვანელობა, ან განსაკუთრებული რთული საკითხების დამუშავება და მნიშვნელოვანი პროექტების შედგენა, სათათბიროს ხმოსნები, ქალაქისთავი, გამგეობის წევრები და სხვა თანამდებობის პირები ირჩეოდნენ 4 წლის ვადით.

საქალაქო თვითმართველობის ძირითად ფუნქციას შეადგენდა კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა. მას ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, გაეხსნა სკოლები, ბიბლიოთეკა–სამკითხველოები, საავადმყოფოები, საქველმოქმედო დაწესებულებები.

1888 წ. 25 აგვისტოს და 28 აგვისტოს ჩატარდა ხმოსანთა არჩევნები, სამ სარჩევნო კრებაზე. 525 ამომრჩევლიდან ყოველ საარჩევნო კრებას უნდა აერჩია 12 ხმოსანი, სულ 36. არჩეული 36 ხმოსანისგან შედგებოდა ერთი სახალხო სათათბირო. 17 სექტემბერს ჩატარდა ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს თანამდებობის პირთა არჩევნები, რომელთაც ფიცი დადეს 1 ოქტომბერს და ეს დღე ითველბა ბათუმის საქალაქო თვითმართველობის საქმიანობის დაწყების დღედ. სათათბიროს შემადგენლობაში პირველ ოთხწლეულში შევიდნენ შემდეგი ხმოსნები: პირველი თანრიგის: ციმერმანი ა.ბ კოიანდელი, ა.ი ერგარდი, ვ.ა მელქონიანი, ო.გ პასსეკი, ნ.ბ სევერინი, კ.ა ერგარარდგი, ე.ფ სროდლოვსკი, ს.ი ვანშეიდტი, ა.ი მამულოვი, ი.ა რელიგიონი, ფ.ა ცეიტლინი, მ.გ მეორე თანგრის: ბიკოვი დ.ი ტიხუმოვი მ.ნ კარა–აღა–ზადე–ჰუსეინ–ეფენდი,

ბოიანი ი.ს, ალავერდოვი ა.რ, მჭედლოვი ლ.ლ, კეშიშოღლი მ. კოჩხოევი ი.ი. სტეფანოვი გ.ა, ტერ– ასატუროვი ნ.ბ. და სხვ.

რელიგიური მრწამსისა და ეროვნებით პირველი სათათბირო შემადგელობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ა/რელიგიური მრწამსის მიხედვით: მართმადიდებელი 10, კათოლიკე 6, სომეხი–კათოლიკე–1. სომეხი–გრიგოლიანელი–9. პროტესტანტი–1, ქართველი მუსლიმანი–4. ბ/ ეროვნების მიხედვით: რუსი–8, ქართველი–11, სომეხი–10, ბერძენი–2, ებრაელი–2, პოლონელი–2, გერმანელი–1. ამ შემადგენლობიდან ინჟინერი იყო–4, იურისტი–2, ჩინოვნიკი–3, ვაჭარი–14, ექიმი ერთი–სამხედრო–3, აფთიაქარი–1, და სახლთმფლობელი 8.პირველი ოთხწლეულის ქალაქის თვითმმართველობა შედგებოდა შემდეგი თანამდებობის პირებისაგან: მთავარმართბელის მიერ დანიშნული ქალაქის თავი კ.დ. გავრონსკი, თვითმართველობის სამი წევრი: დ.ი ბიკოვი–ბათუმის საბაჟოს ყოფილი თავმჯდომარე, ა.ი კოიანდერი და ი.ს შადინოვი, ქალაიქს მდივანი ი.ს მესხი. მოსამსახურების დანარჩენი პერსონა შედგენილი იქნა შემდეგი პირებისაგან, ბუღალტრად დაინიშნა თბილისის თვითმმართველობის ყოფილი ბუღალტერი, ს.ტ ტარუმოვი, საქმეთა მმართველად, მა ჩხატარაიშვილი, მოლარედ გ.გ გუდზი და სანაპიროს ზედამხედველად ს.პ ვერნიგოვი. [3]

ამით დასრულდა ქალაქის საზოგადოებრივი თვითმართველობის სრული ორგანიზაცია. ქალაქის თვითმმართელობის პირველი შემადგენლობის მიერ ჩატარადა შემდეგი სამუშაოები: დაიწყო და დამთავრდა ჭაობების ამოშრობა რკინიგზის გასწვრივ, ჩატარდა ქალაქის ნივერილება, შემუშავდა ქალაქის ხიდებისა და წყალსადენების მოწესრიგების საერთო გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედო ქუჩების მოწყობისათვის მომავალ სამუშაოებს. ასფალტის საფარი დაიგო და მოწესრიგდა

ქალაქის ძველი თურქული ნაწილი, შემოღებული იქნა დებულება საპორტო შემოსავლების შესახებ, ჩატარდა პირველი სერიოზული სამუშაოები ქალაქის წყალსადენის გაფართოებისათვის, ჩატარდა ქ. ბათუმის მოსახლეობის აღწერა 1890 წლის 17 ივლისს, დამტკიცდა ქალაქის სანიტარული და ვეტერინარული ექიმების თანამდებობები, აღიძრა შუამდგომლობა ზოგიერთ სანოტარო წესის შეცვლის შესახებ, დაიწყო მუშაობა ბათუმში ვაჟთა გიმნაზიის გახსნის, რკინიგზაზე ტარიფების შემცირებისა და სხვა საკითხებზე.

სათათბიროს პირველი შემადგენლობა ფუნქციონირებდა არა 4, არამედ 6 წელს, ხმოსანთა ახალი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 1892 წელს. კიდევაც დაიწყო საარჩევნო სიების შედგენა თანრიგების მიხედვით, მაგრამ კომისია წააწყდა ხელშემშლელ გარემოებას, რომ ბათუმის ცენტრთან მოქალაქეთა უძრავ–მოძრავი ქონების 1/3 ეკუთვნოდა „კასპია–შავიზღვის საზოგადოებას“, ამ საზოგადოების წარმომადგენლები ხდებოდნენ ამომრჩეველთა პირველ თანრიგში, მათ უნდა აერჩიათ ხმოსანთა მესამედი. ამის გამო საჭირო შეიქმნა ახალი საარჩევნო კანონის შემოღება.

1892 წ. 30 დეკემბერს საქალაქო საქმეთა ქუთაისის საგუბერნიო საკრებულომ მიზანშეწონილად ცნო ბათუმში გატარებულიყო ახალი საარჩევნო კანონი. ეს კანონი მართალია აუქმებდა საარჩევნო თანრიგებს, მაგრამ სამაგიეროდ ამდენჯერვე ზრდიდა საარჩევნო ცენზს. საარჩევნო სიებში შეჰყავდათ მხოლოდ მსხვილი და საშულო შემძლების მესაკუთრეები, პირველი და მეორე გილდიის ვაჭრები, რომლებიც ფლობდნენ ქალაქში უძრავ ქონებას, რომელიც შეფასებული იყო არანაკლებ 100 მანეთად.

იმ დროისათვის გავროვსკი გადადგა და ქალაქის თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა მისი მოადგილე, თვითმმაღთველობის წევრი, ა.ი. კოიანდერი, რომლის ხელმძღვანელობით ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები 1894–1898 წლების ხმოსანთა არჩევნებისათვის. დადგენილი წესის მიხედვით 1894 წლის 12 ოქტომბრის არჩევნების დღისათვის საარჩევნო სიებში აღმოჩნდა 318 ამომრჩეველი. გაჩაღდა წინასაარჩევნო მუშაობა. [4]

ბათუმში მცხოვრებ ყველა ეროვნებას უნდოდა ქალაქისთავად მისი ერის წარმომადგენელი გამხდარიყო. განსაკუთრებულ პრეტენზიას აცხადებდნენ რუსები და სომხები. ქალაქისთავის მოვალეობის შემსრულებელი კოიანდერი დარწმუნებული იყო, რომ არჩევნები მის სასარგებლოდ დამთავრდებოდა, სომხებმა კი ქალაქისთავის კანდიდატად გენერალი ბებუთოვი ჩამოიყვანეს.

საჭირო შეიქმნა ქართული ფრაქციის მუშაობის გააქტიურება, რათა თვითმმართველობაში რაც შეიძლება მეტი ქართული ორიენტაციის პიროვნება ყოფილიყო. ეს საქმე იკისრეს ივანე მესხმა და გრიგოლ ვოლსკიმ. მათი მოხერხებული მოქმედება და სიტყვა თანდათან მეტ და მეტ მომხრებს და თანამგრძნობთა რიცხვს იმატებდა. როცა თანამგრძნობთა საკმაო რიცხვი შეიქმნა, გადაწყვეტილება მიიღეს შემოეერთებინათ ბერძენთა ამომრჩევლები. საბოლოოდ, ვოლსკისა და მესხის ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო. არჩეულ ხმოსანთა შორის უმეტესობა ქართველები იყვნენ.

საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას სავარძელში მოთავსებული იყო და არჩევნების მსვლელობას უყურებდა განგებ ამ შემთხვევისთვის თბილისიდან ჩამოყვანილი ილია ჭავჭავაძე.

ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი აყტკინება გამოიწვია ქართველებში

ახლა საჭირო იყო ქალაქისთავის თანამდებობისთვის შესაფერისი კანდიდატის გამონახვა. ასეთ კანდიდატად დასახელებული იქნა ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავი ლუკა ასათიანი.

1894 წ. 12 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სათათბიროში არჩეული იქნა 35 ხმოსანი. ამათგან 8 იყო რუსი, 3 პოლონელი, ქართველი–19, ბერძენი–5. არჩეულმა ხმოსნებმა 1895 წლის 25 ნოემბერს დადეს ფიცი და იმავე დღეს ჩატარდა სათათბირო თავმჯდომარის არჩევნები. სათათბიროს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ხმოსანი ს.ზროდლოვსკი. 1895 წ. 25 იანვარს კი ჩატარდა თვითმმართველობის თანამდებობის პირთა არჩევნები. არჩეულ იქნენ ქალაქის თავი ლ. ნ. ასათიანი, გამგეობის წევრები გ.ი. ვოლსკი, ი.ა. ივანოვი და ქალაქის მდივანი ი. მესხი, ქალაქის თავის მოადგილედ არჩეულ იქნა გამგეობის წევრი ი.ა ივანოვი.

ლუკა ასათიანის არჩევას ქართველობა დიდი აღტაცებით მიეგება. განახლებულ ქალაქის თვითმმართველობაში გაჩაღდა მუშაობა სხვა ყაიდაზე, ვიდრე აქამდის. საქალაქო საქმეების მცოდნე, მუყაითი მუშაობაში, დაუღალავი, ახალი ქალაქის თავი დაუზოგავად მუშაობდა. ლუკა ასათიანი წარმოშობით იყო ქუთაისთან ახლოს მდებარე პატარა სოფელ ქვიტირიდან, (დაიბადა 1826 წელს). ქუთაისის 4 კლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ჯერ სწავლა გიმნაზიაში განაგრძო, შემდეგ კი მუშაობა დაიწყო ჯერ ერევნის გუბერნიის სასამართლოში, შემდეგ ქუთაისის ოლქის სასამართლოში, შემდეგ კი არჩეულ იქნა ქალაქის თავად.

დიდი ცოდნის, დიდი გამოცდილების მქონე, მშვენიერი სიტყვის პატრონი, დინჯი, წარმოსადეგი, ყოველთვის და ყველგან ტოვებდა დიდ შთაბეჭდილებას.

1898 წ. დაინიშნა ახალი არჩევნები. 18 ოქტომბერს და 15 ნოემბერს ჩატარდა ხმოსანთა არჩევნები. არჩეულ იქნა 41 ხმოსანი, რომელთა შორის უმეტესობას ქართველობა შეადგენდა. 1899 წლი 7 იანვარს ჩატარდა თანამდებობის პირთა არჩევნები, რის შედეგადაც შენარჩუნებულ იქნა ადრე არჩეული თანამდებობის პირები. [5]

ლუკა ასათიანმა თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა პროგრესული პიროვნება ეროვნების მიუხედავად, რომლებიც ჩართული იყვნენ ყველა იმ დიდ საქმეში, რამაც განაპირობა უმოკლესი 6 წლის განმრავლობაში მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელება, აღსანიშნავია ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე ჭაობის ამოშრობა ინჟინერ ჟილინსკის მეთაურობით (ჟილინსკის არხი), კაპიტალურად გაიყვანეს სანიაღვრე არხები, პარალელურად წარმოებდა ქალაქის დადაბლებული ადგილების ხრეშითა და გრუნტით ამოვსება. ამ სამუშაოების შესრულების შემდეგ შესაძლებელი გახდა გაყვანილიყო ახალი ქუჩები და მოასფალტებულიყო მათი სავალი ნაწილი. ქალაქში დამონტაჟდა მცირე მოცულობის ელექტროსადგური. ლ. ასათიანის და მისი მომხრეების ძალისხმევით დაიწყეს ქალაქის საავადმყოფოს მშენებლობა. ასევე დამთავრდა მშენებლობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი ქართული სკოლის შენობისა (ახლანდელი პირველი საშუალო სკოლა), გაიხსნა ორი დაწყებითი სკოლა, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, ქალაქში დაარსდა ლომბარდი, აიგო დახურული ბაზრის შენობ, საფუძველი ჩაეყარა საჯარო ბიბლიოთეკას, გაცოცხლდა თეატრალური ცხოვრება, ფართო გასაქანი მიეცა

სავაჭრო-საყოფაცხოვრებო და საბანკო საქმიანობას, ქალაქის ძველი რაიონი სავაჭრო ცენტრად იქცა, აშენდა რამდენიმე კომფორტული სასტუმრო, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ნავსადგურს.

ლუკა ასათიანის ინიციატივით ქალაქის თვითმმართველობისათვის შენობის გასამართავად გამოიყო მიწის ნაკვეთი, გაკეთდა შენობის პროექტი, რომლის საფუძველზეც დაიწყეს მშენებლობა.

თავდაპირველად ქალაქის გამგეობა მდებარეობდა ნაქირავებ ბინაში მარინსკის პროსპექტზე და მიახაილოვის ქუჩების კუთხეში მდებარე თავად გურიელის სახლში, ხოლო 1903 წელს დამთავრდა ქალაქის თვითმმართველობის ვრცელი, მოხერხებული შენობის მშენებლობა დიდი დარბაზით სათათბირო სხდომებისათვის, საკანცელარიო სამმართველოს და სამშენებლო განყოფილების გარდა ქვედა სართულზე იყო ქალაქის ლომბარდი და სხვა საქალაქო დაწესებულებები, მათ შორის ბიბლიოთეკა.

1901 წ. 9 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა ქალაქისთავი ლუკა ასათიანი. ლუკა ასათიანის სიკვდილმა საზოგადოების დიდი მწუხარება გამოიწვია. იგი დაიტირა ათასობით ბათუმელმა, მისი ნეშტი გადაასვენეს მშობლიურ ქალაქ ქუთაისში. მისი სახელის უკვდავსაყოფად, მისი სახელი მიენიჭა ახლანდელი ერას ქუჩის ერთ მონაკვეთს, აჭარის გასაბჭოების შემდეგ ქუჩას მიენიჭა მ. გორკის სახელი. ამჟამად ლ. ასათიანის სახელი მინიჭებული აქვს იმ ქუჩას, სადაც განთავსებულია ქ. ბათუმის მერიის შენობა.

ლუკა ასათიანის გარდაცვალების შემდეგ საჭიროებამ მოითხოვა გამოძებნილიყო ისეთი ქართველი მოღვაწე, რომელიც ღირსეულად გააგრძელებდა დაწყებულ საქმეს. ილია

ჭავჭავაძის რჩევით შეჩერდნენ ივანე ანდრონიკაშვილის კანდიდატურაზე. ივანე იყო ახლაგაზრდა აგრონომი, ენერგიული და ნებისყოფიანი კაცი.

ი. ანდრონიკავილი დაიბადა 1862 წელს გურჯაანის რაიონ სოფელ მელიანში. 1887 წელს მან წარმატებით დაამთავრა მოსკოვის პეტროვსკის სახელობის სამიწათმოქმედო და სატყეო აკადემია, 1889–1902 წწ. მუშაობდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მთავარ ექსპერტად და ხელმძღვანელობდა ფილოქსერასთან ბრძოლის ექსპედიციებს როგორც საქართველოში ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში. ი. ანდრონიკაშვილი იმხანად ხალხში აგრონომიული ცოდნა–პოპულარიზაციის მიზნით აწყობდა საჩვენებელ–საცდელ ნაკვეთებს, ცდიდა სასოფლო–სამეურნეო მანქანა-აგრეგატებს. ივანე ანდრონიკაშვილი დაეთანხმა ბათუმიდან წარგზავნილ დელეგაციას კენჭი ეყარა ბათუმის ქალაქისთავის თანამდებობაზე.

1902 წლის 17 იანვარს ჩატარდა ქალაქისთავის არჩევნები. ქალაქის თავად არჩეულ იქნა ივანე ანდრონიკაშვილი. ამის შემდეგ. ი. ანდრონიკაშვილი კიდევ ოთხჯერ იქნა არჩეული ქალაქის თავად.

ივანე ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა ბათუმში ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მისი ხელმძღვანელობით აშენდა ახალი სასმელი წყლის სათავე ნაგებობა, დაჩქარებული ტემპით გაგრძელდა ქალაქის ირგვლივ არსებული ჭაობების ამოშრობის სამუშაოები, დაიწყო გაძლიერებული ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ, აშენდა ქალქთა და ვაჟთა გიმნაზიის შენობები, არსებული 120 ცხენისძალის, მქონე ელექტროსადგური გაძლიერდა 300 ცხენისძალამდე. შეიქნა ქალაქის ძლიერი სახანძრო რაზმი შესაბამისი აღჭურვილობით, საფუძველი ჩაეყარა მწვანე კონცხის ბოტანიკური ბაღის გაშენებას და პირადად ი.

ანდრონიკაშვილის რეკომენდაციით მის ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესორი აკრასოვი და სხვ.

1916 წელს ივანე ანდრონიკაშვილი გადადგა დაკავებული თანმდებობიდან და მისი ადგილი დაიკავა ევგენი კრინიცკიმ (დარახველიძე), რომელიც ეროვნებით ქართველი გახლდათ, ძალზე განათლებული და ერუდირებული პირვნება იყო. ე, კრინიცკი ბათუმის ქალქის თავის თანამდებობაზე შეცვალა ვ. საბახტარაშვილმა, საბახტარაშვილი–ჯავახიშვილმა, ჯავახიშვილი–ანჯაფარიძემ. [6]

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში შეიქმნა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებული კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა ქალაქის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებას. რაც შეეხება ქალაქის სათათბიროს, იგი აჭარის გასაბჭოებამდე უწყვეტლივ ფუნქციონირებდა.

გამოყენებული წყაროები

1. აჭარის სახელმწიფო არქივი (შემოკლებით ასა), ფ. 1, აღწ. I, საქ. 121, ფურც. 34
2. ასა, ფურც. 46
3. ასა, ფურც. 58-59
4. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 267, ფურც. 1113-116
5. იქვე, ფურც. 162-167
6. ასა, ფ. 1, აღწ. I, საქ. 123, ფურც. 24-28

Summary

Batumi is the self-governing town of autonomous republic of Adjara and its board of administration determines organic law of Georgia about " local self-government". It has been set in motion in the 16th of December in 2005. Though self-government of the town has a considerably large history.

The establishment and formation of Assembly is associated with a scale geopolitical processes. In 1877-1878 years in the war of Russia-Turkey after victory of Russia in 25th of August 1878 year on 2 o'clock of the day Russian army entered Batumi with the leader Sviatopolk-Mirski. From this place is starting new history of Batumi. Despite of Russia's imperialist character, this side was herald of Europian culture. At this time in Georgia there was strong national-educational motion by initiative

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ბათუმში 1905 წელს

ცარიზმის მმართველობის პერიოდში ქალაქ ბათუმისათვის განსაკუთრებით მშფოთვარე და დაძაბული იყო 1905 წელი. ქალაქში 1900 წელს დაწყებული მუშათა დემონსტრაციები, გაფიცვები და გამოსვლები, რომელთაც ტონს აძლევდნენ იქ არსებული პოლიტიკური პარტიები კულმინაციას აღწევს 1905 წელს.

იმ დროისათვის ეთნიკურად და სოციალურად ჭრელ ქალაქში არსებობდა რუსეთის იმპერიის მასშტაბით საკმაოდ მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები.

ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ ორგანიზაციული სიძლიერისა და მოსახლეობაში გავლენის მიხედვით, ბათუმში 1905 წელს არსებული პოლიტიკური სპექტრი.

ისტორიოგრაფიული, საარქივო და სამუზეუმო მასალებიდან ირკვევა რომ, 1905 წელს ბათუმში ფუნქციონირებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი ორი ფრაქციით: მენშევიკებით და ბოლშევიკებით, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიურო, სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის ორგანიზაცია, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა, ანარქისტული პარტიის პატარა ჯგუფი, სომხური პოლიტიკური პარტიები "დაშნაკცუტიუნი", "ჰნჩაკი", "დროშაკი", ებრაული პოლიტიკური ორგანიზაცია "ბუნდი", რუსული ულტრანაციონალისტური პარტია "რუსი ხალხის კავშირი".

პოლიტიკური პარტიების მიერ განხორციელებული მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების შედეგად 1905 წელს ბათუმში ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობა დაიხურა, ვაჭრობა ჩაკვდა, დაცარიელდა ნავსადგური და მაღაზიები, ნავთობი

იშვიათ შემთხვევებში იგზავნებოდა გემებით უცხოეთში, შეწყდა სამგზავრო რეისები, მოიშალა რკინიგზის მუშაობა. რევოლუციურ პოლიტიკურ პარტიებს მიტმასნილი ნაბირალები ეწეოდნენ ფულის გამოძალვასა და მოსახლეობის დატერორებას. (13, 327).

1905 წელს ბათუმში არსებული პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ფრაქციულ დისკუსიებში იყვნენ ჩაფლული. (12, 27).

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის ორგანიზაციაში იმ დროს ათასხუთასამდე წევრი ირიცხებოდა. (3. 33).

ფრაქციულ დისკუსიებში 1905 წლის აპრილამდე დომინირებდნენ ბოლშევიკები, ხოლო აპრილის ბოლოს ბათუმში ჩატარდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტის არჩევნები, რომელიც უაღრესად დაძაბული სიტუაციაში მიმდინარეობდა. ბათუმში ჩამოვიდნენ ნოე რამიშვილი და იოსებ ჯუღაშვილი, რომლებმაც სამი დღის განმავლობაში უშეღავათო დებატები გამართეს ქალაქის მუშათა კლასის კრებებზე. შიდაპარტიული დისკუსია ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. (15, 42). მენშევიკების გამარჯვება ბათუმის კომიტეტში მათ სასარგებლოდ გადაიხარა, ნოე ჟორდანიას ჩასვლის შემდეგ, რომელიც ბათუმში ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა. ბათუმის ათასხუთასკაციანმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით აირჩია შვიდკაციანი მენშევიკური კომიტეტი. (6,193-194).

1905 წლის აპრილიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციამ მიიღო მენშევიზმის იდეური და ორგანიზაციული პრინციპები.

მენშევიკური ბათუმის კომიტეტი კარლო ჩხეიძის ხელმძღვანელობით (რომელიც კომიტეტში არ იყო არჩეული მაგრამ მათ აღიარებულ ლიდერად ითვლებოდა) წინა პლანზე აყენებდა მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარებას მთავრობის წინააღმდეგ და აქედან გამომდინარე უპირისპირდებოდა ბოლშევიკების მოთხოვნას შეიარაღებული აჯანყების დაწყების თაობაზე. 1905 წლის აპრილიდან ბათუმში მიმდინარე პროცესებმა ნათლად წარმოაჩინა მენშევიკების სტრატეგიისა და ტაქტიკის პოპულარობა.

პოლიტიკურმა ტერორმა რუსეთის იმპერიაში იმ დროს მაღალ დონეს მიაღწია. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიაც ტერორით ცდილობდა ხელისუფლების დეზორგანიზაციას. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციაში ტერორისტული სისტემის მიმართ ორი განსხვავებული შეხედულება არსებობდა. მენშევიკები უარყოფდნენ ტერორის ამოქმედებას, ხოლო ბოლშევიკები მას მიიჩნევდნენ მიზნის მიღწევის უალტერნატივო საშუალებად. (7, 558).

მიუხედავად ფრაქციების განსხვავებული შეხედულებისა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციამ 1905 წლის განმავლობაში მოაწყო 30-ზე მეტი ტერორისტული აქტი ცარიზმის მოხელეების წინააღმდეგ. (18, 144).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციამ რევოლუციის აღმავლობის წელს (1905) "ბარცხანის გუბერნატორის" ხელმძღვანელობით ბათუმში მოაწყო 25 იანვრის, 20 თებერვლის, 8 მაისის, 23 ოქტომბრის მუშათა მიტინგები და 28 ნოემბერსა და 1 დეკემბერს კი შეიარაღებული გამოსვლა კაზაკებისაგან ქალაქის დასაცავად. (თუმცა 28 ნოემბერ - 1 დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება ინტერპარტიული ხასიათის იყო ო.გ.). (19, 173).

1904 წლის ზაფხულში ბათუმში ჩამოყალიბდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სვიმონ მდივანი, მემედ აბაშიძე, პარმენ საბაშვილი, ვასილ წერეთელი, ზია აბაშიძე და სხვები. (10, 15).

1905 წელს ისინი ბათუმში გამოსცემდნენ გაზეთ "გოლოს ბატუმას". (8, 13-14).

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიუროსთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ნესტორ კალანდარიშვილი, გრიგოლ ქიქოძე და სევასტი ჭელიძე. (11, 377).

სოციალისტ-ფედერალისტური პარტია სოციალ-დემოკრატების შემდეგ ბათუმში 1905 წელს ყველაზე მძლავრ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. (16, 294).

1905 წლის რევოლუციის დროს ბათუმში ოპოზიციის მიერ ჩატარებულ მიტინგებზე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორატორი იყო სოციალისტ-ფედერალისტი სვიმონ მდივანი. (9, 140-141).

1905 წლის 15 ნოემბერს ოდესიდან ბათუმში ჩამოასვენეს რუსი შავრაზმელების მიერ მოკლული მეცნიერი საბა კლდიაშვილი. "აზიზიეს" მოედანზე ჩატარდა გრანდიოზული ანტისამთავრობო დემონსტრაცია. ამ დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიუროს წევრები (11, 380-381).

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიურო ემხრობოდა ცარიზმის წინააღმდეგ დემონსტრაციებისა და მიტინგების ჩატარებას, თუმცა მათ სამოქმედო არეალში ასევე შედიოდა ტერორისტული აქტების განხორციელებაც. მაგალითად ბათუმში ხშირად ჩამოდიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტი ტერორისტი ძმები ქიქავები, რომლებმაც რამდენჯერმე განახორციელეს ტერორისტული აქტი ადგილობრივი ხელისუფლების ჩინოვნიკთა წინააღმდეგ. (18, 13).

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიურო აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 28 ნოემბერ – 1 დეკემბრის შეარაღებულ გამოსვლაში. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა 400 კაციან შეიარაღებულ რაზმს, რომელიც ჩადგა ბათუმის ქუჩებში ბათუმელების ჯარისკაცებისა და კაზაკებისაგან დასაცავად. (5, 2968).

სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტი დაარსდა 1904 წელს. მას ჰქონდა არალეგალური სტამბა. კომიტეტში გაწევრიანებული იყვნენ ინტელიგენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა. სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტი მიზნად ისახავდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ორგანიზებას, თუმცა მათი გავლენა ბათუმის მოსახლეობაზე 1905 წლისათვის სუსტი იყო. (11, 374).

1905 წლის იანვარში სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტში გაერთიანებული იყო საკარა (კომიტეტის ხელმძღვანელი), შტიმპელი, მიხაილოვი, გინკულოვი, ფეფელოვი. (11, 376).

სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტს ჰყავდა ტერორისტთა რაზმი, რომელიც შედგებოდა კრიმინალური ელემენტებისაგან. ისინი ასრულებდნენ კომიტეტის დავალებებს ტერორისტული აქტების მოსაწყობად.

1905 წლის 30 აგვისტოს სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტი ორასი მომხრით გაემგზავრა ქობულეთში და რკინიგზის სადგურში ჩაატარა მიტინგი ცარიზმის წინააღმდეგ გამოსვლების მოწოდებით. (2, 23-24).

ქართულ ეროვნულ-დემოკრატიაში სამი მიმართულება გამოიკვეთა: ესენი იყო: „ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, დემოკრატიული წყობილების ფორმირება, კერძო საკუთრების დაცვა“. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა,

პოლიტიკური პარტია ვერ ჩამოაყალიბეს, მაგრამ საქართველოში 1905 წელს არსებობდა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ჯგუფი, რომელიც ბათუმში თავს იყრიდა ივანე ანდრონიკაშვილის, ივანე მესხის და გრიგოლ ვოლსკის გარშემო. (4, 21).

1905 წელს ქალაქში გახშირებული უწესრიგობების გამო ივანე ანდრონიკაშვილმა და მისმა ჯგუფმა თვითმმართველობის ეგიდით რამდენიმეჯერ მიმართეს ბათუმის გენერალ-გუბერნატორს ჯარისა და კაზაკების უმსგავსო მოქმედებების აღკვეთის შესახებ. (5, 2968).

ბათუმის ქალაქისთავმა ივანე ანდრონიკაშვილმა 1905 წლის 2 მარტის საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა საკუთარი აზრი ცარიზმის "დამყარებული სახელმწიფო წყობილების" შესაცვლელად. მან ხელისუფლებისაგან მოითხოვა სიტყვის, სინდისის, სარწმუნოების, კრებების, პრესისა და პიროვნების ხელშეუხებლობის უფლებები. (4, 21).

1905 წელს ბათუმში არსებობდა ანარქისტების მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ გ. გვაზავა, ი. სიხარულიძე, ი. დიხამინჯია, ს. გამსახურდია. ბათუმელი ანარქისტები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტის წევრებს ყაჩაღებს უწოდებდნენ, რის გამოც ხშირად იმართებოდა მათ შორის არა მარტო დისკუსიები, არემედ ხელჩართული ჩხუბიც. (8, 32).

ბათუმში 1905 წელს ფუნქციონირებდა სამი სომხური პოლიტიკური პარტია "დაშნაკცუტიუნი", "დროშაკი" და "ჰნჩაკი".

ბათუმში იმ დროს ცხოვრობდა დაახლოებით 30 ათასამდე კაცი, მათ შორის 5200 სული სომეხი, რაც შეადგენდა მოსახლეობის 17%. (14,115).

ამ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბათუმელი სომხების უმრავლესობა "დაშნაკცუტიუნს" უჭერდა მხარს, შემდეგ "ჰნჩაკი" მოდიოდა, ხოლო ბოლოს "დროშაკი". (1, 18-20).

"დაშნაკცუტიუნის" პოლიტიკური ლიდერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბათუმში მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რის გამოც ბათუმში ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისიდან პარტიის ლიდერები სტეფანე ზორიანი და ანდრანიკ ოზანიანი. (17, 90).

1905 წელს "დაშნაკცუტიუნის" ბათუმის კომიტეტში შედიოდნენ: სარიბეკ არუთიუნიანი (თავმჯდომარე), სუმბათ არუთიუნიანცი, არზუმან ავაკოვი, გრიგოლ დანიელოვი, პარინ დარმანიანი, გრაცია ადამიანცი, ქრისტეფორე დანიელიანი. (11, 377).

1903 წელს ბათუმში დაარსდა ებრაული პოლიტიკური პარტია "ბუნდი", რომლის შემადგენლობაში ებრაელი მუშები იყვნენ გაერთიანებული. (1, 18).

1905 წელს "ბუნდის" ლიდერები ბათუმში იყვნენ: დინინი (თავმჯდომარე), ჩერტკოვი, შმაევსკი, ფეიგინი, გერტზონი, ჩერელკინი. (11, 377).

1903 წლიდან ბათუმში მოქმედებდა რუსული პოლიტიკური ორგანიზაცია "რუსი ხალხის კავშირი". ეს იყო ტიპიური ნაციონალისტურ-შოვინისტური პარტია, რომლის წევრები ცდილობდნენ გაეღვივებინათ შუღლი ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის. ისინი განსაკუთრებით აგრესიულები იყვნენ ქრისტიანი ქართველების მიმართ. (1, 18).

1905 წლის იანვარ-მაისისა და ოქტომბერ-დეკემბრის ბათუმის რევოლუციური პროცესების ძირითადი მამოძრავებელი ძალები იყვნენ იქ არსებული პოლიტიკური პარტიები. ეთნიკური და სოციალური სიჭრელე ბათუმში განაპირობებდა სხვადასხვა

ეროვნული და სოციალური ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიების არსებობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქ.1520.

2. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, საქ. 17.

3. ხ.ახვლედიანი, 1905-1907 წლების რევოლუციის გამოძახილი აჭარაში, ბათუმი 1987.

4. გაზ. "ივერია". 1905, 6 მარტი. #21.

5. გაზ. "ცნობის ფურცელი". 1905, 4 დეკემბერი #-2968.

6. ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია, თბილისი, 1999.

7. გრ.გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველი რევოლუციამდე 1861-1905, თბილისი, 1928.

8. ო.ოგოლიშვილი, საზოგადოებრივ პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1905-1907) თბილისი, 1994.

9. დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი , 1984.

10. თ. კომახიძე, მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1993.

11. ფ. მახარაძე, ამიერკავკასია 1905 წელს, თბილისი, 1929.

12. საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბილისი, 2003.

13. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი, 2008.

14. ვლ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958.

15. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წ. III, თბილისი, 1994.

16. დ. შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში.. ფედერალისტები. თბილისი, 1993.

17. არჩ. ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბილისი, 2007.

18. Чулок И., очерк истории Батумской коммунистической партии, Бат. 1970.

19. პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890- 1914), ბათუმი, 1959.

Political Parties in Batumi, 1905

Summary

In 1905 in Batumi was functioning Russian Social Democratic Working Class Committee of Batumi, Socialist- Federalist Party Batumi Bureau, Social Revolutionary Party Batumi Committee, Group of National Democratic Movement, Anarchists Small Group, Armenian Political Parties "dashnaktsution", „hachaki", „droshak" Jewish political Party "bundi" and Russian Ultra National Chauvinistic Party "Union of Russian People".

Among these political Parties in Batumi, The most influential was rsdwp Batumi Committee, which was divided into two factions.

Social Democratic Party Batumi Committee was the current revolutionary processes main ruling Opposition Political party in Batumi, in 1905.

Among the Georgian Political parties at that time in Batumi existed Socialist Federalist Party Batumi Bureau.

It couldn't have been formed like political party, but in Batumi functioned the group of national democrats leaded by Ivane Andronikashvili holding the same views as Ilia Chavchavadze .

Socialist Revolutionary Organization Batumi Committee influence at that time was insignificant.

In Batumi was also functioning Anarchist Small Group.

Armenian population interests in Batumi protected Political parties "dashnaktsutian","hnchaki", "droshak".

From 1903 in Batumi existed Jewish political organization "bundi".

A Tsarism interest in Batumi, in 1905 was protected by Ultra National Chauvinistic Party, "Union of Russian People".

ბათუმი-კულტურათა დიალოგის ცენტრი (XIX-XX ს.ს.)

აჭარა არის ის ადგილი, სადაც გვერდიგვერდ ფუნქციონირებენ ქრისტიანულ-მართმადიდებლური, სომხურ-გრიგორიანული, კათოლიკური ეკლესიები, ასევე მუსლიმანური სამლოცველო-მეჩეთი და ებრაელთა სინაგოგა, რომლებშიც ყოველ მსურველს, ყოველ მორწმუნეს, თავისუფლად, თავისი რწმენისა და მრწამსის მიხედვით შეუძლია შესვლა და ლოცვა.

ბათუმი ის ქალაქია, სადაც ერთმანეთში მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა ხალხის კულტურა. შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი კულტურათა დიალოგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია მთელს რესპუბლიკაში.

უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც რუს-ქართველთა გაერთიანებულმა ჯარმა 1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმი დაიკავა, ამ ჯარის ოფიცრები და ჯარისკაცები ლოცვას აღავლენდნენ წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნულ ეკლესიაში, რომელიც იმხანად ერთადერთი ქრისტიანული ეკლესია გახლდათ მთელს ქალაქში. ხოლო, უკვე 1895 წლისათვის კი ქალაქ ბათუმში ფუნქციონირებდა შემდეგი საკულტო ნაგებობები: წმინდა მიხეილის სახელობის მართმადიდებლური ეკლესია, მართმადიდებლური ეკლესია ღვთისმშობლის მფარველობისა, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესია, მაცხოვრის სახელობის კათოლიკური ეკლესია, სომხურ-გრიგორიანული ეკლესია, აზიზიეს სახელობის დიდი მეჩეთი, მეჩეთი ორთაჯამე, მუფტი ჯამე, ხოლო 1912 წლისათვის აღნიშნულ საკულტო ნაგებობებს დაემატა კიდევ რამდენიმე ნაგებობა.

სამწუხაროდ, აქ ჩამოთვლილ ნაგებობათა შორის უმეტესი უკვე აღარ არსებობს (უმეტესწილად დაანგრიეს). [1]

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ბათუმში ფუნქციონირებდა შემდეგი სასულიერო სკოლა: ბათუმის საეკლესიო-სამრევლო სკოლა, ბათუმის გოგონების საეკლესიო სამრევლო სკოლა (ბერძნული), სომხურ-კათოლიკური საეკლესიო-სამრევლო სკოლა.

მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნე ეს არის დრო, როდესაც საქართველო იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მიმდინარეობდა ბრძოლა ეროვნულობის, ქართული ტრადიციების წინააღმდეგ, საკულტო ნაგებობების მშენებლობები აჭარაში მაინც ინტენსიურად მიმდინარეობდა. ქალაქს ამშვენებდა სხვადასხვა აღმსარებლობის საკულტო ნაგებობები. ამის შესახებ საუბრობდნენ იმხანად ქალაქში მყოფი უცხოელი მოგზაურები თუ მეცნიერები. მაგ, 1911 წელს ბათუმში იმყოფებოდა ფრანგი მეცნიერი პიერ ლემორი. იგი აღნიშნავს, რომ: „ბათუმი მიეკუთვნება იმ ქალაქთა რიცხვს, სადაც ყველა რელიგიის მიმდევრებს აქვთ საკუთარი საკულტო ნაგებობა. ყველა ეს ნაგებობა ერთმათთან ახლოს მდებარეობს. აქ ნახავთ ქართველ მართმადიდებლებს, რომლებიც ლოცულობენ თავიანთ ეკლესიებში.ქართველ მართმადიდებლებს თავიანთი მშვენიერი ეკლესია აქვთ, ასევე საკუთარ ეკლესიებში ლოცულობს რუსი მართმადიდებლები. რუსებს ბათუმში აგებული აქვთ ერთ-ერთი დიდებული ტაძარი, რომელსაც აქაურები „სობოროს" ეძახის. იქვე ახლოს მდებარეობს ასევე კათოლიკების საოცარი ტაძარი, რომელიც ყოველდღე სავსეა ბათუმელი კათოლიკებით, ამ ტაძართან ახლოს მდებარეობს ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, რომ-

ლის გვერდზე ბერძნული სამრევლო სკოლაა.ეს სკოლა ხშირად აწყობს ღონისძიებებს, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ბათუმში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები.ბერძნული ეკლესიიდან ორი ქუჩის იქეთ მდებარეობს სომხური გრიგორიანული ეკლესია.ამ ეკლესიას გააჩნია რამდენიმე სამრევლო სკოლა.ბათუმში მდებარეობს სამი მეჩეთი, რომელსაც მლოცველები ნამდვილად არ აკლია.ჩემი ბათუმში ყოფნის ხუთი თვის განმავლობაში არ მომხდარა არც ერთი ინციდენტი რელიგიურ ნიადაგზე,თუმცა, როგორც გავიგე, ადრე, ასეთი კონფლიქტები ხშირად ხდებოდა". ფრანგი მეცნიერის ეს ჩანაწერი იმაზე მეტყველებს, რომ ბათუმი წარმოადგენდა ადგილს, სადაც ყველა ეროვნებას გააჩნდა საკუთარი სამლოცველო. [2]

როგორც ცნობილია,მე-19 საუკუნეში ბათუმში სხვადასხვა ეროვნების ბევრი წარმომადგენელი ცხოვრობდა,რომელთაც გააჩნდათ თავიანთი კულტურა.მიუხედავად იმისა,რომ მეფის რუსეთის ჩინოვნიკები ხელს უშლიდნენ ამ ეროვნებებს კულტურულ განვითარებაში, მაგრამ მათ შორის ხშირად იმართებოდა შეხვედრები,ტარდებოდა კულტურული ღონისძიებები, ხდებოდა აზრთა გაცვლები, დისკუსიები სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე და სხვა. საყურადღებო ცნობას გვაწვდის ბათუმელი ექიმი ა. ერიქსონი. ცნობა ეხება 1888 წელს. იგი ამბობს, რომ ბათუმელი მასწავლებლის ნიკოლოზ დერჟავინის სახლში გაიმართა საინტერესო შეხვედრა,რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველები ვარლამ ბახტაძე და ნოდარ ვაშაკიძე, სომხები აშოტ ბაღდასარიანი და ანტონ გრიგორიანი, ბერძნები ხრისტო ილიადისი და კოსტას ეფრემიდი, რუსები ანატოლი ბისტროვი, ევგენი ხარიტონოვი და იური როსტოვცევი,ქართველი მუსლიმანები ხუსეინ ბეჟანიძე

და იბრაიმ გურგენიძე,ებრაელები მოშე ლიბერმანი და იოსებ ზელცერი. შეხვედრაზე ისაუბრეს ბათუმში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს შორის დაახლოების შესახებ, რომელშიც ამ ხალხთა კულტურამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს. ითქვა იმის შესახებაც,რომ ხშირად უნდა მოეწყოს კულტურული ღონისძიებები, სადაც მონაწილეობას მიიღებს ყველა ერის წარმომადგენელი. უნდა შემუშავდეს სპეციალური პროგრამა, რომელშიც ყველა ერის წარმომადგენლის სასიმღერო თუ საცეკვაო ნომერი იქნება შეტანილი. ეს კი ხელს შეუწყობს კულტურათა დაახლოებას. ასევე უნდა გაიმართოს კულტურათა დიალოგი.ყველა ერს ერთმანეთის კულტურული შესაძლებლობების შესახებ გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს. ასევე საინტერესოა იმავე ერიქსონის ცნობა იმის შესახებ,რომ 1889 წლის 6 ივნისს, ქალაქის ზღვისპირა პარკში გაიმართა დიდი კონცერტი,რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა ბათუმში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი. კონცერტი მიჰყავდათ დავით შაფათავასა და სიმონ ხოხლოვს.დასაწყისში მათ ისაუბრეს იმის შესახებ თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ხალხთა დაახლოებაში კულტურას,კულტურა ის ფენომენია, რომელიც ხალხებს ერთმანეთს უკეთ აცნობს, აგებინებს მათ ტრადიციებს,ეხმარება მათი წარსულის გაცნობაში, აახლოებს სხვადასხვა ერს და სხვა. ასეთი ღონისძიებები ქალაქში იმართებოდა, რომელსაც გამოხმაურებები ჰქონდა იმდროინდელ პრესაში. მაგ, 1893 წლის 18 თებერვალს, გაზეთმა „ჩერნომორსკი ვესტნიკმა" დაბეჭდა ს. დრანდის სტატია „ბათუმში მცხოვრებ სხვადასხვა ერის კულტურათა შესახებ", რომელშიც აგრესიულად მიმოიხილა სხვადასხვა ეროვნებების კულტურა. აღნიშნა, რომ ბათუმში კულტურათა დიალოგი ვერ შედგება იმის გამო,რომ აქ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული

ხალხი ცხოვრობს, მათ ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვთ და მათი მონაწილეობით ჩატარებული კონცერტები ბევრს არაფერს ნიშნავს და ვერავითარ წარმოდგენას ვერ უქმის ხალხს მათ კულტურაზე და ა.შ. საინტერესოა,რომ იმავე გაზეთმა 1893 წლის 2 მარტს დაბეჭდა ბერძენი სტეფანე ხარიდიდის მეტად საინტერესო სტატია სათაურით ,,კულტურა ხალხთა დაახლოებისათვის ყველაზე მძლავრი იარაღია". ამ სტატიაში ავტორი ილაშქრებს ყველა იმ სკეპტიკოსის წინააღმდეგ, რომელსაც მიაჩნიათ,რომ კულტურა ხალხთა დაახლოების საქმეში დიდ როლს არ თამაშობს. მისი აზრით, კულტურას უდიდესი როლი აკისრია ხალხთა მეგობრობაში. კულტურა ხალხს უკეთ აცნობს ერთმანეთს,ყოველ ხალხს აქვს განუმეორებელი კულტურული მემკვიდრეობა. ავიღოთ ქართველი ხალხი, მათი სიმღერები და ცეკვები იმაზე მეტყველებს, რომ ისინი უძველესი ცივილიზირებული ერია,რომლის ისტორია შორეულ წარსულში იკარგება.ასევე შეუდარებელია ბერძნული კულტურა, რომელსაც მთელი მსოფლიოს კულტურულ საგანძურში ბრილიანტები აქვს შეტანილი.ასევე მშვენიერი და ლამაზია სომხური კულტურა, რაც ამ ხალხის დიდ კულტურულობაზე მეტყველებს, ასევე შეიძლება ითქვას ებრაელთა კულტურულ მემკვიდრეობაზე,რომელსაც განუმეორებელი ხელწერა გააჩნია. ყველა ერს კულტურის განვითარებაში საკუთარი წვლილი აქვს შეტანილი და ამ ერთა დიდი ნაწილი სწორედ ბათუმში ცხოვრობს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქალაქში კულტურათა გაცნობა ნამდვილად არსებობს და რაც მეტი კულტურული ღონისძიებები გაიმართება,მით უკეთესი იქნება ქალაქის კულტურული დაწინაურებისათვის. [3]

ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა განხეთქილება ჩამოეგდო ქართველ მუსლიმანებსა და ქრისტიანებში, მაგრამ ის

ამას ვერ ახერხებდა. ქართველ ძმებს შორის კულტურული ურთიერთობა მტკიცე და ურყევი იყო. ამის შესანიშნავი მაგალითია 1882 წელს, ბათუმში ქეთევან ჟურულის მიერ ჩამოყალიბებული პირველი თეატრალური სცენისმოყვარულთა წრე,რომელიც მოგვიანებით დავით კლდიაშვილის მიერ გადაკეთდა დრამატულ თეატრად. ამ წრის წევრები იყვნენ ქართველი მუსლიმანები და ქრისტიანები. ამის შესახებ საინტერესო მოგონება აქვს ბათუმის თვითმმართველობის წევრს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ივანე მესხს. იგი ამბობს, რომ ჟურულის მიერ ჩამოყალიბებული სცენისმოყვარულთა წრის აქტიური წევრები იყვნენ ქართველი ქრისტიანები და მუსლიმანები. სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ ქართველი მუსლიმანები მონაწილეობდნენ წრის მუშაობაში. ეს იმ პერიოდში ქალაქში ქართული კულტურული ტრადიციების გაძლიერების საქმეში ფრიად საყურადღებო მოვლენა იყო, რადგან ქართველ მუსლიმანებს, ცარისტული პროპაგანდის შედეგად, მსგავსი კულტურული საქმიანობისაგან შორს ეჭირათ თავი. ქეთევან ჟურულის მიერ ჩამოყალიბებულ წრეში კი ექვსი ქართველი მუსლიმანი მონაწილეობდა. ერთ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი. წრეზე იდგმებოდა პიესა „ჩემი სამშობლო". რეპეტიციები მიმდინარეობდა სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში მდგარ პატარა შენობაში. პიესის ბოლოს საჭირო იყო ბავშვს ეთქვა პატრიოტული ხასიათის ლექსი. კარგი იქნებოდა თუ ეს ბავშვი მუსლიმანი იქნებოდა, მაგრამ ეს მაშინ ძნელი მოსაგვარებელი იყო. ამ დროს მშველელად მოევლინათ წრის აქტიური წევრი ხასან დავითაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ლექსს წაიკითხავდა მისი შვილი აბდული, რომელიც რვა წლის იყო. ეს მართლაც ასე მოხდა. პიესამ მაყურებელში დიდი მოწონება დაიმსახურა. [4]

მოხდა ასეთი შემთხვევაც. ბათუმში თბილისიდან საგასტროლოდ ჩამოვიდა ქართული დასი, რომლის შემადგენლობაში იყო ცნობილი არტისტი ვასო აბაშიძე. ერთ დღეს მან დაინახა, რომ სცენაზე ვიღაც ყმაწვილი იდგა და გამოთქმით კითხულობდა ადგილს „ვეფხისტყაოსნიდან". ვასო დაინტერესდა თუ ვინ იყო ეს ახალგაზრდა, რომელიც ასე ლამაზად კითხულობს უკვდავ შოთასო.როდესაც მან გაიგო, რომ ეს ახალგაზრდა ქართველი მუსლიმანი იყო, ისმეთ მიქელაძე, ავიდა სცენაზე, ყმაწვილი გულში ჩაიკრა და თქვა, რომ ქართველი ქრისტიანებისა და მუსლიმანების ძმობა უკვდავია და მას ვერავითარი ბნელი ძალა ხელს ვერ შეუშლისო. [5]

ცნობილია, რომ 1881 წელს ბათუმში დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი ქართული სკოლა. სკოლას ფინანსურად ძალიან უჭირდა, ამიტომ 1883 წლის მარტში, ბათუმის საკრებულოს დარბაზში შედგა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველი ქრისტიანი, მუსლიმანი, ბერძენი და ებრაელი საზოგადოების წარმომადგენლები. მათ სხდომაზე ისაუბრეს ქართული სკოლის მუშაობის დიდ მნიშვნელობაზე, დაადგინეს, რომ სკოლის დასახმარებლად მოეწყოს საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ერის წარმომადგენლები. სწორედ კულტურულმა ურთიერთობებმა უნდა მოახდინოს ბათუმში მცხოვრები ერების დაახლოება, საქველმოქმედო კონცერტები კი ამას ხელს შეუწყობს, თანაც დაეხმარება ქართულ სკოლას ფინანსურად. შეხვედრაზე სამადლობელო სიტყვით გამოვიდა ქართველი მუსლიმანი ენვერ ბიბინოღლი. მან მადლობა გადაუხადა ბერძნებსა და ებრაელებს და აღნიშნა, რომ კულტურულ ურთიერთობებს დიდი ძალა აქვს ხალხთა დაახლოებისა და მათ შორის მეგობრობის

განმტკიცების საქმეში. მართალია, ჩვენს ძმებ ქრისტიან ქართველებთან ბედისწერამ დიდი ხნით დაგვაშორა, მაგრამ ისევ გავერთიანდით და ერთად ვეწევით ცხოვრების ჭაპანს, ჩვენი კულტურა ერთია, იგი ერთი ფუძიდან მომდინარეობს და საერთო მომავალი აქვს. შემდეგ სიტყვით გამოვიდა აგრეთვე მუსლიმანი სულეიმან ბერიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი ორი შვილი ქართულ სკოლაში მიაბარა, დღეს სკოლას უჭირს და კულტურულმა ღონისძიებებმა ხელი უნდა მოუმართოს მასსო. ამავე აზრზე იყვნენ ბერძენი მიმის გალისი, ქართველი ებრაელი იუზა პაპიაშვილი. ამას მოჰყვა ის, რომ იმავე წლის ოც აპრილს ბათუმის საკრებულოს დარბაზში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველები, ებრაელები და ბერძნები. კონცერტს ბევრი ხალხი დაესწრო. შემოსული თანხა გადაეცა სკოლას ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად. [6]

საყურადღებო მოვლენა მოხდა 1888 წელს, როდესაც ბათუმს ესტუმრა ცნობილი ჩეხი მომღერლისა და ლოტბარის იოზეფ რატილის მომღერალთა გუნდი. დიდი წარმატებით გამართული კონცერტების შემდეგ, რატილს უჩვენეს ადგილობრივი მომღერლებისაგან შემდგარი გუნდის კონცერტი. გუნდს ხელმძღვანელობდა არსენ გიორგაძე. ამ გუნდის შემადგენლობაში იყვნენ როგორც ქრისტიანი, ასევე მუსლიმანი მომღერლები. გუნდის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა რატილზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის დაინტერესდა თუ რა საერთო იყო ქართველ ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის. მან გაიგო, რომ ისინი ერთი ხალხი იყვნენ და მათ შორის განსხვავება მხოლოდ რელიგიური იყო.რატილი მივიდა თითოეულ მათგანთან და ხელი ჩამოართვა მათ. როდესაც მან ხელი ჩამოართვა გუნდის წევრ, მუსლიმან რეჯებ ფარტენაძეს,

მას უთხრა, თუ როგორ კარგად მღერიხართ მუსლიმანები მშვენიერ ქართულ სიმღერებსო, ფარტენაძემ უპასუხა, რომ ჩვენს შორის განსხვავება მხოლოდ რელიგიურია, ჩვენ ნამდვილი ქართველები ვართ, ჩვენ ვმღერივართ ქართველი კაცის სულიდან ამოსულ სიმღერებს და ამიტომაც არის ჩვენი სიმღერები ასე ლამაზი და მიმზიდველი. რატილმა შემდეგ თქვა,რომ კულტურას ხალხთა მეგობრობისა და დაახლოების საქმეში უდიდესი ადგილი უჭირავს. ის კმაყოფილი დარჩა ქართული სიმღერებით, თან ისიც შეიტყო, რომ ქართველი ქრისტიანები და მუსლიმანები ერთი ხალხი იყო და დროთა სიავის გამო მოხდა მათი რელიგიური სხვაობა. რატილმა აღნიშნა, რომ: „გადაგვარება იმ ხალხისა, რომელსაც მდიდარი ენა, ხმები და ჰანგები აქვს, შეუძლებელია". [7]

ასევე შეიძლება ითქვას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, რომელიც 1890 წელს მოხდა. ამ წელს ბათუმს საგასტროლოდ ესტუმრა გენიალური იტალიელი მომღერელი ერნესტო როსი. ბათუმში მის მიერ გამართულმა კონცერტებმა დიდი აღტაცება გამოიწვია. ერნესტო როსს ქალაქის ინტელიგენციამ ჩაუტარა კონცერტი, რომელშიც მონაწილებას ღებულობდა ქალაქის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქართველი, სომეხი, ბერძენი, ებრაელი და რუსი შემსრულებლები. როდესაც, ქართველი მუსლიმანებისაგან შემდგარმა გუნდმა შეასრულა ცეკვა „განდაგანა", აღფრთოვანებული იტალიელი სცენაზე ავიდა და განაცხადა, რომ ასეთი ლამაზი ილეთებითა და მუსიკით ცეკვა პირველად ვნახეო. როდესაც კონცერტი დამთავრდა, ქალაქის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მიესალმენ როსს. მათ ისაუბრეს კულტურის როლსა და მნიშვ-

ნელობაზე ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცების საქმეში. ებრაელმა ისაკ ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ბათუმში სხვადასხვა ეროვნების ებრაელებს ერთმანეთში კარგი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ განსაკუთრებით ქართველებთან გვაქვს ისტორიული და ძალიან ახლობელი და მჭიდრო ურთიერთობა, ჩვენ ერთად გამოვიარეთ ჭირსა და ვაებაში დიდი გზა, ერთად ვქმნიდით ქართულ სახელმწიფოებრიობას, ქართულ კულტურას და ამით ჩვენ გამორჩეულები და მისაბაძნი ვართ. თავის სიტყვაში ერნესტო როსიმ მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის, აღნიშნა, რომ ბათუმი მრავალეროვანი ქალაქია და სწორედ კულტურაა ის ფენომენი, რომელიც ამ ერებს აერთიანებს და აახლოებსო. ეს აზრი კი დღევანდელმა კონცერტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. რაოდენ სასიამოვნოა იმაზე ცქერა, როდესაც სცენაზე ერთმანეთს ცვლის სხვადასხვა ერის წარმომადგენელი და ცდილობს აჩვენოს ის საუკეთესო, რაც ხალხებს გააჩნიათ და შეუქმნიათო. განსაკუთრებით მას მოეწონა ქართველ მუსლიმანთა ცეკვა. კონცერტის შემდეგ გაიმართა ვახშამი, რომელსაც დაესწრო ქალაქის სხვადასხვა ერის წარმომადგენელი. ვახშამზეც ისმოდა სამადლობელი სიტყვები და იყო საუბარი კულტურის მნიშვნელობაზე. [8]

კულტურათა შორის ურთიერთობებს მიეძღვნა დიალოგი ბათუმის სათათბიროში 1912 წლის სექტემბერში. ამ შეხვედრას ხელმძღვანელობდა ქალაქის თავი ივანე ანდრონიკაშვილი. სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ სათათბიროს წევრები – ბერძენი ხ. გრიგორიადი, სომეხი ს.აკინიანი, ებრაელი ნ.ბიალუსკი, მუსლიმანი იუსუფ კონცელიძე,რუსი ა.ტროფიმოვი, აგრეთვე ი.საბახტარიშვილი და ს.ელიაშვილი. მათ ისაუბრეს კულტურის მდგომარეობის შესახებ ქალაქში, აღნიშნეს, რომ

ამ ბოლო დროს ნაკლებად ტარდება კულტურული ღონისძიებები სხვადასხვა ეროვნებების მონაწილეობით და აუცილებელია ამ მდგომარეობის გამოსწორებაო. ბათუმი ყოველთვის იყო კულტურათა დიალოგის ცენტრი და ეს ტრადიციები უნდა გაძლიერდეს. ივანე ანდრონიკაშვილმა წამოაყენა იდეა იმის შესახებ, რომ კარგი იქნებოდა თუ ჩამოყალიბდებოდა ქალაქში ინტერნაციონალური კოლექტივი, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ეს იდეა მოეწონათ სხდომის მონაწილეებს. მართლაც, ქალაქის თავის მონდომებითა და მხარდაჭერით 1912 წლის დეკემბერში ქალაქის მერიასთან ჩამოყალიბდა მომღერალთა გუნდი. ამ გუნდს სიმღერებთან ერთად ცეკვებიც ჰქონდათ, მაგრამ ძირითადად მანც სასიმღერო იყო. გუნდის შემადგენლობაში გაერთიანებული იყვნენ ყველა ერის წარმომადგენელი. მათ შორის იყო აგრეთვე მუსლიმანები: ნიაზ თავდგირიძე და ასლან ხალვაში. გუნდი ასრულებდა სხვადასხვა ხალხთა სიმღერებს. უნდა ითქვას, რომ ცეკვა „განდაგანას" სოლისტებად, ქართველებთან ერთად იყვნენ ბერძენი მარია დიმიტრიადი,ქართველი ებრაელი ესმა ჯანაშვილი. ანსამბლმა პირველი კონცერტი გამართა 1913 წლი 11 თებერვალს ქალაქის თვითმართველობის სააქტო დარბაზში და საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. კონცერტის შემდეგ სიტყვაში გამოვიდნენ ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები და ამ დღეს ისტორიული უწოდეს. [9]

მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნე ძირითადად მოდის ბოლშევიზმის ეპოქაზე, როდესაც მიმდინარეობდა დაუნდობელი ბრძოლა რელიგიის, ყოველგვარი ეროვნულობის წინააღმდეგ, კულტურა იყო ის სფერო, რომელიც მაინც ახერ-

ხებდა ხალხთა ურთიერთდაახლოებასა და კავშირს. ამის დასამტკიცებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ბათუმში, 1922 დაარსებული მუსიკალური კოლექტივი, რომლის აქტიური წევრები იყვნენ როგორც ქართველი მუსლიმანები,ასევე ქრისტიანები, აგრეთვე აქ იყვნენ ბერძნები და სომხები. ამ კოლექტივმა არა ერთი კონცერტი გამართა როგორც ქალაქში, ასევე მთელს აჭარაში. საინტერესო შეხვედრა მოუწყვეს კოლექტივს ქალაქის ე. წ. „რკინის თეატრში" 1923 წლის 22 ნოემბერს. ამ შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ მუსლიმანები ალი შავაძე და ოსმან ახვლედიანი, სომეხი არტაშეს ბაბაიანი, ბერძენი ალექსანდრე გრამატიკოპულო და სხვები. მათ ერთხმად აღნიშნეს კულტურის განვითარების მნიშვნელობაზე, გაიხსენეს ძველი დრო, როდესაც ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკის მიუხედავად, ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობები ვითარდებოდა და მტკიცდებოდა. კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს ხალხთა კიდევ უფრო დაახლოებას. ეს კოლექტივი ამის კარგი მაგალითია. შეხვედრაზე სიტყვით გამოსულმა ოსმან ახვლედიანმა ყურადღება გაამახვილა ქართველი მუსლიმანების აქტიურ მონაწილეობაზე კულტურულ ცხოვრებაში. მან აღნიშნა, რომ არა მარტო ბათუმში, არამედ მთელს აჭარაში იქმნება მუსიკალური კოლექტივები და ამაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან დასახმარებლად მოსული ჩვენი ქართველი ძმების დიდი დამსახურებააო.

1929 წელს ზემოთაღნიშნული მუსიკალური კოლექტივი მონაწილეობდა თბილისში გამართულ მომღერალთა გუნდების ოლიმპიადაზე და პირველი ადგილი და ჯილდო დაიმსახურა. განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს ბათუმური ანსამბლის მრავალეროვნულ ხასიათს, აღნიშნეს, რომ ანსამბლში ბათუმში

მცხოვრები სხვადასხვა ერის წარმომადგენლები მაღალ დონეზე ასრულებენ როგორც ქართულ, ასევე სხვა ხალხთა სიმღერებსო. შემდეგ ანსამბლი გაემგზავრა რუსეთში, სადაც ფართოდ წარმოუჩინა მოსახლეობას ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება და გაუღვიძა ცხოველი ინტერესი ქართული ხალხური მუსიკის გაცნობისა და შესწავლისადმი. [10]

1928 წელს ბათუმური გაზეთები იუწყებოდა, რომ ბათუმის აკადემიურ თეატრში ჩატარდებოდა აჭარისტანის პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრულ-ფიზკულტურული საღამო, დაიდგმება ანტიკური სტილის მხატვრულ-ტანვარჯიშული სპექტაკლი „ელადაში". სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებდა 89 მოსწავლე, აქედან-75 ტანმოვარჯიშე-სპორტსმენი. მთავარი ის იყო, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა სხვადასხვა ერის წარმომადგენელი იყო. კერძოდ ქართველები (მუსლიმანები და ქრისტიანები), ბერძნები, რუსები, სომხები, ებრაელები და სხვა. ეს გახლდათ სრულიად ახალი ჟანრის გრანდიოზული სანახაობა, რომელმაც ქალაქში პირდაპირი სენსაცია გამოიწვია. ამ ღონისძიებას მოჰყვა ფართო გამოხმაურება პრესაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მონაწილეთა მრავალეროვნულ შემადგენლობას მიექცა. განსაკუთრებით აღნიშნეს ქართველ მაჰმადიანთა მაღალი აქტიურობა ამ ღონისძიებაში. [11]

ბათუმში ეროვნებათა შორის კულტურული ურთიერთობების კარგი მაგალითი იყო ცენტრალური ბიბლიოთეკა და მუზეუმი, სადაც თითქმის ყველა ერის წარმომადგენელი მუშაობდა. სწორედ ამას აღნიშნავდნენ ხელმძღვანელი ორგანოები, როდესაც ქალაქში კულტურული ცხოვრების შესახებ საუბრობდნენ [12]

ამრიგად, მე-19–მე-20 საუკუნეებში ბათუმი ნამდვილად წარმოადგენდა კულტურათა დიალოგის ცენტრს. ამას ისიც განაპირობებდა, რომ ქალაქი მრავალეროვნული იყო. ამას ადასტურებდა მთელი რიგი ღონისძიებები, შეხვედრები, რომელიც ხსვადასხვა ერის მონაწილეობით ხშირად იმართებოდა. ბათუმი იყო და არის მთელს რესპუბლიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრი, სადაც ერთმანეთის გვერდი-გვერდ მოქმედებს ქალაქში მცხოვრები ყველა ერის სალოცავი. მიუხედავად იმისა, რომ მტერი ხშირად ცდილობდა ქალაქში ერებს შორის მტრობა ჩამოეგდო, ამას ვერ ახერხებდა, რადგან ძლიერი იყო ხალხებს შორის მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა.

გამოყენებული წყაროები

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში შემოკლებით აცსა), ფ. 1, აღწ. 1, საქ. 204, ფურც. 13.

2. იქვე, ფურც. 22.

3. გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი",1893 წ. 2 მარტი, №86.

4. აცსა, საქ. 206, ფურც. 43.

5. იქვე, ფურც. 58.

6. იქვე, ფურც. 66.

7. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №771, ფურც 32.

8. იქვე, ფურც. 78.

9. აცსა, საქ. 164, ფურც 82.

10. აცსა (პარტიული ფონდი), ფ. 1ა, აღწ. 1, საქ. 98, ფურც, 11.

11. იქვე, ფურც. 29.

12. იქვე, ფურც. 44.

Resiume

Adjara is the place where Christian-Orthodox, Armenian-Gregorian, Catholic churches, as well as the Moslem-Imani chapel-mosque and the synagogue of the Hebrews in which each believer freely believes in his beliefs and beliefs. You can enter and pray.

Batumi is the city where the culture of the different people is closely linked to each other. It can be said that the city is one of the important centers of culture diaspora in the whole Republic.

გერმანელები აჭარაში

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომი თურქეთისათვის წარუმატებლად მიმდინარეობდა. რუსეთის ჯარები კონსტანტინეპოლს მიუახლოვდნენ და აღებით დაემუქრნენ, გერმანიის კანცლერი ბისმარკი დაჟინებით ურჩევდა პეტერბურგს კონსტანტინეპოლი დაეკავებინა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა იმის შიშით, რომ ინგლისი ჩაერთვებოდა კონფლიქტში. 1878 წლის 3 მარტს რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება მიუღებელი აღმოჩნდა ევროპის სახელმწიფოებისათვის. მათ აიძულეს რუსეთი სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება გადაესინჯათ ბერლინის კონგრესზე. 1878 წლის 13 ივნისს ბერლინში ბისმარკის თავმჯდომარეობით გაიხსნა კონგრესი, რომელიც თითქმის ერთი თვე მიმდინარეობდა. კონგრესზე დიდი კამათისა და აზრთა სხვადასხვაობის შემდეგ, გერმანიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის წინადადებით გადაწყდა, რომ ბათუმი, აჭარა, შავშეთი, არტაანი, ძველი სამცხე-საათაბაგოს სხვა ნაწილები რუსეთს შეერთებოდა, ხოლო ბათუმი ცხადდებოდა პორტო-ფრანკოდ (თავისუფალი სავაჭრო ნავსადგური) (ვ.ჩოჩუა, 1878 წლის სან-სტეფანოს ზავი და ბათუმის საკითხი ბერლინის კონგრესზე. კრებული ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა. ბათ.2009. გვ.78).

ქართველი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნებას. ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტს მრავალი საზოგადო მოღვაწე და ქართველი ხალხის გამოჩენილი პიროვნება დიდი ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა. მათ აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნებას უდიდესი

მოვლენა უწოდეს და გამოთქვეს სურვილი, რომ აჭარა მალე გახდებოდა საქართველოს წარმატებული მხარე.

1878 წლის 20 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქში მიწვეულ იქნა დეპუტაცია აჭარიდან შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით. მუხრან ბატონის სასახლეში გამართულ წვეულებაზე წარმოთქმული იქნა ძვირფასი, სამადლობელი სიტყვები და დაისახა გეგმები მომავალი საქმიანობისათვის.

იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც შერიფ ხიმშიაშვილს მიუძღოდა თავისი სამშობლოს წინაშე, იგი მიიწვიეს პეტერბურგში იმპერატორ ალექსანდრე III-თან, სადაც მას მიანიჭეს გენერალ-მაიორის წოდება. აქვე მოინათლა ქრისტიანულად და ეწოდა სახელი ალექსანდრე. პეტერბურგშივე შეირთო მან ცოლად გერმანელი ქალი, რომელიც ჩამოიყვანა აჭარაში. ამ გერმანელ ქალბატონს დადებითად მოიხსენიებენ თანამედროვენი, რომელმაც შეიყვარა მისი ახალი სამშობლო და დიდ პატივს სცემდა მას. ის დაკრძალულია მისი მეუღლის გვერდით სოფელ ნიგაზეულში.

1878 წლის 20 სექტემბერს მეფისნაცვლის მიერ დამტკიცებული იქნა ბათუმის მმართველობის წესდება, რომელიც შედგებოდა 15 მუხლისაგან და ითვალისწინებდა თუ როგორი რეჟიმი უნდა დამყარებულიყო აჭარაში, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ამ წესდების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ კავკასიის მთავარმართებლის აპარატში მომუშავე გერმანელებს კრიუგერს და ბეკერს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბეკერი 1878 წლის დეკემბერში ჩამოსულა ბათუმში და ადგილზე შეუსწავლია ვითარება, რომელიც შემდგომ მოხსენებითი ბარათის სახით გააცნო კავკასიის მთავარმართებელს. 1879 წელს კავკასიის მთავარმართებლის წერილში, გაგზავნილი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისადმი საუბარია სწორედ

გერმანელ ჩინოვნიკებზე კრიუგერსა და ბეკერზე. მთავარმართებელი ავალებს გუბერნატორს ქუთაისში მიავლინოს რამდენიმე კაცი, რომლებიც დაესწრებიან ქუთაისში მყოფ კრიუგერისა და ბეკერის მოხსენებებს, რომელიც შეეხება ადმინისტრაციული საზღვრების მოწყობის სპეციფიკას (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 561, საქმე 200).

1878 წლის ბერლინის კონგრესის მიხედვით, ბათუმი გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ. პორტო-ფრანკო ოფიციალურად გაიხსნა 1878 წლის 29 ოქტომბერს და მოქმედებდა 1886 წლის 27 ივნისამდე. პორტო-ფრანკოს რეჟიმმა არნახულად გააძვირა ცხოვრება ბათუმში, იყიდებოდა მიწები, დუქნები, დაიწყეს მშენებლობები კერძოდ საცხოვრებელი სახლების, სასტუმროების, საწყობების და ა.შ. დოკუმენტები მიწის შემძენთა შორის გერმანელებსაც ასახელებს. 1880 წელს ბათუმში ჩამოსულან გერმანელი ვაჭრები, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები რიხტერი, ნოიმანი და პრეხდერი, მათ ქალაქში შეუძენიათ მიწის ნაკვეთები და აუშენებიათ რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. დოკუმენტური მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ 1884 წელს ბათუმში გერმანელ დორნერს აუგია აბანო, რომელიც მოუწყვია ევროპულ ყაიდაზე. ეს აბანო რომლის სახელწოდება იყო „სიმპათია“ ბათუმელებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 1886 წლის ბათუმზე შედგენილ კალენდარში სხვადასხვა დაწესებულებებს შორის მოხსენიებულია დორნერის აბანო (პეტერბურგის ისტორიული არქივი, კავკასიის ფონდი N 908, საქ.122). პორტო-ფრანკოს რეჟიმში ბათუმის საზღვაო ნავსადგურში თითქმის ყოველდღე შემოდიოდა გემები უცხოეთიდან, მათ შემოჰქონდათ და აქედან გაჰქონდათ სხვადასხვა დასახელების საქონელი, ოფიციალური მონაცემებით 1884 წელს ბათუმის პორტში სხვადასხვა ქვეყნების გემებთან ერთად შემოვიდა გერმანიის 24 გემი

და შემოიტანა 10974 ტონა ტვირთი. გერმანული გემების შემოსვლის ფაქტები სხვა წლებში დაფიქსირდა.

ძალიან საინტერესოა ერთი ფაქტი, კერძოდ, 1885 წელს ბათუმში ჩამოვიდა გერმანელი მოგზაური გოტფრიდ ჰერმანი, რომელიც რამდენიმე კვირა დარჩენილა ქალაქში და დაწერა შთაბეჭდილებები ბათუმის შესახებ. ჰერმანს ბათუმი არ მოწონებია ხშირი წვიმებისა და გაუვალი ტალახიანი ქუჩების გამო. ასევე ჰერმანი საუბრობს აღმშენებლობით პროცესზე, რომელიც ბათუმში მიმდინარეობდა. ქალაქში შენდებოდა სახლები, სასტუმროები, სავაჭრო დუქნები და სხვა. პორტი მთელი დატვირთვით მუშაობდა (პეტერბურგის სახელმწიფო ისტორიული არქივი, კავკასიის ფონდი N910. საქ.53).

სწორედ პორტო-ფრანკოს პირობებში ბათუმის მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა. ქალაქის მოსახლეობა თავისი შემადგენლობით ჭრელი იყო. სხვა ეროვნების ხალხებთან ერთად აქ ცხოვრობდნენ გერმანელებიც. 1882 წლისათვის გერმანელთა რაოდენობა ქალაქში იყო 145 სული, ხოლო 1887 წლისათვის 200 სული, ხოლო 1897 წლისათვის 300 სული. ქალაქში მცხოვრებ გერმანელთა უმრავლესობა სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლები იყვნენ, კერძოდ ინჟინრები, მასწავლებლები, მხატვრები, ვაჭრები, მუშები და სხვა. გერმანელების შესახებ საუბარია ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მოხსენებით ბარათში, რომელიც გაგზავნილია კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიისადმი 1887 წელს, სადაც გერმანელები დახასიათებულია რუსეთის სახელმწიფოსადმი ერთგულ ხალხად, თანაც ისინი საჭირო პროფესიის ადამიანები არიან და თავისი კულტურით გაცილებით მაღლა დგანან, ვიდრე ბათუმის სხვა ტუზენცური მოსახლეობა (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ.566, საქმე 21).

ბათუმთან დაკავშირებით ასევე საყურადღებოა გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის გოტფრიდ მერცბახერის ჩანაწერები. იგი 1891 წელს იმყოფებოდა ბათუმში. 1901 წელს მან ლაიფციგში გამოაქვეყნა ორტომეული „კავკასიონის მაღალ რეგიონებში“, რომელშიც საინტერესოდ საუბრობს ბათუმზე. მერცბახერი აღნიშნავს, რომ ბათუმის პორტი განსაკუთრებული სამხედრო დანიშნულებისაა. პორტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბაქოს ნავთობის უცხოეთში გადაზიდვის საქმეში. სწორედ ბათუმიდან იგზავნება ბაქოს ნავთობი ევროპაში, ინდოეთში, აზიაში და აფრიკაში. მერცბახერი ამბობს, რომ ფაბრიკები და სადგურები აღმართული ნაპირთან ახლოს. ყველგან იგრძნობა აღმავალი ცხოვრების სუნთქვა. ასევე, მერცბახერი აღწერს ქალაქის ბუნებას, ჰავას, ბათუმში არსებულ დაწესებულებებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ახლადაგებულ რკინიგზის სადგურს უთმობს, მატარებლების მიმოსვლას და აქ გამეფებულ შედარებით მძიმე მდგომარეობას. მერცბახერის შთაბეჭდილებები ბათუმის შესახებ ფრიად საყურადღებოა (გ.გელაშვილი, ზოგი უცხოური ცნობა ბათუმის შესახებ XIX ს-ის მე-2 ნახევარი. კრებული ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა. ბათ. 2009. გვ.3).

XIX საუკუნის 80-90-იან წლებიდან ბათუმში მძლავრად ამოქმედდა მრეწველობა. ბაქოს ნავთობის მსოფლიო ბაზრებზე გატანის ყველაზე უახლესი პუნქტი ბათუმი იყო. სწორედ ბაქოს ნავთობი გახდა ბათუმის მძლავრ სამრეწველო ქალაქად გადაქცევის უმნიშვნელოვანესი წყარო. აქ ერთიმეორის მიყოლებით აშენდა სამრეწველო დაწესებულებები, პორტში აიგო ნავმისადგომები ნავთის გადასატვირთად, ხოლო ბაქოდან ბათუმამდე სანავთობე მილის გაყვანამ ქალაქის სამრეწველო მნიშვნელობა ერთი-ორად გაზარდა.

სხვა მძლავრ სანავთობე ფირმებს შორის, სადაც დომინირებდნენ როტშილდის, ნობელის და მანთაშევის ფირმები, ასევე უძლიერესი იყო გერმანული ფირმებიც, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ბურკერდტის და კომპანიის“ ფირმა. აღსანიშნავია, რომ 1885 წელს ამ გერმანულმა ფირმამ პირველად დაიწყო ბათუმში ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის წარმოებაში უცხოური მანქანა-დანადგარების დამონტაჟება. აღსანიშნავია, რომ ბურკერდტის ქარხანაში მუშათა უმრავლესობას შეადგენდნენ გერმანელი და ქართველი მუშები, ხოლო საინჟინრო და ტექნიკური პერსონალი ძირითადად გერმანელები იყვნენ. საინტერესოა ამ ქარხნის მუშის ქართველი პარმენ ხარაძის მოგონება. ის აღნიშნავს, რომ გერმანელები უმაღლესი კვალიფიკაციის მუშები არიან. მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციას წუნს ვერ უპოვნი, ძალიან მცოდნენი არიან მათი ინჟინრები, აქ ყველაფერი საათივითაა აწყობილი, ყველაფერი თავის დროზეა, ჩვენ ქართველებმა ბევრი რამ ვისწავლეთ გერმანელებისაგან. ჩვენ შორის შესანიშნავი ურთიერთობები ჩამოყალიბდა, ჩვენ ვცდილობდით ყველაფერი ისე გაგვეკეთებინა, რომ გერმანელების მოწონება დაგვემსახურებინა და ამას კიდევაც ვახერხებდით. ამიტომ ჯერ არ მომხდარა ქართველის სამსახურიდან დათხოვნა საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო. ამის საშუალებას გერმანელები არ მოგვცემდნენ. ამ ფირმას ახლო ურთიერთობა ჰქონდა როტშილდთან და ისიც ცდილობდა არ შეევიწროვებინა ბურკერდტი და მისი სამუშაოების ნაწილსაც ამ ფირმას უკვეთავდა (მოგონებები. ბათუმი. 1973).

1884 წელს ბათუმში ამოქმედდა გერმანელი მეწარმის შვეიცარიაში მცხოვრები რიხნერის ქარხანა. ეს ქარხანა ძირითადად ეწეოდა ნავთობის ტარის დამზადებას. ეს შედარებით მცირე ზომის ქარხანა იყო, მაგრამ მას ძლიერი ტექნიკური აღჭურვილობა

ჰქონდა. ქარხანაში სულ 200 ადამიანი მუშაობდა. ეროვნების მიხედვით აქ მუშაობდნენ გერმანელი, ქართველი და რუსი ადამიანები. ამ ქარხნის მთავარი ინჟინერი იყო გერმანელი ლანგე, რომელიც ქართველების მიმართ კარგი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა და ამის გამო ამ პიროვნებას უარყოფითად ახასიათებენ ბათუმის ოლქის შოვინისტი ჩინოვნიკები (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი N4. საქმე 10).

1888 წელს ბათუმში ასევე ფუნქციონირებდა გერმანელი მრეწველის ციმერმანის ნავთის ტარის დამამზადებელი ქარხანა, რომელშიც 300 ადამიანი საქმიანობდა. საარქივო მასალების მიხედვით ციმერმანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნობელთან და ბათუმის პორტში ერთ-ერთი ნავმისადგომი, რომელიც ნობელს ეკუთვნოდა, მისით ეს მეწარმეც სარგებლობდა. ციმერმანის ქარხანამ 1915 წლამდე იარსება.

ბათუმის ოლქის მრეწველობაში, განსაკუთრებით სპილენძის მრეწველობაში თავისი სიდიდითა და მნიშვნელობით გამოირჩეოდა აგრეთვე მსხვილი გერმანული ფირმა „სიმენსი და ჰალსკეს“ კავკასიური ფილიალის „ძმები სიმენსების“ საწარმოები. ფირმამ მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათუმიდან 71 ვერსის დაშორებით, ართვინის ოკრუგის სოფელ კვარცხანისა და ბეშაულის მიდამოებში, იაფად შეიძინა სპილენძის მადნით მდიდარი მიწები და მოაწყო მაღაროები. მოპოვებულ მადანს სიმენსები თავდაპირველად მათსავე კუთვნილ ქესაბექის (აზერბაიჯანში) სპილენძის სადნობ ქარხანაში ეზიდებოდნენ, სადაც მადანი ამ დროისათვის უკვე გამოლეული და ამდენად წარმოებაც შემცირებული იყო. მადნის გარკვეული ნაწილით ერგეს ქარხანაც მარაგდებოდა, მაგრამ უგზოობის გამო მისი ტრანსპორტირება ძვირი ჯდებოდა. ამიტომ სიმენსებმა გადაწყვიტეს სპილენძის

სადნობი ქარხნის ადგილზე აშენება. კვარცხანა-ბეშულის საბადოებში მადანი იმდენად უხვად მოიპოვებოდა, რომ დაბალი მეტალური შემცველობის (4%) მიუხედავად უზრუნველყოფდა სპილენძის ხანგრძლივ წარმოებას.

კვარცხანაში სპილენძის სადნობი ქარხანა და დამხმარე საწარმოების მშენებლობისათვის გერმანელი სიმენსების ფირმამ გამოჰყო ერთი მილიონი რუბლი. კომპლექსის მშენებლობის ხელმძღვანელად და მომავალში მის დირექტორად მიიწვია კავკასიის სამთო მმართველობის ინჟინერი, გერმანელი ადოლფ ერნი. მშენებლობა დაიწყო 1910 წელს და გაგრძელდა 1914 წლის შემოდგომამდე. ამ დროში კვარცხანაში აიგო უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი სპილენძსადნობი ქარხანა, ჰიდროელექტროსადგური და მექანიკური სახელოსნოები, მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკები, მოეწყო ლაბორატორია, მაღაროები ქარხანას დაუკავშირეს საჰაერო საბაგირო გზებით. ქარხნიდან ბათუმ-ართვინის გზატკეცილამდე გაიყვანეს სამანქანე გზა, გერმანიიდან ჩამოიყვანეს სატვირთო ავტომობილები.

აღსანიშნავია, რომ სიმენსებმა კვარცხანს-ბეშულში საქმიანობის პერიოდში სულ მოიპოვეს 40 მილიონამდე ფუთი სპილენძის მადანი, ხოლო შემდგომ 1915-1918 წლებში გამოადნეს 220 ათასი ფუთი სუფთა სპილენძი (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.III. ბათ. 2008. გვ.118-119).

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო და შემდგომ პერიოდში მთელი ძალით გაგრძელდა მშენობლებები. ბათუმის მთელი ტერიტორია, განსაკუთრებით მისი ცენტრალური ნაწილი საამშენებლო პოლიგონად იყო გადაქცეული. მშენებლობებს შორის აღსანიშნავი იყო საზოგადოებრივი და საკრებულოს შენობა ანუ მეორენაირად კლუბი. ეს შენობა, რომელიც ერთ-

ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული იყო და ბათუმელთა თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა, დააპროექტა და ტექნიკური ზედამხედველობა გასწია გერმანელმა ინჟინერმა შტეინბერგმა, რომელიც ქალაქის მთავარი არქიტექტორის თანამდებობას ასრულებდა. საარქივო დოკუმენტებიდან ისიც ცნობილია, რომ ეს პიროვნება აქტიურად მონაწილეობდა ბათუმის ბევრი საზოგადოებრივი შენობის დაპროექტებაში.ის იყო ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ნდობით აღჭურვილი პირი.

ბათუმის მშვენებას წარმოადგენს ბათუმის ბულვარი, რომლის იდეა ჩაისახა 1881 წელს. ეს იდეა ეკუთვნოდა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს სმეკალოვს. ბაღის გასაშენებლად ადგილი შეირჩა ტბა „ნური-გელის“ ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ბაღის გასაშენებლად ბათუმში მოიწვიეს ცნობილი გერმანელი (პრუსიელი) მებაღე რესლერი. მანამდე რესლერს გაშენებული ჰქონდა ფოთის საზოგადოებრივი პარკი, რომელიც ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფოთის მოსახლეობაში. რესლერს მისი თანამედროვენი ახასიათებენ როგორც საქმის მცოდნე, ერუდირებულ, დინჯ და განათლებულ პიროვნებად. როდესაც არჩევანი შეჩერდა რესლერზე, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა სმეკალოვს მის შესახებ აცნობა, რომ გუბერნატორმა უაღრესად ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა, როდესაც მან რესლერი მოიწვია ბაღის გასაშენებლად. მაშინ ბათუმის ოლქი შედიოდა ქუთაისის სამხედრო გუბერნიაში და ყველა მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ბათუმში, ქუთაისთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. ასევე, თანხები ძირითადად გაიცემოდა ქუთაისის ცენტრალური ბანკიდან. რესლერთან 1881 წლის 1 აპრილს დაიდო ხელშეკრულება 10 წლის ვადით შემდეგი მოთხოვნით: 5 წლის მანძილზე მებაღე რესლერს ძირითადად უნდა დაემთავრებინა განაშენიანება მისი

შედგენილი გეგმით. ბაღი იქნებოდა ორ განყოფილებიანი პარკითა და სასეირნო - სავალი ნაწილით, რომელშიც ეკიპაჟს უნდა შეძლებოდა გავლა. ბაღი შემოიღობებოდა, ხოლო მის ტერიტორიაზე აშენდებოდა სახლი მებაღისათვის და ბარაკი მუშებისათვის. რესლერს დაენიშნა წელიწადში 600 მანეთი ხელფასი, ხოლო სამუშაოების დასაწყებად მიეცა 3500 მანეთი. რესლერმა ბაღის გასაშენებლად დამხმარედ მოიწვია მებაღე გერმანელი რეიერი. რეიერიც გამოცდილი მებაღე იყო. მის შესახებაც დადებითი შეხედულების იყო, როგორც ფოთის საზოგადოება, ასევე ქუთაისის გუბერნიის ხელმძღვანელობაც. რეიერი ხშირად ცვლიდა რესლერს. ეს უკანასკნელი მივლინებით მიდიოდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში და იქ ეცნობოდა ბაღების გაშენების სპეციფიკას.

საარქივო მასალებიდან ცნობილი ხდება, რომ რესლერს მუშაობა დიდხანს არ გაუგრძელებია. თანხების მიუცემლობის გამო იგი ხშირად წერილებს წერდა გუბერნატორს. გუბერნატორი კი იძულებული იყო კონტროლის გასაწევად მიემაგრებინა კონტრ-ადმირალი ა.გრევე. იგი მოყვარული მებაღე იყო. გრევემ დაადასტურა, რომ ადგილი ჰქონდა თანხების გაუცემლობას და თუ ასე გაგრძელდებოდა იგი უარს ამბობდა კონტროლზე. მიუხედავად ამისა, რესლერმა საკმაოდ საინტერესო სამუშაოების შესრულება მოასწრო. ბაღი დაკვალა, გააკეთა ორი ბილიკი, ერთი ქვეითათ მოსიარულეთათვის, მეორე სხვადასხვა ნივთების გადასატანად. ჩამოიტანა და დარგო მცენარეები, რომლებიც შეეგუებოდნენ „ნური-გელის“ ტერიტორიას, ასევე რესლერს გადაწყვეტილი ჰქონდა უცხოეთში გაეშვა მისი თანაშემწე რეიერი, რომ იქედან ჩამოეტანა დეკორატიული მცენარეები. 1884 წლის 6 ივნისს რესლერი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო ბაღის მთლიანი გაშენება.

ბათუმი ეთნიკურად და კონფესიურად ერთ-ერთი ყველაზე ჭრელი ქალაქია. ყველაზე ადრე ბათუმში გაჩნდა ევანგელურ-ლეთერანული ეკლესია, რაც რეგიონში გერმანელი საქმოსნების და ჯარში მოსამსახურეთა მომრავლებამ განაპირობა. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან კავკასიაში უკვე არსებობდა გერმანელთა არაერთი დასახლება. ბათუმში ლუთერანული ეკლესიის გაჩენა, სავარაუდოდ 1880-იანი წლების მეორე ნახევარზე მოდის. ამ დროისათვის ქალაქში უკვე არსებობდა გერმანული საეკლესიო საკრებულო თავისი კარგად ჩამოყალიბებული სტრუქტურებითა და მმართველობის სისტემით, რომელსაც ჰყავდა სათათბირო 8 კაცის შემადგენლობით. ეკლესიას მეთაურობდა პასტორი, 1893 წლიდან პასტორად მოხსენიებულია ვილჰემ ჰეინე. 1894 წლიდან 1911 წლამდე ვილჰემ ჰეინე ჩაანაცვლა პასტორ-ადიუნქტმა არტურ ბერნტჰოფმა (**ტატიანა კოპალეიშვილი, პროტესტანტული ეკლესიების ისტორიისათვის ბათუმში, კრებული ბათუმი წარსული და თანამედროვეობა. ტ.III. ბათ. 2013. გვ. 99-100**).

1896 წლის ანგარიშის მიხედვით ჩანს, რომ ღვთისმსახურება ტარდებოდა ყოველ კვირა დღეს და აგრეთვე სახელმწიფო და საეკლესიო დღესასწაულებზე. მსახურებს მუდმივად ესწრებოდა 25-მდე წევრი. ეკლესიას გააჩნდა საკუთარი მუსიკალური ინსტრუმენტი -ფინგარმონია, რომელზეც მსახურების დროს უკრავდნენ პასტორ ბერნგოფის მეუღლე და ვინმე ფროიდინ ბიურგერი. კვირაში ორჯერ ტარდებოდა ღვთის სჯულის გაკვეთილები. მეცადინეობები ტარდებოდა გერმანულ, ესტონურ და რუსულ ენებზე. საინტერესოა, რომ ჯვრისწერა ბათუმის ეკლესიაში სრულდებოდა არა მარტო ლუთერანული აღმსარებლობის პირებს შორის, მთავარი პირობა იყო, რომ ერთ-ერთი მაინც ყოფილიყო ევაგელურ-ლეთერანული აღმსრულებლობის. თავიდან მსახურება ტარდებოდა კერძო ნაქირავებ ბინაში, ვინმე

არხიპოვის სახლში ვლადიკავკასის ქუჩაზე (ახლანდელი მელიქიშვილი). დროთა განმავლობაში დადგა საკუთარი საეკლესიო შენობის აგების საკითხი. მრევლმა შეაგროვა საჭირო თანხა და ქალაქის თვითმმართველობას მიმართა თხოვნით გამოეყოთ ფართი ეკლესიის ასაშენებლად. 1898-1902 წლების მანძილზე ხუთჯერ დაისვა ადგილის გამოყოფის საკითხი, მაგრამ შესაფერისი ნაკვეთი ქალაქში ვერ შეირჩა. შემდეგ, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის და მის შემდეგ გერმანელების მიმართ გაზრდილმა ანტაგონიზმმა დააკნინა და მომდევნო წლებში საერთოდ გააქრო ევანგელურ-ლუთერანული მრევლი ბათუმში. ქალაქის პოლიციმეისტერის პატაკიდან ჩანს, რომ 1911 წლის 1 აპრილიდან 1925 წლამდე არსებული ლუთერანული ეკლესია (გერმანულად კირხა) დაიკეტა (**ტატიანა კოპალეიშვილი, პროტერტანტული ეკლესიების ისტორიისათვის ბათუმში, კრებული ბათუმი წარსული და თანამედროვეობა. ტ.III. ბათ. 2013. გვ. 100**).

თავისუფალი ქალაქ-ნავსადგურის სტატუსის მიღებისთანავე ბათუმი მოექცა უცხოეთის კომერსანტთა და გემთმფლობელთა ყურადღების ცენტრში. ყოველწლიურად მატულობდა საქმიანი უცხოელების მიმოსვლა. მათი და ბათუმში მოქმედი უცხოური სავაჭრო-სამრეწველო ფირმების ინტერესების დაცვისათვის ბათუმში გაიხსნა არაერთი ქვეყნის საკონსულო და წარმომადგენლობა. აღსანიშნავია, რომ 1901-1903 წლებში ბათუმში იყო 15 ქვეყნის საკონსულო, მათ შორის გერმანიისა, ვიცე-კონსული გახლდათ ფრიდრიხ ბურჰგარტი. გერმანიის კონსულის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, რომლის მიხედვით ვგებულობთ, რომ გერმანიის კონსული ბურგჰარტი აქტიური პიროვნება ყოფილა. იგი დომირინებდა გერმანიის მოქალაქეებს შორის, ბათუმში იმყოფებოდნენ 1899-1904 წლებში. მაგ. კონსულმა

ბურჰგარდტმა მიაღწია შეთანხმებას ბათუმის ოლქის ხელისუფლებასთან, რომ 1902 წლისათვის, ბათუმში მყოფ გერმანიის ქვეშევრდომებისათვის კაუფმანისა და რაუხისათვის მიეცათ ნებართვა, ზღვის სანაპიროსთან ახლოს სავაჭრო დუქნებისა და სასაწყობე მეურნეობის გახსნისათვის. ასევე, გერმანიის საკონსულოში ხშირი იყო გერმანელი ეროვნებების ბათუმის მოქალაქეების ვიზიტები. ასე მაგ. 1903 წელს ბათუმელმა გერმანელებმა კონსულს თხოვეს ეშუამდგომლა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან, რათა გერმანელებისათვის მიეცათ ნებართვა ბათუმში მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე, სადაც მოქალაქეები შეძლებდნენ ლუთერანული ეკლესიისა და ამ ეკლესიასთან გერმანული სკოლის აშენებას. კონსულმა იშუამდგომლა კიდეც, მაგრამ ეს საკითხი ვერ მოგვარდა სხვადასხვა მიზეზების გამო (**საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი. ფ.687. საქმე 60**).

1903 წლის დასაწყისისათვის გერმანიიდან ბათუმში ჩამოვიდა მომღერალი ერნესტ ლაუბე, რომელიც შეხვდა გერმანიის კონსულს. ლაუბემ ბათუმში რამდენიმე კონცერტი ჩაატარა, რომელმაც მოსახლეობის კმაყოფილება გამოიწვია. ამის შესახებ წერდა გაზეთი „კვალი“ 1903 წლის მარტის ნომერში, რომ „ლაუბემ ბათუმელი მსმენელების დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს ცნობილი მომღერალი ასრულებდა სიმღერებს გერმანულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. თითოეულ სიმღერებს ხალხის დიდი ოვაციები მოჰყვებოდა. ლაუბემ ერთ-ერთი სიმღერის შემდეგ, სცენაზე მიიწვია ბათუმელი მომღერლები და თხოვა მათ შეესრულებინა სიმღერა მშობლიურ ქართულ ენაზე, მათაც სიამოვნებით შეასრულეს რამდენიმე სიმღერა. ლაუბემ თითოეული მათგანი გადაკოცნა და აღნიშნა, რომ ქართველები მსოფლიოს

უძველესი ხალხია და მათი ხელოვნება ორიგინალური და გამორჩეულიაო".

XX საუკუნის დასაწყისში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო პირველი მსოფლიო ომი. საქართველოში გერმანელები განსაკუთრებით გააქტიურდნენ 1910 წლიდან. გერმანიის იმპერატორ ვილჰემ II-ის პირადი მითითებით. გერმანიის არმიის გენერალურ შტაბთან შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომელსაც დაევალა ზურგში ძირგამომთხრელი საქმიანობის ორგანიზება. მას უნდა დაემყარებინა კავშირი ქართველ პატრიოტებთან, რომლებიც ცარიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ასეთი დაჯგუფება მოქმედებდა ბათუმში, უნდა ითქვას, რომ ბათუმს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, რადგან იგი იყო მნიშვნელოვანი ქალაქი, თანაც იგი მდებარეობდა გერმანიის მოკავშირე თურქეთის მეზობლად, ეს კი ორმაგად აძლიერებდა ბათუმის მნიშვნელობას. 1912 წლისათვის ცნობილი ხდება, რომ ბათუმში მოქმედებდა გერმანელ რეზიდენტთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გერმანელი უვე კრომბერგი. ამ ჯგუფის წევრები ახლო კონტაქტში იმყოფებოდნენ ავსტრიელ დივერსანტებთან, რომელთაც ხელმძღვანელობდა მაშეკი. ჯგუფის წევრები ახორციელებდნენ სამხედრო ობიექტების ფოტოგადაღებებს, ასევე უღებდნენ სურათს ხიდებს, სახელმწიფო დაწესებულებებს და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებს, ურთიერთობა დაამყარეს ბათუმში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებთან, თუმცა როგორც კრომბერგის საიდუმლო მოხსენებიდან ხდება ცნობილი, პოლიტიკური პარტიები არაა საიმედო და მომავალ გართულებებში მათი იმედი არ შეიძლება ჰქონდეს გერმანიას, ასევე გერმანელთა ჯგუფმა კავშირი დაამყარა ბათუმის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში და სხვადასხვა დაწესებულებებში მომუშავე გერმანელი ეროვნების

წარმომადგენლებთან. მაგ. 1913 წელს კრომბერგი და სხვა ჯგუფის წევრები ხშირად ხვდებოდნენ ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგ პაულ რუკერს, რომელსაც ავტორიტეტი ჰქონდა მთელი ქალაქის განათლების სისტემაში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ 1913 წლის ბოლოსათვის კრომბერგი ბათუმიდან წავიდა და შემდეგ არ არის ცნობები გერმანელი რეზიდენტების საქმიანობის შესახებ (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი. ფ.1065. საქ.36).

1910 წლისათვის მოვლენები მთელი სისწრაფით ვითარდებოდა. 1910 წელს, ცნობილი საზოგადო მოღვაწის პეტრე სურგულაძის მიერ 1910 წელს ჟენევაში შექმნილი ე.წ. „სეპარატისტთა ჯგუფი“, ომის დაწყებამდე ბერლინში გადავიდა გერმანიის პოლიტიკურ წრეებთან კავშირის დასამყარებლად და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მუშაობის გეგმის შესათანხმებლად. 1914 წელს ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ლეო და გიორგი კერესელიძეები, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მელიტონ ქარცივაძე, გიორგი მაჩაბელი და სხვები დააარსა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ ანუ დამკომი. დამკომმა თურქეთის ტერიტორიაზე ჩამოაყალიბა მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართული ლეგიონი, რომლის ძირითადი დამფინანსებელი იყო გერმანია, მეთაური იყო გენერალი კრესენშტაინი და სხვა გერმანელი მაღალი რანგის ოფიცრები. ლეგიონი ძირითადად დაკომპლექტებული იყო თურქეთში მცხოვრები კავკასიელებისაგან, ბათუმის ოლქის მაჰმადიანი მოსახლეობის ნაწილისაგან და სხვ. 1914 წლის იანვრიდან აგვისტომდე ლეგიონის ზოგიერთი წევრი და გერმანელი ოფიცრები არაერთხელ შემოვიდნენ აჭარის ტერიტორიაზე, კერძოდ, გონიოში, იყვნენ ზემო აჭარაში, ბათუმსა და ქობულეთში, ასევე საქართველოს სხვა

რეგიონებში. ასე მაგ. ჯერ გონიოში, შემდეგ კი ბათუმში იმყოფებოდა ლეგიონთან მომუშავე გერმანელი ოფიცრები მათიას ეკერტი და მანფრედ ფრანკე.

გერმანელების მდგომარეობა ბათუმში და მთელს აჭარაში განსაკუთრებით გართულდა 1915 წ. ოქტომბერში, როდესაც გერმანულმა სამხედრო კრეისერებმა „გებენმა“ და „ბრესლაუმ“ ბათუმი დაბომბა და ადამიანების სიცოცხლე შეიწირა. დაიწყო გერმანელთა დევნა მთელ კავკასიაში და განსაკუთრებით კი ბათუმის ოლქში.

აღსანიშნავია ე.წ. „გერმანელთა საქმე.“ კერძოდ, 1915 წლის შემოდგომაზე გერმანულმა გემებმა „ბრესლაუმ“ და „გებენმა“ ბათუმი დაბომბეს. დაბომბვას გარკვეული ზარალი მოჰყვა. დაიწყო გერმანელების დევნა მთელ კავკასიაში. კავკასიის მეფისნაცვალმა საიდუმლო წერილობით დაავალა კავკასიის ოლქის ხელმძღვანელს შეედგინა ყველა იმ გერმანელის სია, რომლებიც მათდამი რწმუნებულ ოლქში ცხოვრობდნენ და მოეხდინათ მათი გასახლება, აუცილებლობის შემთხვევაში კი ძალაც გამოეყენებინა.

ეს იმიტომ უნდა გაკეთებულიყო, რომ გერმანია თურქეთის მოკავშირე იყო და აქაურ (ე.ი კავკასიელ) გერმანელებს შეეძლოთ გართულებების შექმნა. სწორედ ასეთი წერილი მიიღო ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა 1915 წლის 19 დეკემბერს. წერილში მეფისნაცვალი ავალებს გუბერნატორს: „თურქეთთან ომის გამოცხადების შემდეგ ბათუმის ოლქმა ჩვენი იმპერიისთვის უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა და მოექცა უშუალოდ მისი იმპერატორობით უდიდებულესობის ყურადღების ქვეშ. მთელი ჩვენი ქვეყანა სულით ხორცამდე შესძრა გერმანელთა მზაკვრობამ, რომლის გემებმა მოახდინეს ბანდიტური დაბომბვა ბათუმისა. გერმანელები, რომლებიც ცხოვრობდნენ შავიზღვისპირეთში,

გამოირჩევიან ანტირუსული ქმედებით. ისინი ეწევიან ძირგამომთხრელ საქმიანობას. გავალებთ, სასწრაფოდ შეადგინოთ ყველა იმ გერმანელის სია, რომელიც ცხოვრობს თქვენდამი რწმუნებულ ოლქში. გერმანელების ყოფნა ბათუმში წარმოუდგენელია, რადგან მათ შეუძლიათ ზიანი მიაყენონ როგორც ჩვენს ჯარს, ასევე ჩვენს ფლოტს" (**რუსეთის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემოკლებით რცსსა),ფ. 1610, საქ. 1721, ფ.71**).

ამ წერილის მიღების შემდეგ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა, 1914 წლის 22 დეკემბერს მოიწვია საიდუმლო თათბირი. თათბირზე, რომელსაც პოლიციისა და ჟანდარმერიის გარდა, ესწრებოდნენ მიხაილოვის ციხესიმაგრის კომენდანტი და ბათუმის ოკრუგის უფროსი, გადაწყდა, შეედგინათ იმ გერმანელების სია, რომლებიც ბათუმის ოლქში ცხოვრობდნენ და მოეხდინათ ოლქიდან მათ გასახლება. თათბირზე დამსწრე თითოეულმა პირმა მიიღო კონკრეტული დავალება. 1914 წლის 27 დეკემბერს ბათუმის პოლიციის სამმართველოს უფროსი გუბერნატორს აცნობებდა: „გიდგენთ იმ გერმანელთა სიას, რომლებიც ცხოვრობენ ბათუმის ოლქში. სია სრულყოფილი არ არის, რადგან ვერ მოხერხდა ასე სწრაფად ყველა იმ გერმანელის აღრიცხვა, რომელიც ბათუმში ცხოვრობს. სიაში მოყვანილი ყველა პირი შემჩნეულია ანტირუსულ საქმიანობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანელი მასწავლებელი ქალი სოფია გრიწუპი. ის აშკარად არ მალავს თავის ანტირუსულ განწყობილებას. კარგ ურთიერთობაში იმყოფება ადგილობრივ „ტუზემცურ" მოსახლეობასთან და, რაც ყველაზე უფრო საბიფათოა, ეს ქალი მათთან ხშირად ატარებს საუბრებს, სადაც რუსებს უწოდებს ბოროტ და ველურ კოლონიზატორებს. ასეთი საუბარი კი უაღრესად საშიშ გავლენას იქონიებს. ამიტომ ეს ქალი

დაუყონებლივ იქნა დაპატიმრებული და ამჟამად ბათუმის ციხეში იმყოფება“. შემდეგ წერილში დახასიათებულია სხვა გერმანელებიც (სცსსა, ფ.1610,საქ. 87,ფ.71).

ასეთივე წერილი მიიღო გუბერნატორმა კინტრიშის საპოლიციო უბნიდან, სადაც დახასიათებულია 10 გერმანელი. მათ შორის გამოყოფილია არნოლდ ვოშტა, რომლის მოქმედება წარდგენილი შეტყობინების მიხედვით, სცილდება ყოველგვარ ნორმალურ ზღვარს. ის თურმე ყოფილა ადგილობრივი დანაშაულებრივი კომიტეტის აქტიური წევრი.10-ვე გერმანელი აღრიცხულია და ველოდებით თქვენი უდიდებულესობის ბრძანებას მათი დაუყონებლივ დაპატიმრების შესახებ. ნათქვამი იყო წერილში.

1915 წლის 16 იანვარს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა მიიღო ბათუმის ციხის უფროსის საიდუმლო შეტყობინება, სადაც ციხის უფროსი წერდა, რომ ბათუმის ციხე ძალზედ გადატვირთულია, შიგ არიან ისეთი პატიმრებიც, რომლებიც მცირე ადმინისტრაციულ სასჯელს იხდიან. არიან მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პატიმრებიც. რაც შეეხება გერმანელებს, ამჟამად (1915 წლისთვის– ო.გ) ისინი ბათუმის ციხეში არის სულ 5 კაცი. აქედან 3 მათგანი, იოსებ ვილანდი, რუდოლფ ზაუერი და კარლ ციმერმანი მძიმე, განუკურნებელი ავადმყოფობით არიან დაავადებულნი. მათი გადარჩენა ძალზე საეჭვოა. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ისინი, სხვა სახიფათო დამნაშავეებთან ერთად იქნას გადაყვანილი ზღვაში და ლიკვიდირებული. ამ არაადამიანურ, კატეგორიულ წერილს გუბერნატორმა შემდეგი რეზოლუცია დაადო: თანახმა ვარ. მოიყვანეთ განაჩენი სისრულეში (რცსსა, ფ. 1610, საქ. 112)

დოკუმენტებით ცნობილი არ არის, თუ რა ბედი ეწიათ პატიმრებს, მაგრამ თვით ეს ფაქტი მიუთითებს მეფის რუსეთის მოხელეთა სისასტიკესა და არაადამიანურობაზე.

ასევე მეტად საინტერესოა, 1915 წლის 14 თებერვალს, კავკასიაში ფაბრიკა-ქარხნების ზედამხედველის მიერ გუბერნატორის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომელშიც (მისი შტაბ-ბინა თბილისში იმყოფებოდა). ზედამხედველი აცნობებს გუბერნატორს, რომ ართვინში, ქვარცხანის სპილენძსადნობ ქარხანაში მუშაობს ბევრი გერმანელი კვალიფიციური სპეციალისტი. თუ ისინი გადასახლებული იქნებიან ოლქიდან, ეს გამოიწვევს ამ ქარხნის ჩავარდნას და გაჩერებასაც კი. გერმანელები ძალიან საჭირო კვალიფიკაციის სპეციალისტები არიან. თანაც ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ მძიმე დროს სახელმწიფოს ძალიან უჭირს მეტალი და თუ ამ ქარხნის ძირითად სპეციალისტებს გავუშვებთ, ეს გამოიწვევს ამ ქარხნის აუცილებელ ჩავარდნას და თუ თქვენ ამას არ მიაქცევთ ყურადღებას და მაინც მოინდომებთ მათ გასახლებას, გთხოვთ ჩემთან შეთანხმების გარეშე ამას ნუ გააკეთებთ, მიუხედავად ამისა ართვინის ოკრუგიდან მაინც გაასახლეს 12 გერმანელი **(რცსსა, ფ. 1614, საქ. 36, ფ.17).**

გუბერნატორი თავის მოქმედებას იმით ამართლებდა, რომ ეს ქარხანა სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენდა და გერმანელების ყოფნა მართებულად არ მიაჩნდა. ისინი რუსებით ჩაანაცვლეს.

ყოველივე ამის შემდეგ, გუბერნატორი 1915 წლის 10 ივნისს აცნობებდა კავკასიის მეფისნაცვალს: „ბათუმის ოლქში ცხოვრობს არც თუ ისე დიდი რაოდენობით გერმანელი. თქვენი მომართვის საფუძველზე, დავიწყეთ მუშაობა მათი (გერმანელების- ო.გ) პოლიტიკური ორიენტაციის შესწავლის მიზნით. აღმოჩნდა რომ ბევრი მათგანი პოლიტიკურად არასაიმედოა.

ჩვენ ამჟამად შევძელით 50 გერმანელის გადასახლება ბათუმის ოლქიდან, დანარჩენი კი თავადვე წავიდნენ (რცსსა,ფ.1614, საქ. 36, ფ. 37). შემდეგ ამავე წერილში გუბერნატორი ამბობდა, რომ ამ მიმართულებით კვლავ გაგრძელდება მუშაობაო.

საინტერესოა ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ცარიზმის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის მოღალატეებად გამოცხადება და სამარცხვინო სასამართლო პროცესის გამართვა. ამასთან დაკავშირებით, სწორად შენიშნავდა ბათუმში იმჟამად მყოფი ფრანგი ოფიცერი შარლ ორტისი. ის ამბობდა, რომ ბათუმში მძვინვარებს საშინელი რეაქცია. ყველას პირზე აკერია მაჰმადიანების სასამართლო პროცესის შესახებ. ამას დაემატა გერმანელების დევნა-გადასახლება. რუსული ადმინისტრაცია ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს და ცდილობს თავიდან მოიშოროს მათთვის არასასურველი ელემენტები. ამჟამად(1915 წლისათვის-ო.გ.) მათ ამის განსახორციელებლად ნამდვილად კარგი დრო დაუდგათ (რცსსა, ფ.1614, საქ.36,ფ. 49). ასეთია გერმანელების საქმე, რომელიც ცარიზმმა ,,შეთითხნა" 1914-1915 წლებში.

პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე რუსეთის იმპერიაში მიმდინარე დეზინტეგრაციულმა პროცესებმა ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებისათვის. გადამწყვეტი როლი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში კაიზერულმა გერმანიამ შეასრულა, რომელმაც თავისი ქართული ორიენტაციის პოლიტიკა ბათუმის კონფერენციაზე გამოავლინა.

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით, ბათუმის ოლქი თურქებმა დაიკავეს. 1918 წლის მარტში ტრაპიზონში ჩატარდა კონფერენცია, რომელმაც ვერ გადაწყვიტა

ვერანაირი პრობლემა, პირიქით კიდევ უფრო გააძლიერა თურქეთის დამპყრობლური გეგმა, მომდევნო კონფერენცია გაიმართა უკვე თურქეთის მიერ ოკუპირებულ ბათუმში 1918 წლის მაისში, სწორედ ბათუმში წარმოჩნდა გერმანელების პროქართული პოლიტიკა, რომელმაც დააჩქარა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი. ბათუმში გერმანიის მიზანი თურქთა ექსპანსიომაისტური გეგმების შეკავება და უპირველესად ქრისტიანი ხალხების მხარდაჭერა-ობიექტერად ხელსაყრელი იყო ქართული პოლიტიკისათვის. გერმანიის დელეგაციას მეთაურობდა ოტო ფონ ლოსოვი. დელეგაციის წევრები იყვნენ დიპლომატები შულენბურგი და დეზენდოკი. ბათუმის კონფერენციაზე გერმანიის დელეგაციის მთავარი მიზანი თურქეთისა და ამიერკავკასიას შორის ხელშეკრულების დადება იყო, რომელიც რეგიონში მშვიდობას უზრუნველყოფდა. ლოსოვმა ქართულ დელეგაციას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ა.ჩხენკელი მისცა დაპირება, რომ გერმანია და მისი მოკავშირეები საქართველოს აღიარებენ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში. გერმანიამ ყველაფერი გააკეთა, რომ მოეთოკა თურქეთის იმპერიალისტური მისწრაფებანი და დაეჩქარებინა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადება. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ლოსოვმა და ჩხენკელმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის „დე ფაქტო" აღიარებას ნიშნავდა. (ნოდარ მუშკუდიანი. გერმანული დელეგაციის საქმიანობა ბათუმში 1918 წელს (**კრებული ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, ტ. 1. ბათ. 2009. გვ.132-134**).

გერმანიის დელეგაციის აქტიურობამ აიძულა თურქები უკან დაეხია და სწორედ გერმანიამ გააკეთა ყველაფერი პირველი ქართული რესპუბლიკის გამოსაცხადებლად.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ.ფ. 561, 566, 687, 1065.

2. პეტერბურგის ისტორიული არქივი, კავკასიის ფონდი. N. №. 908, 910.

3. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი N4.

4. რუსეთის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ.ფ. 1610, 1614.

5. ვ.ჩოჩუა, 1878 წლის სან-სტეფანოს ზავი და ბათუმის საკითხი ბერლინის კონგრესზე. კრებული ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა. ბათ.2009.

6. გ.გელაშვილი, ზოგი უცხოური ცნობა ბათუმის შესახებ, XIX ს-ის მე-2 ნახევარი. კრებული ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა. ბათ. 2009.

7. მოგონებები, ბათუმი, 1973.

8. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. ბათ., 2008.

9. ტატიანა კოპალეიშვილი, პროტესტანტული ეკლესიების ისტორიისათვის ბათუმში, კრებული ბათუმი წარსული და თანამედროვეობა. ტ.III. ბათ., 2013.

10. კრებული ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, ტ.1. ბათ., 2009

Resume

The article deals with the public, economic and cultural life described by the German travelers in Batumi, has brought many interesting and important material about the history of Batumi XIX-XX centuries

ბათუმის ოლქი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში

1920 წლის ივლისში, ბათუმის ოლქის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში დაბრუნებას მთელი ბათუმის ოლქის მოსახლეობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. ქართულ ჯარს მისი მსვლელობის მანძილზე სიხარულით ეგებებოდა მოსახლეობა და ყვავილების თაიგულებს ესროდა. ბარცხანასთან ჯარს შეხვდა „სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი ორგანიზაციის" დელეგაცია და მთელი მოსახლეობის სახელით მიულოცა მათ ეს დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება. დელეგაციის სახელით ჯარს მიესალმნენ მემედ აბაშიძე, ჯემალ ქიქავა, მუხამედ წულუკიძე და სხვები. ქალაქში იყო საზეიმო განწყობილება. უკრავდა მუსიკა. იყო ნამდვილი ზეიმი. ბულვარში გაიმართა დიდი სეირნობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქის მთელმა მოსახლეობამ. იმართებოდა სახელდახელო მიტინგები, სადაც ორატორები სიხარულით საუბრობდნენ ამ ღირშესანიშნავი მოვლენის შესახებ. საყურადღებოა აზიზიეს მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი - ო.გ.) გამართული მიტინგი. აქ სიტყვით გამოვიდა დავით მიქელაძე, რომელმაც ხალხს მოუთხრო ის დიდი ტანჯვა-წამება, რომელიც აქაურმა მოსახლეობამ გადაიტანა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე და მიუხედავად მრავალი დამპყრობელის მცდელობისა, რომ ეს ძირძველი კუთხე მოეწყვიტათ დედა-საქართველოსათვის, ადგილობრივმა მოსახლეობამ არ დაკარგა ქართველობა, მათ გაუძლეს ხოცვა-ჟლეტას,

დარბევას, აწიოკებას და ეს ძირძველი ქართული მხარე კვლავ დაუბრუნეს მის მშობელ საქართველოს. [1]

ამ ზეიმში მონაწილეობას იღებდნენ ინგლისელები უილიამ სილვესტრი და ჯიმი ჰარტი. ისინი გაოცებულნი შეცქეროდნენ ამ მდგომარობას, რადგან უილიამ სილვესტრის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ოლქი დიდი ხნის განმავლობაში არ იყო საქართველოს შემადგენლობაში და არც აქაური მოსახლეობაა ქრისტიანები, ისინი ისე ზეიმობდნენ ამ დღეს (ე.ი საქართველოს დაბრუნებას- ო.გ)როგორც ეს ნამდვილ დღესასწაულს შეჰფერისო. ხოლო ჯიმი ჰარტი კი აღნიშნავდა: „ არ ვიცი რა უნდა მომხდარიყო აქ ისეთი, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში ასეთი აღფრთოვანება და ზეიმი გამოეწვია, როგორც ეს გამოიწვია საქართველოსთან დაბრუნებამ". [2]. ეს ნამდვილი სახალხო ზეიმი თითქმის გაგრძელდა ერთი კვირის განმავლობაში. ხალხს იმედი მიეცა. ყველანი მხიარულნი და საზეიმოდ განწყობილნი იყვნენ.

ბათუმის ოლქის საგანგებო კომისრად დაინიშნა ცნობილი პიროვნება სოციალ-დემოკრატი ბენია ჩხიკვიშვილი. მას დიდი ავტორიტეტო ჰქონდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში. მან ბათუმში ჩამოსვლისთანავე დააყენა საკითხი ბათუმის ოლქის მართვა-გამგეობის ორგანიზაციის შესახებ. ამ მიზნით მოიწვია თათბირი, სადაც გაიმართა მსჯელობა, თუ რა მეთოდები უნდა გამოეყენებინათ ადგილობრივი მხარის მართვაში. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ინგლისელების მიერ შემოღებული მმართველობის სტილის შეცვლა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა ქალაქ ბათუმს. გადაწყდა, რომ ბათუმის სამართავად უნდა შექმნილიყო საქალაქო საბჭო, ხოლო ქალაქისთვის უნდა ეხელმძღვანელა ქალაქის მოურავს, რომელიც ანგარიშვალდებული უნდა ყოფილიყო საქალაქო საბჭოს წინაშე.

ასევე უნდა გადანაწილებულიყო ფუნქციები ქალაქის მოურავსა და საბჭოს შორის. იყო აზრი, რომ ქალაქის საბჭო თავისი გაუთავებელი სხდომებით არ მისცემდა მოურავს თავისუფლად მუშაობის საშუალებას. ამბობდნენ იმასაც, რომ თუ მხოლოდ ქალაქის მოურავის ხელში აღმოჩნდებოდა მთელი ძალაუფლება, ეს დაარღვევდა დემოკრატიულ ნორმებს და ხალხის თვალში ავტორიტეტი გაუფუჭდებოდა ადგილობრივ ხელისუფლებას. ბოლოს გადაწყდა, შეექმნათ ქალაქის საბჭო მოურავის მეთაურობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის ოლქი ამ დროს მართლაც მძიმე მდგომარეობაში იყო. ინგლისელებმა აქ მოშალეს ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირება. ქალაქი ბათუმი მათ პირწმინდად გაძარცვეს. გაიტანეს ყოველგვარი ფასეული. 1920 წლის 24 ივნისს ინგლისურმა გემებმა ბათუმიდან გაზიდა სხვადასხვა სახის სამრეწველო, სასოფლო და საყოფაცხოვრებო საქონელი. ასევე მათ წაახალისეს და გაათამამეს სხვადასხვა რჯულის ავანტურისტები, მრძარცველები და სხვ. რაც უფრო საკვირველია, ინგლისელებმა ბოლშევიკებს მისცეს ქალაქში თუ მის ოლქში თავისუფლად პარპაშის უფლება.უფრო მეტიც, გუბერნატორმა კუკ-კოლსმა ბოლშევიკების დელეგაციას განუცხადა, რომ ბათუმის ოლქი მაინც რუსეთთან იქნებაო. ხოლო თურქოფილების თავგასულობას საზღვარი არ ჰქონდა. ინგლისელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს პროთურქული ორგანიზაცია „სედაი მილეთი". ამ ორგანიზაციას მათ მისცეს ფული და იარაღი. შეუქმნეს ფილიალები ბათუმის ოლქის მთელ ტერიტორიაზე. მოუწყვეს სტამბა, სადაც იბეჭდებოდა თურქულ და რუსულ ენებზე ანტიქართული მიმართულების გაზეთები. თურქების ემისრების პარპაშს დასასრული არ უჩანდა. აი, ასეთი ანტიქართული გარემო შექმნეს ინგლისელებმა იმ მომენტში, როდესაც

ბათუმის ოლქი დაუბრუნდა დედა-საქართველოს და რა თქმა უნდა, ახლად არჩეული ქართული ხელისუფლება აღმოჩნდა დიდი სირთულეების წინაშე.

1920 წლის 26 ივლისს გამოსცეს ბრძანება „ქალაქში წესრიგის" შესახებ. ამ ბრძანებით მკაცრად დაისჯებოდა ყველა ის, ვინც არ დაემორჩილებოდა ხელისუფლებას და დაარღვევდა სიმშვიდეს. ამ ბრძანებამ შედეგიც კი გამოიღო. ქალაქის მილიციამ გვარდიელებთან ერთად დაიწყო პატრულირება. მაგ, 28 ივლისს მათ ბათუმის ერთ-ერთ უბანში შეიპყრეს და სასტიკად სცემეს სამი მძარცველი. ასევე, 27 ივლისს დააკავეს ქურდების ჯგუფი, რომლებიც ბინებს ტეხდა. ასევე ადმინისტრაციული სასჯელი დაედო ყველა იმათ, ვინც არღვევდა აღნიშნული ბრძანების მუხლებს. თუმცა, როგორც შემდგომ დადასტურდა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი მდგომარეობის გამოსასწორებლად, რადგან ცხოვრების დეზინტეგრაციის კვალი ძალიან ღრმა და საგრძნობი იყო. ბათუმის ოლქის ხელისუფლება სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური - ო.გ.) იყო. მათ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ყველა იმ გაერთიანებებს თუ ორგანიზაციებს, რომლებსაც განსხვავებული პოზიცია ეჭირათ. უპირველეს ყოვლისა „თვალში ამოიღეს" ბოლშევიკები, რომლებიც იქ მომრავლებულნი იყვნენ 1920 წლის დასაწყისიდან. ბოლშევიკები მართლაც რომ ძირგამოთხრილ საქმიანობას ეწეოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ და ცდილობდნენ მოსახლეობის მიმხრობას. ამ მოქმედებამ მეტად სახიფათო ხასიათი მიიღო 1920 წლის მეორე ნახევარში, ამიტომ მთავრობამ 1920 წლის აგვისტოში გამოსცა კიდევ ერთი ბრძანება „ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ". ბრძანებაში მითითებული იყო, რომ: „ბათუმის ოლქში მოქმედი ზოგიერთი პოლიტიკური დაჯგუფება

ცდილობს მოსახლეობაში სახელი გაუტეხოს საქართველოს ხელისულებას და ამ მიზნით ეწევა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. ისინი ხალხში ავრცელებენ პროკლამაციებს და სურთ გამოიწვიონ არეულობა... ამიტომ საჭიროა დაუყონებლივ აღკვეთილ იქნას ასეთი მოქმედებაო". ამ ბრძანებას ბოლშევიკებმა პროტესტით უპასუხეს. ამის გამო მათი დელეგაცია ეწვია ბ.ჩხიკვიშვილს და უთხრა რომ ეს არის რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშერულების დარღვევა. ბოლშევიკების დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ა.ვოლკოვი, ი. სიმონიშვილი და სხვები, ბ. ჩხიკვიშვილმა განუცხდა, რომ ხელშეკრულებას თქვენ, ბოლშევიკები არღვევთ, რადგან ხალხში დეზორგანიზაცია შეგაქვთ და ეწევით ძირგამომთხრელ საქმიანობას. ამიტომ, იცოდეთ რომ მართალია, ჩვენ ამ ხელშეკრულების თანახმად არ ვკრძალავთ თქვენი ორგანიზაციის საქმიანობას, მაგრამ არ მოგცემთ თავისუფლად პარპაშის უფლებასო". ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ გაძლიერდა რეპრესიები. დააპატიმრეს რამდენიმე ათეული კაცი. ბევრი მათგანი საერთოდ გადაასახლეს ბათუმის ოლქის საზღვრებიდან. „ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის".[3]. რაც შეეხება თურქული ორიენტაციის ორგანიზაციებს, აქ შედარებით სიფრთხილე გამოიჩინეს, რადგან იმხანად ძლიერი იყო თურქული ორინტაციის ორგანიზაციების ზეგავლენა მოსახლეობაში და ერთბაშად მათზე იერიშის მიტანა სასურველი არ იქნებოდა, თუმცა ზოგიერთი ასეთი ორგანიზაციის წევრი დააპატიმრეს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთმა მდგომარეობამ გაართულა ვითარება. [4]

ამ სირთულემ თავი იჩინა უკვე აგვისტოს მეორე ნახევარიდან. თითქოს სადღაც გაქრა ის ეიფორია, რომელსაც ადგილო ჰქონდა აქ 1920 წლის ივლისში, როდესაც ბათუმის ოლქი

ქართველმა ჯარმა დაიკავა. სწორედ ამას მიეძღვნა 1920 წლის 9 აგვისტოს საქალაქო საბჭოს სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქალაქის მოურავი გიზო ანჯაფარიძე. მან აღნიშნა, რომ ბათუმში შეიმჩნევა მოსახლეობის ერთი ნაწილის უკმაყოფილება ჩვენდამი. ამით სარგებლობენ მტრები და ცდილობენ კიდევ უფრო დაიძაბოს ვითარება, საქმეს რეპრესიებიც ვერ შველის. საჭიროა გადაუდებელი ღონისძიებების გატარება. სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქალაქო საბჭოს გამგეობის წევრი, ცნობილი სოციალ -დემოკრატი (მენშევიკი) კაპიტონ გოგოლაძე, რომელმაც თქვა, რომ: ,,პირდაპირ გასაკვირია, რას უნდა მოელოდეს მოსახლეობის ერთი ნაწილი ასე სწრაფად ჩვენგან, ჩვენი ხელისუფლება აქ სულ ერთი თვეა ფუნქციონირებს და ამ მოკლე ხანში რომელი მთავრობა შეძლებს ყველაფრის გაკეთებას. ჯერ ამისთვის დროა საჭირო. ნაბიჯები ამ მიმართულებით იდგმება და მომავალშიც ასე გაგრძელდება. ნურც ის დაგვავიწყდება თუ რა რთულ პირობებში გვიწევს მუშაობა. ყველა ჩვენი ხელიშემშლელია, ყველა ძირს გვითხრის და ამ დროს კიდევ პრეტენზიების გამოთქმა მართებული არ არის".

მეტად საინტერესო და ჩვენი აზრით, ყურადსაღები იყო ქალაქის საბჭოს გამგეობის წევრის ი.გორგაშვილის გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ ის შეხვდა ქალაქის გავლენიან მაჰმადიანებს, რომლებმაც მას სთხოვეს საქალაქო საბჭოს წინაშე დაეყენებინა საკითხი ბათუმის ოლქის ავტონომიის შესახებ, რადგან მათი აზრით, სწორედ ავტონომიის საკითხის დროულად გადაჭრა შეძლებდა მდგომარეობის გამოსწორებას.

ავტონომიის შესახებ საკითხის დაყენებამ კამათი გამოიწვია. კაპიტონ გოგოლაძის აზრით, ავტონომიის შესახებ საკითხის დაყენება ნაადრევი იყო. თუმც მან ისიც აღნიშნა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის უფლება ადგილობრივ ხელისუფლებას არა

აქვს, რადგან ის საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეროგატივაა. მეტად საყურადღებოდ ჩანს ქალაქის მოურავის მოადგილის ზია ბეგ აბაშიძის გამოსვლა, მან თქვა, რომ: „ავტონომია არის აუცილებელი და თუ ეს დროულად გადაწყდა, კიდევაც მოეღება ბოლო ამ ავანტიურიზმს, რომელსაც აქ აქვს ადგილი. შემდეგ მან აღნიშნა, რომ საჭიროა სალხის მომზადება ამისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები გვაქვს გადასაწყვეტი". მართალია, მას არ დაუკონკრეტებია, თუ რას გულისხმიბდა ის ამ სხვა მნიშვნელოვან საკითხებში.

ბოლოს სხდომის შედეგები შეაჯამა გიზო ანჯაფარიძემ, რომელიც ავტონომიის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ოლქის კომისარი ბენია ჩხიკვიშვილი ავტონომიის შესახებ ესაუბრა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს. ისინი წინააღმდეგნი არ არიან ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობისა, მაგრამ ამისთვის ჯერ კიდევ დრო იყო საჭირო. ამჟამად კომისარი თბილისში იმყოფება (ბ.ჩხიკვიშვილი, ბათუმის ოლქის საგანგებო რწმუნებულის მოვალეობათან ერთად ასრულებდა ქ. თბილისის თავის მოვალეობასაც- ო.გ) და როდესაც ის ბათუმში დაბრუნდება, მასთან ამ საკითხებზეც გვექნება საუბარიო. გიზო ანჯაფარიძის აზრით, ქალაქის საბჭოს აქვს მხოლოდ საკითხის დასმის უფლება, მაგრამ გადაწყვეტა ამ საკითხისა უკვე თბილისის ხელისუფლების მოვალეობაში შედიოდა. [5]

ავტონომიის საკითხი კიდევ გახდა საქალაქო საბჭოს სხდომის მსჯელობის საგანი. ამ საკითხზე გამართულმა დებატებმა მთელი ქალაქი მოიცვა. ბოლოს კომისარი ჩხიკვიშვილი იძულებული გახდა წერილით ეცნობინებინა საქალაქო საბჭოსთვის, რომ მათ შეეწყვიტათ ამ თემაზე საუბარი და თუ ვინმე კვლავ მას წამოჭრიდა, მაშინ ის პროვოკატორი იქნებოდა, რადგან ამ შემთხვევაში ის მტრების წისქვილზე ასხამდა წყალს. ავტონომიის

მიცემა რთული საკითხია, ჯერ უნდა ჩატარდეს მოსახლეობის გამოკითხვა, მზად არიან თუ არა ისინი „ზედმეტი წარმონაქმნისათვის", როდესაც თავის დროზე მთავრობას ხელთ ექნება ასეთი გამოკითხვის შედეგები, მაშინ შეიძლება ამ საკითხის ირგვლივ საუბარიო.

ავტონომიის საკითხი იმ მომენტისათვის, როგორც ჩანს, მოსახლეობის ერთ ნაწილში მომწიფებული იყო და მოითხოვდა მის დაუყონებივ გადაჭრას, ამ საკითხს ისინი უყენებდნენ რატომღაც საქალაქო საბჭოს და არა კომისარს. ეტყობა, კომისარი ჩხიკვიშვილი არ თვლიდა საჭიროდ ამ საკითხის გადაჭრას, რადგან ეს მისთვის მიუღებელი იყო, თანაც იმჟამად ბათუმის ოლქი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და მისი ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად დიდი დრო იყო საჭირო.

თანდათან დაიწყეს ბათუმის ოლის მთელ ტერიტორიაზე სახელისუფლო ორგანოების ჩამოყალიბება. ეს პროცესი მტკივნული იყო. ბევრ ადგილას ხალხი „მტრულად განეწყო" მენშევიკური ხელისულებისადმი. ამ მიმართულებით უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებამ დაუშვა შეცდომა. შეარჩია ისეთი კადრები, რომლებიც ვერ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება ართვინის ოლქში, სადაც უფროსად დაიიშნა პოლკოვნიკი წულუკიძე, რომელსაც არც თუ ისე სახარბიელო წარსული ჰქონდა. წულუკიძის დანიშვნა ერთსულოვნად არ მომხდარა, რადგან მას მოწინააღმდეგები გამოუჩნდნენ. ისინი აღიშნავდნენ, ასეთ რთულ ადგილას, როგორიც ართვინია, ამ კაცის დანიშვნა ყოვლად გაუმართლებელია. ამ სიტყვების სისწორე მოგვიანებით გამოჩნდა, როდესაც წულუკიძის მოუქნელი პოლიტიკის გამო, ართვინის ოლქი კინაღამ „მთლიანად დაიკარგა". აი, რას წერდნენ ართვინის ოლქიდან ბათუმის საგანგებო კომისარს:„თქვენ მიერ დანიშნული წულუკიძე შეუფერებელია

თანამდებობისათვის. ეს კაცი ასევე უნიჭოა ადმინისტრაციულ საქმიანობაში. მას აქვს ძალიან ბევრი შეუფერებელი უარყოფითი თვისება. არის უხეში და მოუქნელი. ბილწსიტყვიანობს, ადმინისტრაცია აავსო უსაქმური ხალხით, რომლებიც პირწავარდნილი მექრთამეები არიან, ყოვლად აღმაშფოთებელია მილიციის თვითნებობა, რომელთა მხრიდან ხალხის შევიწროვება ჩვეულებრივი მოვლენაა... თუ ეს კაცი არ მოშორდა ართვინს, იცოდეთ, ართვინში გამოუსწორებელი მდგომარეობა იქნება". [6]

მიუხედავად ასეთი გამაფრთხილებელი შეტყობინებისა, ბათუმის ოლქის ხელისუფლებამ ის უყურადღებოდ დატოვა. ამ უყურადღებობამ კი გამოიღო თავისი შედეგები. 1920 წლის აგვისტოს ბოლოს, ართვინის ოლქის ადმინისტრაციულ შენობასთან მივიდა ხალხის ჯგუფი და უფროსისაგან მოითხოვა პირველადი მოთხოვნილების საქონელზე ფასის დაკლება, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ხალხისთვის მოესმინათ და მდგომარეობის გამოსწორებაზე ერთად ეზრუნათ, ხალხს მილიცია მიუსიეს და ძალის გამოყენებით გარეკა. ეს ფაქტი შემდეგ გახდა დრამატული მოვლენების განვითარების მიზეზი. საღამოს ადმინისტრაციულ შენობას თავს დაესხა რამდენიმე ათეული შეიარაღებული პირი და ცეცხლი გაუხსნა შიგ მყოფთ. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ერთი ადამინი მოკვდა, ხოლო რამოდენიმე კი დაიჭრა. შემდეგ ეს შეიარაღებული ჯგუფი გაემართა ყაზარმებისაკენ, სადაც გვარდიელები იყვნენ დაბანაკებულნი და იმათ ცეცხლი გაუხსნეს. ატყდა ორმხრივი სროლა. ბევრი დაიღუპა, რამდენიმე ათეულები კი დაიჭრა. ვითარება მეტად კრიტიკული შეიქმნა, მაგრამ ისევ გონებამ გაიმარჯვა. ადგილობრივი მაჰმადიანების მხრიდან, რამდენიმე ცნობილმა პიროვნებამ, აიძულა თავისიანები ცეცხლი შეეწყვიტა. ეს მოთხოვნა

შესრულდა. შედეგ ეს პიროვნებები გაემართნენ ოლქის უფროსთან შეხვედრაზე. წულუკიძე დამფრთხალი, იძულებული იყო დათანხმებულიყო მათი მოთხოვნის შესრულებაზე. ისარგებლეს რა ამით, რომ ოლქის ხელისუფლება უუნარო აღმოჩნდა, დაიწყო თურქი ემისრების ენით აუწერელი, თავგასული პარპაში. ისინი დაუფარავად მოძრაობდნენ მთელ ართვინში და ატარებდნენ ანტიქართულ აგიტაციებს. უფრო მეტიც, ემისრები ისე გათავხედდნენ, თვით უფროსის შენობიდან რამდენიმე ათეულ მეტრშიც კი მოსახლეობასთან ატარებდნენ საუბრებს ადგილობრივ მაჰმადიანებში და ხალხს მოუწოდებდნენ თურქეთთან შეერთებაზე. ხოლო ოლქის ხელმძღვანელობა კი ვითომ ვერაფერს ამჩნევდა და, რაც უფრო ყველაზე მეტად აღმაშფოთებელი იყო, იარაღითა და ტყვია-წამლით უკანონოდ ვაჭრობდა. ამ ბინძურ საქმეში გარეულნი იყვნენ ყველანი დაწყებული ოლქის უფროსიდან დამთავრებული რიგით გვარდიელამდე. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ იმ დროისათვის იარაღი უფრო იოლად იშოვებოდა, ვიდრე კვების პროდუქტი. იარაღით ვაჭრობა გახდა შემოსავლის ერთ -ერთი წყარო, ხოლო შედეგი ამ წინდაუხედავი პოლიტიკისა ის იყო, რომ 1920 წელის 6 სექტემბერს ართვინში, დღისით, ხალხის თვალწინ დახოცეს ოთხი ქართველი მილიციელი, მკვლელები მიიმალნენ. მოსახლეობისათვის ცნობილი იყო ის ადგილი, სადაც ისინი მიიმალნენ, მაგრამ იმ ხანად არაპოპულარული იყო ხელისუფლება ხალხის თვალში, რომ მას არავინ არ აცნობა მკვლელების ადგისამყოფელი. თუმცა მთავრობამ ანონიმური შეტყობინებიდან მაინც გაიგო მათი სამალავი, მაგრამ ბანდები ისე იყვნენ შეიარაღებულნი, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო ჯარის გაგზავნა, ისინი შიშობდნენ, რომ წინააღმდეგობა დიდი იქნებოდა. აი, ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი ართვინში უნიჭო ხელისუფლების

„ძალისხმევით". თვით ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია იძულებული გახდა, რომ ეღიარებინა: „ართვინს მოვლა სჭირდებოა და თუ არ შეიცვალა იქ მმართველობის სტრუქტურა , მდგომარეობა უმართავი გახდება" [7]

ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი კინტრიშის (ქობულეთის - ო.გ.) რაიონშიც. აქ კიდევ უფრო მძიმე და აუტანელი მდგომარეობა იყო. შეიძლება ითქვას, რომ ქობულეთი მტრების სახიფათო გავლენის ქვეშ მოექცა. ბათუმის ოლქის ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა ქობულეთის რაიონის სახელისუფლო მმართველობის ჩამოყალიბება-განმტკიცება. მათ მხოლოდ ქობულეთში შეძლეს სახელისუფლო ორგანოს შექმნა, მაგრამ ამ ხელისუფლების ძალაუფლება ქობულეთს იქით საერთოდ არ ვრცელდებოდა. ქობულეთის სოფლებში არ არსებობდა არავითარი სახელისუფლო სტრუქტურა. აქ არც სოციალისტური ორგანიზაცია იყო ძლიერი. იყო მხოლოდ აგიტატორების მცირე ჯგუფი., რომელიც ვერავითარ გავლენა ვერ ახდენდა მოვლენათა მსვლელობაზე. სამაგიეროდ, ისე როგორც ართვინში, აქაც ძლირი იყო თურქოფილური ელემენტები, რომლებიც თავისუფლად მოქმედებდნენ. განსაკუთრებით გამოირჩოდა პროთურქული ორგანიზაცია „სედაი მილეთი". შეიძლება ითქვას, რომ ქობულეთის რაიონში, ხელისუფლების უუნარობის გამო, ნამდვილ ხელისუფლებას ეს ორგანიზაცია ფლობდა. ხალხი უფრო მეტად მასთან მიდიოდა, ვიდრე ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან. რაიონის ცენტრში, ერთ-ერთ მოსახლესთან იყო ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინა, ხოლო მათი ფილიალები ქობულეთის სოფლებში იყო მოფენილი. „სედაი მილეთის" ხელმძღვანელი პირწავარდნილი ანტიქართველი ხასან ეფენდი ბუღარ-ოღლი იყო. 1920 წლის 29 აგვისტოს ქობულეთში შედგა ამ ორგანიზაციის შეკრება. შეკრების შესახებ აცნობეს ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ამ უკანასკნელმა

არ გაატარა არავითარი ღონისძიება შეკრების ჩასაშლელად. შეკრებაზე სიტყვით გამოსულებმა: ბუღარ-ოღლიმ, ახმედ ჩემი-ოღლიმ, ენვერ ეფენდი ოღლიმ, სულეიმან ცეცხლაძემ, ისმაილ ბერიძემ, ხასან ოღლი კობახიძემ და სხვებმა ისაუბრეს იმ სიტუაციაზე, რომელიც ქობულეთში შეიქმნა. აღნიშნეს, რომ მათთვის მიუღებელია გურჯების ხელისუფლება, რადგან ეს არა მაჰმადიანურია, ხოლო ბუღარ-ოღლიმ თქვა, რომ ხელისუფლება დროებითია და მას დიდი ხნის მოქმედების საშუალება არ ექნება. მანვე ისიც აღიარა, რომ აუცილებელია მოსახლეობაში აგიტაციის გაძლიერება და ხალხის დარწმუნება იმაში, რომ თურქეთი მალე შეძლებს ამ მხარის შეერთებასო. აქვე, ერთერთმა თურქოფილმა ხასან ოღლი კობახიძემ ქართულ ხელისუფლებას ,,მატყუარა" უწოდა. რადგან ის ხალხს დაპირდა ავტონომიას და არაფერი გაუკეთებია, ხოლო სულეიმან ცეცხლაძემ კი ცეცხლზე ნავთი დაასხა და თქვა, რომ მე იმიტომ შემოვედი ამ ორგანიზაციაში (ე.ი სუდაი მილეთში-ო.გ) დავინახე ჭეშმარიტი სიყვარული თავისი ხალხისა და მჯერა, თუ თურქეთი კვლავ შემოიერთებს ჩვენს მხარეს, ის გურჯებივით ხალხს კი არ მოატყუებს, არამედ შეასრულებს იმას, რასაც დაპირდა, მხედველობაში მაქვს ჩვენი მხარისთვის ნამდვილი ავტონომიის მიცემაო. ამ შეკრებაზე გადაწყვიტეს, რომ ორგანიზაციის სახელით ადგილობრივ ხელისუფლებასთან მისულიყო მისი რამდენიმე წევრი და მათთვის გადაეცათ ,,ადგილობრივი მაჰმადიანების მიმართვა"

მართლაც, 10 სექტემბერს ,,სედაი მილეთელები" ეახლნენ ქობულეთის რაიონს უფროსს და მოითხოვეს, რომ ქობულეთის რაიონში ხელისუფლების ორგანოებში სამუშაოდ შეეყვანათ მათი წარმომადგენლებიც. ეს მოთხოვნა უფროსმა კატეგორიულად უარყო. უფრო მეტიც, მან საშინელი წინდაუხედავი ნაბიჯი

გადადგა და ამ „პროვოკატორების" დაპატიმრების ბრძანება გასცა. ისინი დააკავეს, მაგრამ ბოლოს რაიონის უფროსი თავისიანებმა დაარწმუნეს, რომ ამ ნაბიჯით შეიძლება სისხლისღვრა მომხდარიყო და თხოვეს მათ დაკავებულების განთავისუფლება. ისინი გაათავისუფლეს. თუმცა ამ წინდაუხედაობამ მართლაც ცუდი როლი ითამაშა. საქმე იმაშია, რომ დაპატიმრებისას მილიციონერებმა მათ შეურაცყოფა მაიყენეს, ხოლო ერთი მათგანი, გვარად მუჰამედ ბალაძე კი სასტიკად სცემეს. ამის შემდეგ მოხდა არა ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი. დაიწყეს სოფლებში პროკლამაციების გაკვრა, სადაც ხალხს მოუწოდებდნენ აჯანყებისაკენ. ასეთი პროკლამაციები დიდი რაოდენობით გააკრეს სოფლებში: ხინოში, ჭახათში, კოხში, ცხემლოვანში და სხვაგან. აგიტატორები სოფლებში ღიად ატარებდნენ მიტინგებს და მოსახლეობას დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდნენ. მაგალითად 1920 წლის 16 სექტემბერს სოფელ ხუცუბანში ჩატარებულ მიტინგზე „სედაი მილეთელებმა" მოსახლეობას მოუწოდეს შეიარაღებისაკენ და ხმა გაავრცელეს, რომ თურქეთის ჯარი მალე ბათუმში შემოვა და ჩვენი კუთხე კვლავ ჩვენს „თანამოძმეებს" შეუერთდებაო. აქვე მიტინგზე გამოსულმა ხუსეინ მოწყობილმა ხალხს უთხრა, რომ დღეიდან ხუცუბანში ხელისუფლება მთლიანად გადადის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელში (ე.ი. „სედაი მილეთის" ხელში-ო.გ.) და ყველას ვთხოვ საჭიროებისათვის მას მიაკითხოსო. ხოლო ის, რაც 27 სექტემბერს მოხდა სოფელ კოხში, წარმოადგენდა ენით აუწერელ ძალადობას. ამ ძალადობის გაჩაღებაში თანაბარი წვლილი მიუძღვით როგორც მილიციელებს, ასევე „სედაი მილეთის" აგიტაციით მოწამლულ მოსახლეობას. კოხელ გლეხს, გუნთაიშვილს, მილიციონერებმა შეურაცხყოფა მიაყენეს, რის საპასუხოდ მან ისინი მოკლა, ხოლო შემდეგ მათ ყელი გამოჭრა. ამ ამბავმა სულით ხორცამდე შეძრა

მთელი ქობულეთი. ქობულეთიდან კოხში გაიგზავნა რაზმი, მაგრამ სოფლის შესასვლელში მათ ცეცხლი გაუხსნეს და კიდევ ორი მილიციონერი მოკლეს. ამან კი ისე აღაშფოთა მილიციონერები, რომ მათ დაკარგეს მოქმედების ყოველგვარი კონტროლი. მათ ბოროტებას საზღვარი არ ქონდა. გადაწვეს რამდენიმე სახლი, მოკლეს სამი კაცი. დააპატიმრეს და ხალხი იმით დააშინეს, რომ უარესი დღე დაადგებოდათ, თუ „მტრების საქმეს" გააკეთებდნენ.

პოლიტიკური სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ აქ მდგომარეობის გამოსარკვევად მიავლინა პეტრე გელეიშვილი, რომელმაც ბათუმის ოლქში 12 დღე დაჰყო. შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს და ნოე ჟორდანიას სახელზე დაწერა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, სადაც სასტიკად გააკრიტიკა ადგილობრივი ხელისუფლება უმოქმედობისათვის, თუმცა პეტრე გელეიშვილი თავის მოხსენებით ბარათში ნაკლებად ცდილობს დაასახელოს ის მიზეზები, რომლებმაც ბათუმის ოლქში ასეთი მდგომარეობა შექმნა. სოფელ კოხში დატრიალებულმა ტრაგედიამ კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა, მაგრამ ბევრი მათგანი დააშინა კიდეც. გაჩნდა იმის შიშიც რომ ხელისუფლებას შეუძლია სათანადოდ იმოქმედოს. [8]

1920 წლის 30 სექტემბერ ქობულეთში დააკავეს რამდენიმე შეიარაღებული პირი, ერთი მათგანი ახმედ ოღლი თურქეთის ემისარი აღმოჩნდა. 4 ოქტომბერს ქობულეთის მილიციამ არ მისცა „სედაი მილეთელებს" მიტინგის ჩატარების უფლება, ხოლო ორგანიზაციის ორი წევრი კიდევაც დააპატიმრა. ამის შემდეგ ქობულეთის სოფლებში დააგზავნა თავისი მომხრეები, რომლებმაც დაიწყეს მოსახლეობაში ახსნა-განმარტების ჩატარება. ზოგ სოფელში მაგალითად ბობოყვათში, ასეთ აგიტაციას წარმატება

ხვდა წილად, აქ შეიქმნა ქობულეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბობოყვათის განყოფილება.

მთვარობამ ხალხის გულის მოგების მიზნით დაიწყო მოსახლეობაში პროდუქტების დარიგება. ამ საქმეში ჩართეს ადგილობრივი მაჰმადიანებიც. ხალხის ღატაკ ფენას უფასოდ დაურიგეს შაქარი, ფქვილი, ბრინჯი და სხვ. ასეთი ნაბიჯები კარგი და მისასალმებელი იყო, მაგრამ მდგომარეობის საბოლოოდ გამოსწორება მაინც ვერ მოხერხდა, რადგან დიდი ხნის განმავლობაში წარმართულმა ანტიქართულმა მუშაობამ უარყოფითი დაღი დაასვა აქაური მოსახლეობის დიდი ნაწილის მსოფლმხედველობას. სწორედ ამ დროს ბაქოში გაიმართა ყრილობა, რომელიც მიეძღვნა ერთიანი მაჰმადიანური სახელმწიფოს შექმნას. ამ ყრილობას ესწრებოდნენ აჭარელი სედაი მილეთელები ცნობილი ბუღაროღლის მეთაურობით და შემდეგ უკან დაბრუნებისას მათ დაიწყეს ბაქოში მიღებული დადგენილების დებულებების პროპაგანდა. ასევე აქ თავისუფლად ეწეოდა აგიტაციას სედაი მილეთელი ხოჯა ქათამაძე, რომელიც ბოლშევიკებმა ფულით მოისყიდეს და დაავალეს „ქართველების" (ე.ი. მენშევიკების ო.გ.) წინააღმდეგ აგიტაციის ჩატარება.

უფრო რთული ვითარება იყო ხულოში, ქედაში, სადაც ცხოვრობდნენ აშკარა თურქოფოლებიც. ხულოში, მართალია შეიქმნა მილიცია, ჯარმა დაიწყო საზღვრების დაცვა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი მდგომარეობის გამოსასწორებლად. სამწუხაროდ, აქაც ადგილი ჰქონდა იგივე შეცდომებს მმართველობაში, რამაც სხვაგან იჩინა თავი. ადგილობრივი ადმინისტრაცია ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე სიტუაციის დასარეგულირებლად. კომისარი გოგელია იმდენად უხეში პიროვნება იყო რომ ის ხულოში ყველას სძულდა. მისი მხრიდან ადამიანების ფიზიკური შეურაცხყოფა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ის

ხშირად ან თვითონ სცემდა და უსწორდებოდა ხალხს, მათ შორის მოხუცებს, ან მილიციას აძლევდა ნებართვას ასეთი მოქმედებისათვის. ამიტომ იყო, რომ ხალხი ზიზღით უყურებდა ადმინისტრაციას და მათ არავინ ეკარებოდა. ხულოს სოფლები კი საერთოდ მოწყვეტილი იყვნენ ცენტრს. იქ არავითარი ხელისუფლება არ არსებობდა და აქაურ ხელისუფლებას წარმოადგენდნენ ხოჯები, მოლები და თურქების ემისრები, რომლებიც მიუხედავად საზღვრის ვითომდა დაცვისა, აქ თურქეთიდან თავისუფლად გადმოდიოდნენ. ხულოს რაიონის ადმინისტრაციის უმოქმედობაზე უკმაყოფილებას გამოთქვამდა ბათუმის ოლქის ახლად დანიშნული კომისარი გრ. გიორგაძე (გიორგაძემ ჩხიკვიშვილი შეცვალა- ო.გ.) რომელიც კიდევაც აღნიშნავდა, რომ ხულოში და სხვაგან ჩვენი ხელისუფლება არ არსებობსო. [9]

ასეთივე მდგომარეობა იყო შექმნილი ქედაში, სადაც ხელისუფლება ქედის იქით ვერ აკონტროლებდა მდგომარეობას. 1920 წლის 20 სექტემბერს ქედაში გაბარცვეს ბათუმიდან აქაური ჩინოვნიკებისადმი ხელფასის დასარიგებლად გაგზავნილი ფოსტა. მძარცველებს დაედევნენ და სოფელ ცხმორისთან დაეწიენ, მაგრამ მძარცველებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს და შეძლეს მიმალვა. კომისარმა საგანგებო წერილით აცნობა ქედის ადმინისტრაციის უფროსს, რომ დაუყოვნებლივ მოეძებნა მძარცველები და სამაგალითოდ დაესაჯა ისინი. რატომღაც აქ გაახსენდათ ეგზეკუციის წესი. მძარცველთაგან ერთ-ერთი დურსუნ ბერიძე იყო ზვარედან, ადმინისტრაციამ ზვარეში, ბერიძის ოჯახში გაგზავნა მილიცია და ოჯახის წევრებს დაავალა, რომ მათ თვითონ შეეპყროთ მძარცველი და ხელისუფლებისათვის გადაეცათ, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს, ამის გამო ოჯახის უხუცესი წევრი დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს, ხოლო სოფელში კი მილიციის რაზმი ჩააყენეს.

მიუხედავად ამისა, მათ მაინც ვერ შეძლეს მძარცველების შეპყრობა. უნდა აღინიშნოს, რომ იმჟამად ძნელდებოდა ბათუმიდან დახმარების გაწევის ორგანიზება. ეს გამოწვეული იყო სატრანსპორტო საშუალების უქონლობით, ხოლო ბევრ დასახლებულ პუნქტში მისასვლელი გზა ისეთი უვარგისი იყო, რომ იქ მისვლა თითქმის შეუძლებელი იყო, განსაკუთრებით წვიმიან ამინდებში. ამიტომ ვერ ხერხდებოდა ცენტრიდან დახმარების დროული გაწევა, ხოლო ადგილებზე არ იყო საკმარისი ძალები მდგომარეობის დასარეგულირებლად. ბევრი სასწრაფო შეტყობინება დამხმარე ძალების დაუყოვნებლივ გამოგზავნის შესახებ უპასუხოდ რჩებოდა. სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, მაგალითად, 1920 წლის 4 ოქტომბერს ართვინიდან ბათუმის ოლქის კომისარს სასწრაფოდ აცნობეს ყაჩაღთა ჯგუფის ასალაგმავად დამხმარე ძალების გამოგზავნის შესახებ, მაგრამ ბათუმიდან ვერ გაიგზავნა ეს ძალები.

ბათუმის ოლქის ხელისუფლება, რომელიც, რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატიული იყო, ცდილობდა სოციალ-დემოკრატიული იდეები გაეტარებინა თავის საქმიანობაში. ასეთი იდეები კი მიუღებელი აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის, რომლებიც რეაქციული სამღვდელოებისა და ბეგების ზეგავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. ამიტომაც ხელისუფლება ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა.

მთელი 1920 წლის აგვისტო-სექტემბრის დასაწყისში ხელისუფლება დაკავებული იყო მოსამზადებელი სამუშაოებით მე-2 ინტერნაციონალის ბელადების ჩამოსვლასთან დაკავშირებით. იყო გაუთავებელი მიმოსვლები თბილისიდან ბათუმში. სტუმრების დასახვედრად დგებოდა გემის სხვადა-

სხვა ვარიანტები. ნაწილდებოდა ფუნქციები, რომლებიც ხშირად იცვლებოდა. ამ ხნის განმავლობაში მთავრობას სხვა საქმეებისათვის არ ეცალა და სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა სხვადასხვა ხასიათის გართულებაც ბათუმის ოლქში. ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკებიც ცდილობდნენ თავისი წვლილის შეტანას ამ საქმეში.ისინი ხშირად თანამშრომლობდნენ კიდეც. ამაზე მეტყველებს არაერთი საარქივო დოკუმენტი. უფრო მეტიც, ამ შეხვედრებისადმი მიძღვნილ თათბირებზე ხშირად ბოლშევიკებიც კი მონაწილეობდნენ. ასე რომ არ არის სწორი მტკიცება, თითქოსდა ბოლშევიკები თავიდანვე მტრულად იყვნენ განწყობილნი ამ აქციისადმი, რასაც თავის დროზე ამტკიცებდნენ საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები. [10]

1920 წლის 14 სექტემბერს ბათუმში ჩამოვიდნენ მე-2 ინტერნაციონალის ბელადები მაკდონალდი, ვარდერველდე, რენოდელი, დე ბრუკერი, გიუსმანი და სხვები. მათ დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. ბათუმის ქუჩები საზეიმოდ იყო მორთული. უკრავდა მუსიკა. ხალხი გარეთ იყო გამოფენილი. გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელშიც სტუმრებმაც მიიღეს მონაწილეობა. რენოდალმა მადლობა მოახსენა ქართველ სოციალ-დემოკრატებს იმ ღვაწლისათვის, რომელიც მათ გასწიეს სოციალ-დემოკრატიული იდეების ცხოვრებაში გატარებისათვის. ასეთივე სამადლობელი სიტყვებით გამოვიდნენ ვანდერველდე, მაკდონალდი და სხვ. ისინი აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ იმ წარმატების გამო, რომელიც ქართველმა სოციალისტებმა მოიპოვეს. ერთ-ერთ შეხვედრაზე, ქალაქის სათათბიროში, რომელსაც ესწრებოდა გიუსმანი, სიტყვით გამოვიდა ადგილობრივი ბოლშევიკი ვოლკოვი, რომელმაც ამ

მომენტს ღირსშესანიშნავი და ყველა თარიღისაგან გამორჩეული უწოდა. ამის შემდეგ მეორე ინტერნაციონალის ბელადები თბილისში გაემართნენ. მათ ბათუმიდან დიდებული გაცილება მოუწყვეს. ასეთივე შეხვედრა და გაცილება მოუწყვეს მოგვიანებით ცნობილ სოციალ-დემოკრატ კარლ კაუცკის. [11]

ვითარება კი ბათუმის ოლქში კვლავ დაძაბული იყო. განსაკუთრებით, მძიმე მდგომარეობა შეიქმნა 1920 წლის ოქტომბრის ბოლოს. სწორედ ამას მიეძღვნა 1920 წლის 2 ნოემბერს საქალაქო საბჭოს საგანგებო სხდომა. სხდომაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ბათუმის მილიციის უფროსი, რომელმაც კრიტიკული უწოდა ბათუმში შექმნილ კრიმინოგენურ ვითარებას. მოხსენებიდან ცნობილი გახდა, რომ მარტო ოქტომბრის თვეში ადგილი ჰქონდა მკვლელობის ათ შემთხვევას, ხოლო ძარცვა კი ყოველდღიური მოვლენა იყო და არ ჩანდა მდგომარეობის სტაბილიზაციის შესაძლებლობა.

მილიციის უფროსის მოხსენებით აღშფოთებული ქალაქის მოურავი გიზო ანჯაფარიძე გაოცებას ვერ მალავდა და ამბობდა, რომ „პირდაპირ განსაცვიფრებელია, თურმე ამდენ ხანს სულ ტყუილად შეგვინახავს მილიციის ის უზარმაზარი შტატი, რომელიც ბათუმშია. თურმე ის დიდი რაოდენობით თანხა რომელიც მილიციის შესანახად იყო გამოყოფილი, წყალში გადაგვიყრია. იმის მაგივრად, რომ მილიციის უფროსი გზებს ეძებდეს ამ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსაყვანად, აცხადებს, რომ ვერ მოვახერხებ სტაბილიზაციასო. ე.ი. პირდაპირ გვეუბნება, რომ მუშაობა არ შემიძლია და გადამაყენეთო, რა თქმა უნდა, ჩვენც ამასვე გავაკეთებთ". თათბირზე გიზო ანჯაფარიძის პოზიცია გაიზიარეს კაპიტონ გოგოლაძემ, რომელმაც მილიციის უფროსის განცხადებას უპრინციპო უწოდა და დაეთანხმა მის გადაწყვეტილებას, ხოლო ზ.ბ.

აბაშიძემ აღნიშნა რომ „მილიციაში მდგომარეობა საგანგაშოა. ცოტა საეჭვოდ ჩანს, სად წავიდა ის თანხები, რომელიც მილიციას უნდა მოხმარებოდა. მილიცია უხელფასობას ჩივის და მათი მხრიდან კანონის დარღვევები, ჩვეულებრივი მოვლენაა.

ამას ადასტურებს არა ერთი შეტყობინება. რომელიც ჩვენს სახელზე თითქმის ყოველდღიურად შემოდის". მიიღეს დადგენილება. ამ სხდომაზე მილიციის უფროსი არ გაუთავისუფლებიათ, უკანასკნელად გააფრთხილეს და აღნიშნეს, რომ ამ საკითხს რამდენიმე კვირაში კვლავ დაუბრუნდებოდნენ. [12]. 1920 წლის 19 ნოემბერს გაიმართა კიდევ ერთი სხდომა, რომელსაც ოლქის საგანგებო კომისარიც ესწრებოდა. განიხილეს საკითხი ბათუმში სასურსათო მდგომარეობის შესახებ.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ბათუმის სასურსათო კომისიის თავმჯდომარე პეტროსიანი. მისი მოხსენებიდან ნათელი გახდა, რომ სასურსათო მდგომარეობა კატასტროფულია. სპეკულანტები თავს ლაღად გრძნობდნენ და ითბობდნენ ხელს ხალხის გაჭირვებაზე. ამით სარგებლობდნენ ავისმზრახველები და ცდილობდნენ სოციალური საკითხების მოუწესრიგებლობა თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინათ.

ოლქის კომისარი დაემუქრა, რომ ყველა პროვოკატორს და შანტაჟისტს დააპატიმრებდა, ხოლო სასურსათო კომისიის თავმჯდომარეს უსაყვედურეს პასიურობა, უპასუხისმგებლობა, უინიციატივობა და მასვე დაავალეს, რომ დაეწყო დაუყოვნებლივ მუშაობა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ქალაქის მოურავს კი სთხოვეს, რომ პირადად ეხელმძღვანელა კომისართან ერთად ამ საქმისათვის და შედეგები მოეხსენებინა უახლოეს დროში. ასეთი შეკრებები ბევრი იყო, ისინი

სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებს ეხებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ ნაკლები იყო გამოსწორების შემთხვევები. ვითარება კი ბათუმის ოლქში კვლავ დაძაბული იყო. [13]

ყურადსაღებია ერთი გარემოება. ბათუმის ოლქის ხალმძღვანელობა, რატომღაც, ერიდებოდა ადგილობრივი მაჰმადიანი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრებზე. ისინი, გაუგებარი მიზეზების გამო არ ჩართეს სახელმწიფო საქმიანობაში. მართალია პროგრესული მაჰმადიანი მოღვაწენი, რომლებსაც ლომის წილი მიძღოდათ ბათუმის ოლქის დედასამშობლოსთან დაბრუნებაში, ამის გამო უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ ამ უკმაყოფილებას აშკარად არ გამოხატავდნენ. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი აქტიური მოღვაწის, ჯემალ ეფენდი ქიქავას შეხვედრა ბათუმის ოლქის საგანგებო კომისართან და ქალაქის მოურავთან. შეხვედრაზე ისაუბრეს ოლქის წინაშე მდგომ საჭირბოროტო საკითხებზე და რა თქმა უნდა, ბათუმის ოლქის პოლიტიკურ სტატუსზე საქართველოს შემადგენლობაში. გიზო ანჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა და როდესაც მთელი საქართველო შედარებით სტაბილურ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ალბათ ხელისუფლება ცენტრში ამ საკითხებს დაუბრუნდებაო. იყო აგრეთვე შეხვედრები სხვებთანაც. ქალაქის საბჭოს ზოგიერთი წევრი უკმაყოფილებას გამოთქვამდა ადგილობრივი მაჰმადიანი ინტელიგენციის მოქმედების გამო. მაგალითად, კაპიტონ გოგოლაძე აღნიშნავდა, რომ: „მოსახლეობას კარგად არ ესმის რა არის ავტონომია. ავტონომიას მოითხოვენ სწორედ ის ინტელიგენტები, რომლებსაც მე ძალიან კარგად ვიცნობ და მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვსო", ხოლო ი. გორგაშვილი აღნიშნავდა,

რომ: „ახლა ამ თემაზე საუბარი მტკივნეულ ადგილზე ფეხის დაჭერას ნიშნავს. ეს ჩასაფრებული კაცის პოზიციას უფრო ჰგავს, რადგან ზოგიერთები სარგებლობენ ხელისუფლების მძიმე მდგომარეობით და ცდილობენ ეს ვითარება გამოიყენონ თავის სასარგებლოდ, თანაც ამ საკითხს მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლება წყვეტსო". ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს ავტონომიის საკითხი უნდა ყოფილიყო ერთ–ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ვერ გამოინახა საერთო ენა ადგილობრივ ხელისუფლებასა და მაჰმადიან ინტელიგენციას შორის. თანაც ზოგიერთი ინტელიგენციის წარმომადგენელი, მაგალითად, ჯემალ–ბეგ ხიმშიაშვილი წინააღმდეგი იყო ბათუმის ოლქის (აჭარის - ო.გ.) ავტონომიისა და თანახმა გახლდათ ამ მხარის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნისა ყოველგვარი ავტონომიის გარეშე. ამასვე იზიარებდნენ სხვებიც. [14] ყველაზე საშიში კი გახლდათ ბოლშევიკების პროვოკაციული, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებები, რომელთა შეჩერება სულ უფრო შეუძლებელი ხდებოდა. მათი გააქტიურება თვალსაჩინო გახდა 1920 წლის დეკემბრიდან. ისინი ეწეოდნენ აშკარად ძირგამომთხრელ საქმიანობას ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ საქმეში მათ აქეზებდა საბჭოთა რუსეთი და მისი აგენტი საქართველოში სერგი კიროვი. ხშირად იმართებოდა მიტინგები, ვრცელდებოდა ანტისამთავრობო პროკლამაციები. ბოლშევიკები საქართველოს მტერთანაც არ ერიდებოდნენ კავშირის შეკვრას. მათ „სედაი მილეთის" ორგანიზაციას თანაგრძნობა გამოუცხადეს და თანხმობა განაცხადეს მათთან ერთად ებრძოლად ხელისუფლების წინააღმდეგ. ბოლშევიკების აღვირახსნილი მოქმედება იმდენად აუტანელი გახდა, რომ 1920 წლის დეკემბრის დამდეგს კომისრის განკარგულებით დააპატიმრეს ბოლშევიკების ბათუმის კომიტეტის მთელი

შემადგენლობა. ასეთივე მდგომარეობა გაგრძელდა 1921 წლის იანვარში. უკვე ნათელი იყო, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აშკარა საფრთხე ემუქრებოდა წითელი რუსეთის მხრიდან. ამ დროს ბათუმის კომისარმა სასწრაფო შეტყობინება მიიღო საქართველოს ხელისუფლებისაგან, სადაც იყო მოთხოვნა, რომ ბათუმის ოლქს თავისი წვლილი შეეტანა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. [15]

1921 წლის 16 იანვარს, საქალაქო საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, ქალაქის მოსახლეობაში გაძლიერებულიყო პროპაგანდისტული საქმიანობა, ყველგან უნდა ჩატარებულიყო ახსნა-განმარტებითი სამუშაოები, რომელსაც თავად ქალაქის მოურავი ჩაუდგებოდა სათავეში. დაიწყეს საინფორმაციო ბიულეტენების გაკვრა საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, კრებებისა და მიტინგების ორგანიზება. ხალხს მოუწოდებდნენ არ აყოლოდნენ პროვოკაციებს. უნდა შექმნილიყო მოხალისეთა რაზმები საქართველოს თავისუფლების დასაცავად. 1921 წლის 21 იანვარს, რევოლუციის მოედანზე შედგა დიდი მიტინგი, სადაც დაგმეს ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. იყო მოწოდება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვისაკენ. სიტყვაში გამოსულები აღშფოთებას ვერ მალავდნენ იმ გაუგონარი ღალატის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში. მიტინგზე მიიღეს რეზოლუცია, სადაც მხარს უჭერდნენ ხელისუფლებას და თანადგომას აღუთქვამდნენ მას. ეს რეზოლუცია გაიგზავნა დამფუძნებელი კრების სახელზე. ასეთი მიტინგები შედგა აგრეთვე 25 იანვარს, 30 იანვარს, 20 თებერვალს. აღსანიშნავია 1921 წლის თებერვლის დასაწყისში საგანგებო რწმუნებულის ჩასვლა ქობულეთში. ის შეხვდა ქობულეთელ გავლენიან მაჰმადიან მოსახლეობას და გააცნო ის საშიშროება, რომელიც შესაძლებელი იყო დამუქრებოდა

მათ ქვეყანას. მან მიმართა შეკრებილებს და მოუწოდა, რომ თავისი წვლილი შეეტანათ სამშობლოს დაცვის საქმეში. აქ სიტყვით გამოვიდა ადგილობრივი მაჰმადიანი რეჯებ გოგიტიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ „ვერც ერთი დამპყრობელი ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას დედა–საქართველოსთან, ამიტომ ჩვენ, მაჰმადიენები, იარაღს მოვკიდებთ ხელს“.... მან გამოსვლა დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „მახვილი მტერს გულში“. ამ შეკრებას ესწრებოდა ასევე „სედაი მილეთის“ წევრი ახმედ ხალვაში, რომელმაც დახმარება აღუთქვა მთავრობას კრიტიკულ მომენტში. მანვე აღნიშნა, მთელი მაჰმადიანები გამოვალთ იარაღით ხელში მტრის წინააღმდეგ. [16]

ქობულეთის, ართვინის, ქედის, ხულოს რაიონების უფროსები იწვევდნენ კრებებს, ატარებდნენ სახელდახელო მიტინგებს, ეწეოდნენ აგიტაციას. განსაკუთრებით დიდი მიტინგი ჩაატარა ადმინისტრაციამ ქედაში 1920 წლის 9 თებერვალს. სიტყვით გამოვიდა კომისარი დოლიძე, რომელმაც ხალხს შეახსენა აჭარის წარსული და ისაუბრა იმ საფრთხეზე, რომელიც შეიძლება სულ მალე დამდგარიყო. მან ბოლოს ხალხს მოუწოდა, რომ შექმნილიყო გვარდია, რომელიც დაიცავდა ამ მხარეს და მტერს არ მისცემდა ოლქში თავისუფლად შემოსვლის საშუალებას. მანვე აღნიშნა, რომ „ვისაც სურს თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის დაცვის საქმეში, ყველას ვთხოვ მობძანდეს ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც მიიღებს საჭირო მოწყობილობას. ვთხოვ ყველას, რომ ნუ დაიზარებთ და შეიტანეთ თქვენი წვლილი ამ დიდებულ მამულიშვილურ საქმეში“. ამ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა მაჰმადიანი ქართველი ალი ოსმან სურმანიძე, რომელმაც განაცხადა სურვილი გვარდიაში ჩაწერაზე და იქვე, ხალხის თვალწინ კიდევაც შეასრულა ეს. შემდეგ მან სხვებსაც მოუწოდა მისთვის მიებაძათ.

ასეთივე მიტინგი ჩატარდა ხულოში, სადაც გამოითქვა გვარდიაში ჩაწერის სურვილი. [17]. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა კატასტროფული შეიქმნა. უკვე იანვრის ბოლოს აშკარა გახდა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს დიდი საშიშროება დაემუქრა. 11 თებერვალს ლორეს რაიონში დაწყებული პროვოკაციული, ბოლშევიკური აჯანყება გახდა საბაბი წითელი რუსეთის მხრიდან აშკარა სამარი მოქმედების ესკალაციისა. დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლები საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მიუხედავად ქართული ეროვნული გვარდიის მედგარი წინააღმდეგობებისა, ცხადი შეიქმნა, რომ დამპყრობლები შეძლებდნენ ქართველი პატრიოტების წინააღმდეგობის დაძლევას. ეროვნული მთავრობა იძულებული გახდა 24 თებერვალს თბილისი დაეტოვებინა და ბათუმისკენ დაეხია. 25 თებერვალს წითელი არმია თბილისში შევიდა. საქართველოს ხელისუფლების უდიდესი გაჭირვებით ისარგებლა თურქებმა, რომელმაც საქართველოს დახმარების საფასურად არდაგანისა და ართვინის მხარეები მოითხოვა. ასევე აშკარა ღალატი ჩაიდინეს ბათუმელმა „სედაი მილეთელებმა“, რომლებმაც მოითხოვეს ბათუმის ოლქის მთლიანად თურქეთისათვის გადაცემა. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა 11 მარტს, როდესაც ბათუმთან თურქეთის ჯარი გამოჩნდა. ამ ჯარს შეხვედრა გაუმართეს „სედაი მილეთელებმა“. თურქეთის ჯარების უფროსთან შეხვედრაზე „სედაი მილეთის“ წარმომადგენლები: ოსმან ოღლი, ხუსეინ ჩაშ ოღლი, იბრაიმ ეფენ ოღლი და სხვები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ „ამ უდიდესი ისტორიული მოვლენის გამო“, ხოლო ოსმან ოღლიმ კი განაცხადა, რომ „როგორც იქნა აღდგა ისტორიული სამართლიანობა და ამიერიდან ბათუმი და მისი მხარე სამუდამოდ უბრუნდება დედა–თურქეთს“.

ჯარების უფროსი დაინტერესდა, თუ რა პოზიციაზე იდგნენ ბათუმელი ბოლშევიკები და დაუჭერდნენ თუ არა მხარს თურქეთს. ამაზე იგივე ოსმან ოღლიმ განაცხადა, რომ მას ჰქონდა პირადი შეხვედრა ბათუმელ ბოლშევიკებთან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აღფრთოვანებულნი არ არიან რუსი ბოლშევიკებით, რადგან მათ სურთ ბათუმში დამყარდეს საბჭოთა ხელისუფლება და ეს მხარე კვლავ რუსეთის შემადგენლობაში მოექცესო. იბრაიმ ოღლიმ კი აღნიშნა, რომ ბოლშევიკებისა და ქართველების (ქართველებში იგულისხმებოდა მენშევიკები – ო. გ.) ნდობა არაფრით არ შეიძლებოდა და თურქეთის ჯარი უნდა დაყრდნობოდა ადგილობრივ მაჰმადიანებს, ხოლო იუნუს ჯაყელმა განაცხადა, რომ თურქეთის ჯარმა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ მოქმედება, ვიდრე ხელისუფლება „აგონიაშია“, დაგვიანება კი დამარცხების ტოლფასი იქნებაო [18].

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთ-საბჭოთა რუსეთის შეთანხმების საფუძველზე, ბათუმი საქართველოს (ე. ი. საბჭოთა საქართველოს) შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო, თურქეთის ჯარმა მაინც მოახერხა მისი ანექსია. 17 მარტს, თურქეთის ჯარების სარდალმა ყარა ბექირ ფაშამ მოითხოვა ბათუმში ჯარების „განლაგების“ უფლება. მთავრობამ უარყო ეს წინადადება. იმდენად კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა, იმდენად დიდი იყო ბათუმის და მისი ოლქის დაკარგვის საფთხე, რომ ნ. ჟორდანიამ თანხმობა განაცხადა წითელი ჯარისთვის ვაგონები გაეგზავნა ბათუმის გასანთავისუფლებლად, მაგრამ ეს დროს მოითხოვდა და საჭირო იყო დაუყონებლივ მოქმედება. ნ. ჟორდანიას თანხმობით ციხიდან გაანთავისუფლეს ყველა ბოლშევიკი ს. ქავთარაძის (გუბელი) მეთაურობით. ნ. ჟორდანია მათთან შეხვედრაზე საუბრობდა იმ

საშიშროებაზე, რომელიც ბათუმს შეექმნა და რადგანაც ის იძულებული ხდებოდა დაეტოვებინა ქალაქი, თანახმა იყო მისთვის გადაეცა ძალაუფლება. დრო არ ითმენს, – აღნიშნა მან, – საჭიროა, დაუყოვნებლივი მოქმედება და თუ ეს არ მოხდა, იცოდეთ, რომ შთამომავლობა წყევლა–კრულვით მოიხსენიებს ჩვენს სახელებსო. გადაწყდა, რომ ერთიანი ძალით შებრძოლებოდნენ მტერს. თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი ჯარების უფროსად დაინიშნა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელსაც უნდა უმადღოდეს შთამომავლობა იმას, რომ ბათუმი და მისი ოლქი კვლავ დედა–საქართველოს შემადგენლობაშია. მან შეადგინა ოპერატიული მოქმედების გეგმა, მობილიზაცია გაუკეთა ბათუმში მყოფ ყველა გვარდიელს. მის დასახმარებლად ფეხზე დადგა ადგილობრივი მაჰმადიანების პროქართული ჯგუფი ახმედ ქიქავას, აბდულ თხილაიშვილის და სხვების მეთაურობით. ბათუმში გენერალ მაზნიაშვილთან დაუყოვნებლივ გამოცხადნენ ბათუმის ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრები მაჰმადიანები ოსმან მიქელაძის მეთაურობით. ქართული ჯარის მამაცობამ არ მისცა თურქებს ბათუმის დაპყრობის საშუალება, ხოლო 19 მარტს, ბარცხანასთან ახლოს, ბრძოლის დროს, ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს თურქები. თურქებმა დაკარგეს ბევრი მეომარი, ხოლო ტყვედ ჩავარდნილთა რაოდენობას კი თვლა არ ჰქონდა. ასევე ბათუმის გასანთავისუფლებლად გმირულად დაეცა ბევრი ქართველი გვარდიელი. ისინი დღეს განისვენებენ ბათუმის საძმო სასაფლაოზე, რომელიც მდებარეობს ქალაქის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე. ქართველმა ჯარმა თურქები მანამდე დაამარცხა და განდევნა ბათუმიდან, სანამ წითელი არმია ჟლობას მეთაურობით ბათუმს მიაღწევდა [19]. 18 მარტს კი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმიდან

ემიგრაციაში გაემგზავრა იმ იმედით, რომ უცხოეთის სახელმწიფოების დახმარებით კვლავ უკან დაბრუნდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არწივი (შემდეგში შემოკლებით აცსა), ფ. 21-6, აღწ.1, საქ. 703, ფურც. 55
2. იქვე, ფურც. 62
3. იქვე, საქ. 704, ფურც. 29-30
4. იქვე, ფურც. 37
5. იქვე, ფურც. 44-48
6. იქვე, საქ. 706, ფურც. 14
7. იქვე, საქ. 714, ფურც. 26
8. ა. სილაგაძე, ვ. გურული, პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920), თბ., 1998
9. აცსა, საქ. 716, ფურც. 62
10. შ. ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბ., 2006
11. იქვე, ფურც. 69-75
12. იქვე, ფურც. 80-84
13. იქვე, საქ. 718, ფურც. 70-73
14. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემოკლებით სცსსა), ფ. 1864, აღწ. 12, საქ. 624, ფურც. 32
15. იქვე, ფურც. 39-44
16. იქვე, ფურც. 57-66
17. აცსა, საქ. 721, ფურც. 20

18. იქვე, ფურც. 25-33
19. იქვე, ფურც. 112-118

Batumi Region – the Member of the Democratic Republic

Summary

In July 1920 the population of the whole Batumi Region excitedly greeted the returning of the region into the membership of the democratic republic. The marching Georgian army was exultantly met and thrown the buckets of flowers by the population. The delegation of liberation organization of the Muslim Georgia waited for the Georgian Army in Bartskhana and congratulated the great victory on behalf of the population of Batumi Region. Memed Abashidze, Jemal Kikava, Mohammed Tsulukidze and others made the speech. There was a solemn mood in the city of Batumi. The music was playing. It was the real festival. A great walking day was arranged in Batumi Boulevard. All the population of the city participated in it. There were spontaneous meetings where the speakers exultantly talked about this remarkable fact. The meeting, which was held in the Azizye Square (Square of Freedom) is worth to mention. Ketevan Mikeladze made her speech there. She spoke about the anguish and torture the local population had suffered through centuries and despite the attempts of numerous invaders to separate this land from the motherland – Georgia the people did not lose their national consciousness. They endured carnages, raids, invasions and managed to join this oldest Georgian part to the motherland.

აჭარა ბობოქარ 1922-1924 წლებში

1999 წლის №4 (აპრილი) „ლიტერატურულ აჭარაში“ გამოვაქვეყნე წერილი „ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1922 წლებში“. წერილში აღწერილია 1922 წელს ბათუმში ანტისაბჭოთა დაჯგუფების „განთავისუფლების კავშირის“ ლიკვიდაცია. ეს კავშირი მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისში მოქმედ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებთან, ამიტომ წინამდებარე სტატია, რომელიც ეძღვნება ანტისაბჭოთა მოძრაობას 1922-1924 წლებში, მინდა დავიწყო სწორედ „განთავისუფლების კავშირის“ ლიკვიდაციის შემდეგ განვითარებული მოვლენებით.

„განთავისუფლების კავშირის“ ბათუმის ჯგუფის ლიკვიდაციას თბილისში შეშფოთება მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით ნიკოლოზ ბახტაძე აცნობებდა გიორგი ლომიძეს: „ბათუმში დახვრიტეს ჩვენი ორგანიზაციის (ორგანიზაციაში იგულისხმებოდა განთავისუფლების კავშირი - ო.გ.) წევრები, რამდენიმე მათგანმა მოახერხა თურქეთში გაქცევა, ხოლო 4 კაცი კი ამჟამად გურიაშია. გურიაში შესაძლებელია მოხდეს დიდი არეულობა და ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ“.

1922 წლის 24 მარტს ოზურგეთში თავი მოიყარა ხალხის დიდმა ნაწილმა და გამართა მიტინგი. მიტინგზე გაისმოდა ანტისაბჭოთა შემახილები. ამ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სერგო ჩხაიძე, რომელმაც ხალხს აუწყა, რომ ბათუმში ჩამოვიდა ფრანგული გემი და ჩამოიყვანა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებიო. მან აღნიშნა, ბათუმში უკვე აღსდგა კანონიერი ხელისუფლება და სულ მალე ეს ხელისუფლება მთელ საქართველოში დამყარდებაო. სერგო ჩხაიძის ამ გამოსვლას დიდი ოვაციები და ტაშის ცემა მოჰყვა. მიტინგი

დამთავრებული არ იყო, როდესაც ჩეკისტებმა დაიწყეს მისი დარბევა. დაიწყო ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა. ხალხის დასაშინებლად იხმარეს იარაღი. ჩეკისტებმა მოინდომეს ს. ჩხაიძის დაპატიმრება, მაგრამ ის გაუსხლტათ მათ ხელიდან და ტყეში მიიმალა. ჩეკისტები ნიკოლოზ კილაძის ხელმძღვანელობით დაედევნენ მას, მაგრამ ვერ შესძლეს მისი შეპყრობა. სერგო ჩხაიძე სოფელ ლიხაურში გადავიდა და იქ იმალებოდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიხაურში მოქმედებდა ანტისაბჭოური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ს. სალუქვაძე, რ. გორდელაძე, ი. ჭანტურიშვილი, ა. გოგოლიშვილი, პ. ხომერიკი და სხვები. სწორედ ამ ჯგუფთან გააბა კავშირი ს. ჩხაიძემ და აი 1922 წლის 17 მაისს, სოფელ ლიხაურში, ხიტილაურის სასაფლაოზე, სადაც იდუმალ იკრიბებოდნენ ჯგუფის წევრები, მორიგი შეკრების დროს მათ ალყა შემოარტყა მილიციამ, მაგრამ შეკრებილებმა ცეცხლი გახსნეს. დიდი ხნის ორმხრივი ბრძოლის შემდეგ ჯგუფის წევრებმა შესძლეს სიბნელეში გაუჩინარება. მხოლოდ ორი მათგანი რ. გორდელაძე და ს.სალუქვაძე იქნა მოკლული. ამასთან დაკავშირებით ოზურგეთის ჩეკას უფროსი ატყობინებდა საქართველოს შინსახკომს იმის თაობაზე, რომ ლიხაურში აღმოჩენილი იქნა კიდევ ერთი მენშევიკური ჯგუფი. ამ ჯგუფთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ბანდიტ სერგო ჩხაიძეს. ეს ის ჩხაიძეა, რომელიც ეკუთვნოდა სულ ახლახანს ბათუმში ლიკვიდირებულ ანტისაბჭოურ ორგანიზაციას „განთავისუფლების კავშირს“. მან შეძლო მიმალვა. მისი შეპყრობა ვერ მოხერხდა. ის და კიდევ რამდენიმე კაცი აჭარაში გადავიდნენ და ჩვენი მონაცემებით იმალებიან ქობულეთში“. 1922 წლის 13 ივნისს ჩეკას ანგარიშიდან ვგებულობთ, რომ ჩაქვში შეტაკებისას მოუკლავთ „ბანდიტი“ სერგო ჩხაიძე და დაუჭრიათ ასევე „ბანდიტი“ გივი კაკაბაძე.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1922 წლის შემოდგომაზე ოზურგეთის მიზრაში დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი „დამკომის“ (დამოუკიდებლობის კომიტეტი - ო.გ.) გურიის ორგანიზაციის წევრებს სერგო მათითაიშვილს, დავით სურგულაძეს, არტემ სიორაძეს და ჩეკას მიერ დიდი ხნით ძებნილ გიორგი ბარამიძეს. 1922 წლის ოქტომბერში დიდი შეტაკება მოხდა ნაგომართან ჩეკასა და მეამბოხეებს შორის. შეტაკებისას, დავით სურგულაძემ რამდენიმე ჩეკისტი სიცოცხლეს გამოასალმა, ასევე „თავგამოდებით“ იბრძოდნენ არტემ სიორიძე და გიორგი ბარამიძე. ბრძოლაში დავით სურგულაძე ხელში დაიჭრა. ის, სიორაძე და ბარამიძე გადავიდნენ ჩოხატაურში და ტყეში იმალებოდნენ. შემდეგში ის არის ცნობილი, რომ ეს პიროვნებები აქტიურად იბრძოდნენ 1924 წლის აგვისტოს გურიის აჯანყევაში. დ. სურგულაძე, ს. მათითაიშვილი თურქეთში გადავიდნენ, ხოლო ა. სიორიძე 1925 წლის 21 ნოემბერს შეტაკებისას მოუკლავთ, გ. ბარამიძე კი 1925 წელს შეუპყრიათ და 1926 წელს დაუხვრეტიათ.

1922 წლის 24 ივნისს აჭარისტანის ცაკს გაეგზავნა საიდუმლო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ქედის რაიონის სოფლების: მახუნცეთის, დოლოგნის, ცხმორისის და მერისის მიმდებარე ტყეებში იმალებიან საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეები. ამ მხრივ საყურადღეობოა სოფ. ცხმორისის საქმე. 1922 წლის 4 ივლისს მოკლეს აქტივისტი ხასან ღოღობერიძე. მკვლელობა დაბრალდა მემედ ტაკიძესა და იბრაგიმ მიქელაძეს. ეს ორი პიროვნება პირწავარდნილი ანტისაბჭოელი იყო. ჩეკას შეტყობინებიდან ვგებულობთ, რომ ტაკიძისა და მიქელაძის „ბანდიტური“ ჯგუფი მოქმედებს ძალზე აგრესიულად. არ ინდობს არავის. ამასთან მათ მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული ხულოში მოქმედ „ყაჩაღ“ ხასან ირემაძის ჯგუფთან. 1922 წლის 17 ივლისს, ქედაში, მილიციამ მიიღო შეტყობინება, რომ „ბანდიტები“

მიქელაძე, ტაკიძე, შაინიძე, ბერიძე, დავითაძე და სხვები სოფ. ახოში იმყოფებიან ერთ-ერთი მოსახლის სახლში. მილიცია სწრაფად გაეშურა დანიშნულების ადგილას, მაგრამ მისი მოძრაობა არც მიქელაძის ჯგუფს გამორჩენია მხედველობიდან. როცა მილიციელები მივიდნენ დანიშნულების ადგილას და ალყა შემოარტყეს სახლს, იქ არავინ დახვდათ, თუმცა სახლის პატრონი წაიყვანეს მილიციაში და როგორც შემდგომი საქმიდან ხდება ცნობილი, უკან არც კი დაუბრუნებიათ. მიქელაძემ მოასწრო მიმალვა. მილიციამ გადაწყვიტა ციხე შიგნიდან გაეტეხა და ამ მიზნით მან ჯგუფში შეძლო მისი კაცის შეგზავნა. 1922 წლის 28 ივლისს სოფ. ზვარესთან მილიციამ მოინდომა მემედ ტაკიძის შეპყრობა. ატყდა ორმხრივი ბრძოლა. ბოლოს ტაკიძეს ტყვიები გაუთავდა. მან მოინდომა გაცლოდა იქაურობას და ტყის სიღრმეში შესულიყო, მაგრამ მილიციელები მას კვალში დაედევნენ და ბოლოს რაკი დარწმუნდნენ, რომ მის ცოცხლად შეპყრობას ვერ შეძლებდნენ, მოკლეს. ტაკიძის სიკვდილმა ძალიან გააბოროტა ჯგუფის წევრები. იბრაგიმ მიქელაძემ ეჭვი აიღო, რომ ტაკიძე მოკლეს დასმენით მისი ჯგუფიდან, მაგრამ კონკრეტულად ვერ შეძლო რომელიმესთვის ხელის დადება, ხოლო ის პიროვნება, რომელიც პოლიციაში ასმენდა მათ, სრულიად შემთხვევით გახდა ცნობილი მიქელაძისათვის. მახარაძე, რომელიც მილიციასთან თანამშრომლობდა და შეგზავნილი იყო მიქელაძის ჯგუფში, ქედაში ზუსტად მაშინ დაინახა მიქელაძის ჯგუფის წევრ ენვერ ბერიძის ძმამ, როდესაც ეს უკანასკნელი გამოვიდა მილიციის შენობიდან. ეს ამბავი მან თავის ძმას შეატყობინა. უკვე ცნობილი გახდა თუ ვინ თანამშრომლობდა მილიციასთან. და აი 1922 წლის 6 აგვისტოს, მიქელაძემ სოფ. ზვარესთან ახლომდებარე ტყეში, სადაც მილიციელებმა მოკლეს მემედ

ტაკიძე, ვითომდა მოსალაპარაკებლად მიიწვია მახარაძე. საუბრის შემდეგ მახარაძეს გარს შემოერტყნენ ჯგუფის დანარჩენი წევრები. მახარაძე იძულებული გახდა ეთქვა ყველაფერი. რაკიღა უკვე ყველაფერი ნათელი იყო, ჯგუფის წევრებმა ის იარაღით დაცხრილეს. მახარაძის მკვლელობის შესახებ აჭარის შინსახკომს აცნობებდნენ, რომ ბანდიტებმა მოკლეს „ჩვენი კაცი“ და რომ ამ ჯგუფის მოქმედება გადადის ყოველივე ზღვარს და აუცილებელია მათი დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია, რადგან ცნობილი გახდა, რომ მიქელაძე აპირებდა თურქეთში გადასვლას. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ მიქელაძესა და მის ჯგუფ მოსახლეობაშიც ჰყავდათ მხარდამჭერნი, რომლებიც მათ აცნობებდნენ მნიშვნელოვან ამბებს. ერთ-ერთი მათგანი იყო აბდულ სურმანიძე, რომელიც მიქელაძეს ხშირად აცნობებდა სხვადასხვა ამბებს.

1922 წლის 18 სექტემბერს სოფ. ვარჯანისთან მილიციამ ალყაში მოაქცია მიქელაძის ჯგუფი. გაიმართა ნამდვილი ომი. საკმაო იყო მსხვერპლი ორივე მხრიდან. ბოლოს ეს ორთაბრძოლა იმით დამთავრდა, რომ მოკლული იქნენ თვით მიქელაძე, დავითაძე, ბერიძე, თურმანიძე, ხოლო გაქცევა და მიმალვა შეძლო ხუსეინ ნინიძემ და სხვებმა.

1923 წლის დასაწყისათვის აჭარაში მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელო იყო. ამაზე თვით პარტიული ორგანიზაციები აღშფოთებით საუბრობდნენ. იწვევდნენ კრებებს, სადაც წინასწარ მომზადებული ხალხი მოითხოვდა ჩაექოლათ „ხალხის მტრები“, მაგრამ ვითარება მაინც საგანგაშო იყო.

1923 წლის 29 იანვარს მდინარე ჩოლოქზე გაძარცვეს მატარებელი, მოკლეს ორი პარტიული მუშაკი და წაიღეს ფული. 10 თებერვალს მოკლეს პარტიული მუშაკი და მძიმედ დაჭრეს მისი მეუღლე. 1923 წლის 4 მარტს ბათუმში გოროდოკის რაიონში

მუსტაფა მონოღლიმ სიცოცხლეს გამოასალმა რამდენიმე მილიციელი. 18 მარტს თავს დაესხნენ ფუხარა ხალხის კომიტეტს, წაიღეს იარაღები და 1550000 მანეთი. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1923 წლის 21 მარტს გაიმართა აჭარის მშრომელთა ყრილობა, სადაც დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს „ხალხის მტრებს“ და „საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტებს“.

საჭირო გახდა ბოლშევიკების მხრიდან სხვადასხვა სახის ღონისძიებების გატარება. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ამ დროს თბილისში შექმნილმა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ გააქტიურა აჭარაში მისი საქმიანობა. „დამკომის“ წევრები ხშირად ჩამოდიოდნენ ბათუმში და საიდუმლოდ ამზადებდნენ აქ ანტისაბჭოურ აჯანყებას. სწორედ ამ დროისათვის აჭარაში დაიწყეს ბეგების შევიწროება. პარტიის აჭარის კომიტეტმა მიიღო საიდუმლო დადგენილება, სადაც ერთ-ერთი უმთავრესი მუხლი იყო „ბეგების დაუყოვნებლივ გასახლება“. ეს გასახლება დააჩქარა მიწის რეფორმამაც. ბეგებს მიწები მასიურად ჩამოართვეს. ამან გამოიწვია ბეგების აღშფოთება. თავიდანვე რომ აეცილებინათ გართულებები, საჭირო შეიქმნა ბეგების მასიური დაპატიმრება და გაძევება ოლქიდან. ჩეკამ სასწრაფოდ შეადგინა იმ ბეგების სია, რომლებიც აჭარაში ცხოვრობდნენ. ბეგები დაყვეს ოთხ ნაწილად. პირველი, ყველაზე უფრო აგრესიული ჯგუფი უნდა გაესახლებინათ ამიერკავკასიის ფარგლებიდან, მეორე ჯგუფი კი მხოლოდ აჭარიდან. მესამე ჯგუფი კი უნდა დარჩენილიყო აჭარაში მილიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, მეოთხე ჯგუფში კი დროებით უნდა განთავისუფლებულიყო, სწორედ ამ დროს თბილისიდან ბათუმში ჩამოვიდა „დამკომის“ წევრი ივანე შარაშიძე, მან ბეგების ერთ ნაწილს, კერძოდ ნური აბაშიძეს, ყადირ აბაშიძისა და დედე ბეჟანიძეს გადასცა „დამკომის“ წერილი, სადაც „დამკომი“ მათ

სთხოვდა საჭიროების შემთხვევაში მოეხდინა აჭარის მოსახლეობის აჯანყება. ასევე ბეგებს თხოვდნენ, რომ მათ ჰქონოდათ კავშირი გურიაში მოქმედ „დამკომის“ წევრებთან, განსაკუთრებით კი მათითაიშვილთან. კარგი იქნებოდა თუ ისინი მოახერხებდნენ და ერთმანეთთან შეთანხმებულად მოახდენდნენ დათქმულ დროს ერთდროულ გამოსვლას გურიასა და აჭარაში. ბეგების ერთი ნაწილი ჩაბმული იყო ანტისაბჭოურ საქმიანობაში. ზოგიერთ მათგანს მჭიდრო კავშირო ჰქონდა დამყარებული „დამკომის“ ბათუმის წარმომადგენელ გენერალ ფურცელაძესთან და „დამკომის“ წევრ მგალობლიშვილთან. 1923 წლის 24 იანვარს ჩეკამ ბათუმში ერთ-ერთი მოქალაქის, კერძოდ გიორგი ჩაგანავას ბინაში შეიპყრო ივანე შარაშიძე. მოაწყვეს ჩაგანავას (გიორგი ჩაგანავა იყო „დამკომის“ ბათუმის ორგანიზაციის აქტიური წევრი. ის ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატების პარტიას. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნოე ჟორდანიასთან. გიორგი ჩაგანავა იცნობდა მემედ ბეგ აბაშიძეს. სწორედ ჩაგანავას დამსახურებაა აჭარაში ანტისაბჭოური საქმიანობის გაჩაღება. ის დახვრიტეს 1923 წლის 24 ოქტომბერს - ო.გ.), გაჩხრიკეს მისი ბინა, სადაც იპოვეს წერილი, რომლის ადრესატი იყო „დამკომი“. წერილში საუბარი იყო იმაზე, რომ დაეჩქარებინათ წარმომადგენლის გაგზავნა თურქეთში იქედან დროულად იარაღის შემოსატანად და რაც მთავარია, ივანე შარაშიძეს უპოვეს წერილი, გაგზავნილი გურიის ანტისაბჭოური ორგანიზაციის ერთ-ერთი მეთაურის სერგო მათითაიშვილის სახელზე. აი, ეს წერილიც: „ძვირფასო პატრიოტო. უკვე მესამე წელია, რაც ჩვენი ქვეყანა იტანჯება უღმერთო ურჯულოების მიერ. ნადგურდება ყველაფერი ფასეული და წმინდა. ხალხის ტანჯვა-ვაებას ბოლო არ უჩანს. უკანონო დაპატიმრებებმა და დახვრეტებმა ცხოვრება აუტანელი გახადა. აივსო ხალხის მოთმენის ფიალა. მათ ბრძოლა გამოუცხადეს

ველურ დამპყრობლებს. გული სიხარულით ამევსო, როდესაც გავიგე, რომ მთელი გურია ფეხზე დადგა და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ჯალათებს. იცოდეთ, აჭარის მოსახლეობა თქვენს გვერდითაა. საჭიროების შემთხვევაში თქვენ შემოგიერთდებათ და ერთიანი ძალით მოვსპობთ დამპყრობლებს. ხალხი აქ (ე. ი. აჭარაში - ო. გ.) იმედის თვალით შემოგცქერის თქვენ. ჩვენმა ხალხმა მტრებს ჩვენი მხარის დაპყრობისთანავე დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. პატრიოტების დიდი ნაწილი ტყეში იმალება. ვერც დაპატიმრებები და დახვრეტები ვერ შეაშინებს ჩვენი ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. ჩემთან იყო „წითური“ და გადმომცა შენი წერილი. მოკითხვისათვის მადლობას შემოგწირავ. იცოდე, რომ ჩვენ მზად ვართ დანიშნულ დროს დავიწყოთ გამოსვლა. ჩიტმა ყველაფერი იცის. იყავით მხნედ და მედგრად. შენი „აჭარელი“. როგორც გამოვარკვიე წითურა უნდა იყოს ივანე შარაშიძე, რადგან მას სახეზე წითელი ფერი დაჰკრავდა. ჩიტი კი „დამკომის“ ბათუმის ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მგალობლიშვილი უნდა ყოფილიყო. აი, რაც შეეხება აჭარელს, ამის დადგენა კი ვერ მოვახერხეთ. არ არის გამორიცხული, რომ ეს აჭარელი უნდა იყოს ერთ-ერთი ბეგთაგანი, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული „დამკომის“ საქმიანობაში. ასევე ვფიქრობთ, რომ ეს აჭარელი უნდა ყოფილიყო მემედ ბეგ აბაშიძე, რადგანაც გურიაში ყოფნისას მე შევხდი სერგო მათითაიშვილის ნათესავს ნოდარ კალანდაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ გურიის ანტისაბჭოთა ორგანიზაციებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აჭარასთან და განსაკუთრებით ბველი მეჯლისის თავმჯდომარესთან მემედ ბეგ აბაშიძესთან. მანვე ისიც თქვა, რომ ჩემი ნათესავი სერგო მათითაიშვილი იცნობდა მემედ ბეგ აბაშიძესო. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზეპირი ცნობა არის და ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი არ არსებობს, თუმცა

გამორიცხული არ არის, რომ ეს წერილი მემედ აბაშიძეს ეკუთვნოდეს.

ივანე შარაშიძე დახვრიტეს 1923 წლის მაისში, ხოლო 1923 წლის ივნის-ივლისში კი დაიწყეს ბეგების მასიური გასახლება აჭარიდან. სულ დააპატიმრეს და გაასახლეს 28 ბეგი, თანაც მიუთითეს მათი ორიენტაცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლება ძნელად იკიდებდა ფეხს აჭარაში. კომუნისტი უხეში ხელმძღვანელები ხალხს სძულდა, ხოლო ჩეკასა და მილიციის თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა. ყველაფერმა ამან 1923 წელს აჭარაში კინაღამ მასიური აჯანყება გამოიწვია. ხულოში ისე დაიძაბა სიტუაცია, რომ იქ გაიგზავნა 150 წითელარმიელი რამდენიმე ტყვიამფრქვევით. ასევე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა 1923 წლის ნოემბერში ქობულეთში. აქაც საჭირო გახდა საგანგებო ზომების მიღება. დაიწყეს მასიური დაპატიმრებები და დახვრეტები.

1924 წელს ადგილი ჰქონდა ამბოხების მოწყობის მცდელობას, მაგრამ ჩეკა როგორც ჩანს „თავიდანვე საქმის ყურში იყო და გაორმაგებული ენერგიით ძირშივე კვეთდა ყოველივე ანტისაბჭოურს". 1924 წლის ივლისში იყო მცდელობა ბათუმში მიტინგის გამართვისა, მაგრამ ჩეკამ და მილიციამ წინასწარ დააპატიმრა რამდენიმე აქტიური წევრი და ციხეში დაამწყვდია, ხოლო სხვებს არ მისცა საშუალება მიტინგის ჩატარებისა. 1924 წლის 18 ივნისს დააპატიმრეს სამოცი კაცი, როგორც „აჭარაში დესტაბილიზაციის შეტანის მცდელობის" ორგანიზატორები, ამას მოჰყვა მასობრივი დაპატიმრებები. იჭერდნენ ყველას, ვისაც კი რაიმე „წამოცდა საბჭოთა ხელისუფლების" წინააღმდეგ. ამიტომაც იყო რომ 1924 წლის აჯანყებას ბათუმში არ მისცემია ფართო გასაქანი.

ამგვარად, აჭარაში (ისე, როგორც სხვაგან - ო.გ.) საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ძნელად. აჭარის მოსახლეობისათვის

უცხო აღმოჩნდა გარედან ნაძალადევად შემოტანილი ეს ხელისუფლება, ამიტომაც ხალხმა მას ბრძოლა გამოუცხადა. ეს ბრძოლა იყო დიდი ნაბიჯი დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, მაგრამ მიუხედავად ხალხის თავდადებისა, მედგარი წინააღმდეგობისა, ის განწირული აღმოჩნდა. ხელისუფლება ცეცხლითა და მახვილით ახშობდა ყველაფერს. არ ინდობდა არავის და ასე ძალისა და იარაღის მეშვეობით მოახერხა საბჭოთა ხელისუფლებამ დამკვიდრება. თუმცა მიუღებელი აღმოჩნდა იგი ხალხისათვის. მათ გულში კიაფობდა თავისუფლების ნაპერწკალი, იმედით შეცქეროდნენ მომავალს, ოცნებობდნენ დაკარგული თავისუფლების დაბრუნებისათვის, რადგანაც სჯეროდათ, რომ ეს დღეც დადგებოდა მალე.

გამოყენებული წყაროები:

1. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი ფ. 14. 1922 წელი, საქმეები 150,155,156,158,160,170,175,176,177,180,185,186,187,190,

2. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი ფ. 14. 1923 წელი, საქმეები 526,605,608,642,807,870,875,876,879.

3. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი ფ. 14. 1924 წელი, საქმეები 48,50,58,62,66,67,73,78,85,89,96,98,100,122,134,262.

Adjara during the years 1922-1924

In Adjara (as well as elsewhere), the soviet government was hardly established. A new and violent government was strange and inadmissible for residents of Adjara, so people started the struggle against to it. This struggle was a great step for restoration of the lost independence. In spite of devotion and steadfast resistance of people, the struggle was predestined. The government was suppressing everything with fire and sword. The soviet government was established through power and weapons. However, it was unacceptable for people. There was twinkling the spark of freedom in their hearts. They were hoping for future and restoration of the lost freedom, because they believed that the day of freedom would come soon.

1924 წლის აგვისტოს დღეები აჭარაში

1921 წლის თებერვალ- მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას შენიღბული ფორმით ქვეყნის ფაქტიური ანექსია მოჰყვა. ახლად შექმნილი საბჭოური ორგანოების პრაქტიკული საქმიანობა არ შეესაბამებოდა ხალხის ინტერესებს. დემოკრატიული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ნაცვლად პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა საქართველოს თავს მოახვიეს ცენტრის დიქტატორული მმართველობა, ეროვნული სახელმწიფოებრიობის უფლების შეზღუდვა და ე.წ. „კლასობრივი მტრების" განუკითხავი დევნა. ყოველივე ამას მოჰყვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი გაქანება, რაც გამოვლინდა 1921-1924 წლების მასობრივ გამოსვლებში.

თავისუფლების მოყვარე ქართველმა ხალხმა ვერ აიტანა კომუნისტური დიქტატურა და იარაღით ხელში გამოვიდა ხელისუფლების წინააღმდეგ.

პოლიტიკური პარტიები და ემიგრირებული მთავრობა მომავალ ანტისაბჭოთა აჯანყებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა აჭარას, სადაც 1921 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში ჩავიდა და დამკვიდრა მენშევიკური პარტიის ბევრი წარმომადგენელი. ივნისში აჭარაში უკვე რეგისტრირებული იყო 321 მენშევიკი[1], ხოლო ივლისისათვის მათი რიცხვი 380 მდე გაიზარდა[2]. აჭარაში მათი ანტისაბჭოთა გააქტიურება უპირველეს ყოვლისა გამოწვეული იყო ბათუმიდან მენშევიკურ მთავრობასთან უფრო იოლი დაკავშირების შესაძლებლობით[3].

მენშევიკებმა გააქტიურეს მუშაობა აჭარის თითქმის ყველა დაწესებულებასა და საწარმოში, მილიციაში. მათი ორგანიზაციის თავშესაყარსა და ხელმძღვანელ შტაბს ბათუმის რკინიგზის

დეპო წარმოადგენდა. პარტიის ძლიერი ორგანიზაციები არსებობდა ბათუმ-ქობულეთის რკინიგზის ხაზის თითქმის ყველა სადგურში[4]. ისინი აჭარის მოსახლეობასა და ჯარის ნაწილებში აწარმოებდნენ აქტიურ პროპაგანდისტულ და პრაქტიკულ მუშაობას ანტისაბჭოთა აჯანყების მოსამზადებლად. ბათუმში მათ მოწყობილი ჰქონდათ საინფორმაციო ბიურო და არალეგალური სტამბა, სადაც ანტისაბჭოთა მოწოდებები იბეჭდებოდა[5]. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე აჭარის საზღვრისპირა თურქეთის ქალაქებში არსებული სოციალურ-დემოკრატიული ორგანიზაციები.

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის პრაქტიკული ბრძოლის დაწყებისთანავე გააქტიურდნენ ბათუმისა და მთელი აჭარის ქემალისტები. მათი აგენტები აგროვებდნენ ხელმოწერებს, ეწეოდნენ აშკარა ანტისაბჭოთა აგიტაციას. აჭარაში ქემალისტურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა ჩვიდმეტი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი ძმები ჰასან და იბრაგიმ კუჩიკიბრაიმ ოღლების მეთაურობით, რომელთაც კავშირი ჰქონდა თურქეთის კონსულთან ბათუმში[6]. თურქეთის კონსული ბათუმის მეჩეთსა და ადგილობრივი მაჰმადიანების საზოგადოებრივ თავყრილობის ადგილებში ეწეოდა აშკარა ანტისაბჭოთა აგიტაციას თურქეთის სასარგებლოდ. ქემალისტები სარგებლობდნენ იმით, რომ თურქეთთან სასაზღვრო ზოლის დაცვა ჯერ კიდევ სათანადოდ ორგანიზებული არ იყო და აჭარაში შემოჰქონდათ საბრძოლო იარაღი[7].

საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს ემიგრანტული მთავრობის მიერ შექმნილი პოლიტიკური პარტიების ორგანოს „საზღვარგარეთის სოციალისტური ბიუროს" ფილიალის „პოლიტიკურ კომისიასთან" სტამბულში. მათი მეშვეობით სისტემატურად ღებულობდნენ საქართველოს

მთავრობისაგან საჭირო სახსრებს, ლიტერატურასა და დირექტივებს. სწორედ„პოლიტიკური კომისიის" დავალებით 1921 წელის ივნისში ტრაპზონიდან ბათუმში ჩამოვიდა მენშევიკური არმიის ყოფილი მეთაური ჭიჭიკო ხეცია და შეუდგა იატაკქვეშა სახალხო გვარდიის შექმნას. ანტისაბჭოთა მუშაობის გაძლიერების მიზნით აჭარაში მიავლინეს მენშევიკური მთავრობის გენერალი ასლან აბაშიძე.

აჭარის ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატებმა აჯანყების მომზადება კიდევ უფრო გააქტიურეს „პარიტეტული კომიტეტის" შექმნის შემდეგ. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა კონსტანტინეპოლიდან რიგი ხელმძღვანელი პარტიელის ჩამოსვლამ. მათი მითითებით „პარიტეტულმა კომიტეტმა" ანტისაბჭოთა მუშაობის შემდგომი გააქტიურებისათვის 1923 წლის დასაწყისში აჭარაში მიავლინა რიგი თავისი აქტივისტი. მარტო ბათუმის საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად ნავარაუდევი იყო შეიარაღებული 300 კაცის გამოყვანა და საერთოდ, საქართველოში აჯანყების მომზადებასა და გატარებაში აჭარის ფართო მხარდაჭერა".

ისევე როგორც მთელ საქართველოში, საგანგებო კომისიის მთელი რისხვა დაატყდა თავს აჯანყების ორგანიზატორებს. აჯანყების დაწყებიდან ორი დღით ადრე, 1924 წლის 24 აგვისტოს დააკავეს მენშვიკური პარტიის ბათუმის არალეგალური კომიტეტისა და სამხედრო ორგანიზაციის წევრი მიხა საბაშვილი, გენერალ მაიორი სოლომონ ყარალაშვილი, ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის შტაბის წევრი აკაკი რამიშვილი, სამხედრო კომიტეტის თავჯდომარე აჭარაში ვასო ჩიტიშვილი, ვალიკო ჯუღელთან ერთად საზღვარგარეთიდან სპეციალური დავალებით ჩამოსული ბიქტორ ცენტერაძე და სხვები. როგორც საქართველოს ცენტრში, ასევე აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებამ მოახერხა აჯანყების თავკაცების იზოლირება. ასევე შეძლეს

ხელთ ეგდოთ შეიარაღებული გამოსვლების მზადების შესახებ დაწვრილებითი ცნობები[8].

აჯანყების დაწყების წინა დღეებში საქართველოს საგანგებო კომისიის ადგილობრივ ორგანოებს საიდუმლოდ აცნობეს, რომ ანტისაბჭოთა პარტიების შეიარაღებული გამოსვლა მოხდებოდა 28 ან 29 აგვისტოს. ასეთი ცნობის მიღებისთანავე აჭარაში დაიწყო საგანგებო ზომების გატარება. იმავე დღეს, 28 აგვისტოს, საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა და აჭარის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება აჭარაში სამხედრო წესების შემოღების შესახებ. ბათუმში შეიქმნა ცენტრალური საგანგებო ხუთეული , ხოლო რაიონებში საგანგებო სამეულები[9]. ამიერკავკასიის სამხედრო ჯარების სარდლის ბრძანებით ბათუმში გადმოიყვანეს დამატებითი სამხედრო ძალები. ამ ნაწილების ოპერატიულად მართვის მიზნით კავალერიის მსროლელი დივიზიის შტაბის დისლოკაციის ადგილად გამოცხადდა ქალაქი ბათუმი[10].

აჯანყების მოთავენი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ აჯანყებისათვის მზადების საკითხს. აჯანყების გეგმა და მისი დაწყების თარიღი იცოდნენ ყველაზე უფრო სანდო პირებმა, რომლებსაც ევალებოდათ დანიშნული დროისათვის ხალხის სასწრაფო მობილიზაცია. ამიტომ ყველამ არ იცოდა აჯანყების დაწყების თარიღი. აჯანყების დაწყების თარიღის ასეთმა ,,კონსპირაციამ" დიდი დაღი დაასვა აჯანყების საერთო მსვლელობას, რადგან იგი დაიწყო დანიშნული დროზე ერთი დღით ადრე ჭიათურაში. ამან დააჩქარა მისი დამარცხება და აჯანყების გაუგონარი სისასტიკით ჩაქრობა. ჭიათურის აჯანყების დამარცხებამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა აჯანყების მთელ მსვლელობაზე საქართველოშო.

აჭარაში მოსალოდნელი აჯანყების თავიდან აცილების მიზნით საგანგებო კომისიამ შეიარაღებული გამოსვლების წინა

დღით დააპატიმრა პარტიის ბათუმის არალეგალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა.

28 აგვისტოს აჭარის საგანებო კომისიამ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ დაპატიმრებას გადარჩენილი სოციალ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციას ხელთ აქვთ ადეგილობრივი აჯანყების დაწვრილებითი გგმა და რომ ამ ორგანიზაციას განზრახული ჰქონდა ბათუმიდან რკინიგზით გამგზავრებულიყო ქობულეთში და იქ შეეგროვებინა საჭირო ძალა, რის შემდეგაც უნდა დაეწყო საბრძოლო მოქმედება ბათუმის მიმართულებით. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის განკარგულებით ქობულეთში გაიგზავნა 120 წითელარმიელისა და კომუნარისაგან შემდგარი რაზმი საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დათიკო კილაძის მეთაურობით. გვიან ღამით, რაზმმა რკინიგზის სადგურ მწვანე კონცხთან, გვირაბში შესვლამდე გააჩერა მატარებელი და დააპატიმრა ქობულეთში მიმავალი სოციალ-დემოკრატების სამხედრო შტაბი[11]. დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდნენ: სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციის თავჯდომარე, „პარიტეტული კომიტეტის" სამხედრო რწმუნებული ქობულეთში გიგა ჩიქოვანი, ქობულეთის სამხედრო უბნის სარდალი გიორგი ფურცელაძე, სოციალ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის შტაბის წევრი ვლადიმირ ახვლედიანი.

29 აგვისტოს, დილით გამოქვეყნდა აჭარის საგანგებო ხუთეულის №1 ბრძანება აჭარის სამხედრო წესების გამოცხადების შესახებ. ბათუმსა და მის შემოგარენში აიკრძალა მოქალაქეთა მიმოსვლა ღამის საათებში, გაიცა განკარგულება ტელეფონითა და ტელეგრაფის სარგებლობის უფლების აკრძალვის შესახებ. კავშირგაბმულობათა სარგებლობის უფლება მიეცა მხოლოდ ცენტრალური საგანგებო ხუთეულის წევრებს, ხოლო სხვებს მათი სარგებლობა აეკრძალა[12].

აჯანყების დაწყებისთანავე შეიარაღებული რაზმებით

განსაკუთრებით გაამაგრეს საზღვრისპირა რაიონები: ხულო, ქედა, აჭარისწყალის საზღვრისპირა რაიონებში დამატებით გაიგზავნა 597 კაცი შეიარაღებული ტიამფრქვევებითა და შაშხანებით[13]. ყველა სასაზღვრო საგუშაგოს დაცვა გაძლიერდა 10-15 მებრძოლით. ცენტრალურმა საგანგებო ხუთეულმა მიიღო ზომები შავი ზღვის ზოლის სანაპირო დაცვის გასაძლიერებლად, სამხედრო საზღვაო ფლოტის სარდლობამ გამოყო კრეისერი „ნეზამოჟნი" და „პილვი". საქართველოს შავი ზღვის სანაპირო დაიყო ოთხ საგუშაგოდ:1) თურქეთის საზღვრიდან ქობულეთამდე - ცენტრი ბათუმში, 2) ქობულეთიდან ანაკლიამდე-ცენტრი ფოთში, 3) ანაკლიიდან მდინარე კოდორამდე- ცენტრი ოჩამჩირეში და 4) მდ. კოდორიდან მდ. ბიჭვინთამდე ცენტრი სოხუმში. შავი ზღვის აჭარის საგუშაგო პოსტებიდან დაამტკიცეს გონიო, ჭოროხის ზღვასთან შესართავი და ბათუმი.

შეიარაღებული აჯანყების თავიდან ასაცილებლად აჭარის ცენტრალურმა საგანგებო ხუთეულმა ყველა ზომას მიმართა. სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მებრძოლებს ბანდიტები შეარქვეს. თავდაცვის მიზით აჭარელ მშრომელ გლეხობას მობილიზაცია გაუკეთეს და შეიარაღეს. აგვისტოს დღეებში აჭარაში სულ მობილიზებული იყო 2234 გლეხი. მათგან 771 ქობულეთის მაზრიდან, 430 ჭოროხის მაზრიდან, 255 აჭარისწყლის მაზრიდან, 265 ქედის მაზრიდან, 413 ხულოს მაზრიდან. ჩატარდა აგრეთვე ბათუმელ კომუნისტ, კომკავშირელ და უპარტიო მუშათა მობილიზაცია, კომუნარგთან შექმნეს ასეულები და ათასეულები. ყველა მათგანი შეიარაღეს და აჯანყებულების გასანადგურებლად ადგილებზე გაგზავნეს[14].

საქართველოში აგვისტოს შეიარაღებული მსვლელობის დღეებში აჭარის საგანგებო კომისიამ და აჭარის საგანგებო ხუთეულმა უსასტიკეს ზომებს მიმართეს. საგანგებო კომისიამ

1924 წლის 30 აგვისტოს გაუსამართლებლად სასჯელის უმაღლესი ზომის - დახვრეტის განაჩენი გამუტანა აჯანყების 21 აქტიურ ხელმძღვანელსა და მონაწილეს. აჭარის საგანგებო ხუთეულის 30 აგვისტოს სხდომის ეს ოქმი გამოირჩევა ულმობელი სისასტიკითა და ცინიზმით. ოქმის იმ ნაწილში, სადაც აჯანყებულთა დახვრეტის სანქციაზეა ლაპარაკი, საგანგებო ხუთეულის თავჯდომარის თახსიმ ხიმშიაშვილის ხელითვე ტუშით არის მიწერილი „растрелять", ხოლო ტექსტში დაბეჭდილია „Утверждать", შავი ტუშითაა გადასწორებული „Санкционированна растрелять". ასეთივე სისასტიკით იკითხება საგანგებო ხუთეულის მეორე დღის- 31 აგვისტოს ოქმიც, სადაც „სანქციონირებულია" კიდევ აჯანყების 3 აქტიური მონაწილის გაუსამართლებად დახვრეტა[15]. იმავე დღეს, 31 აგვისტოს, საგანგებო კომისიამ აჭარაში აჯანყების მცდელობა დამარცხებულად ჩათვალა და გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მითითებული იყო, რომ „პარიტეტული კომიტეტის" შეთქმულება დამთავრდა მისი ყველა მეთაურის დაპატიმრებით და მათი დასჯით. ამავე განცხადებას დართული ჰქონდა სია იმ პირთა, ვისაც საგანგებო ხუთეულის გადაწყვეტილებით მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა- დახვრეტა. სიაში ვკითხულობთ მათ გვარებს: ფურცელაძე გიორგი, საბაშვილი მიხეილ, ახვლედიანი ვლადიმერ, ჩიქოვანი გიგა, იმნაძე ანტონ, გეგიაძე დიომიდე, ფანცულაია აპოლონ, გორდელაძე აღათი, ზოიძე ალექსანდრე, მკურნალიძე კირა, თაყაიშვილი მიხეილ, ხომერიკი ვიქტორ, მუჯირი ნიკოლოზ და სხვ. სულ 23 კაცი. ყველა დასახელებული დახვრეტილია შეიარაღებულ გამოსვლებში მონაწილეობასა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა ლიკვიდაციის გამო[16].

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ გატარებულმა უსასტიკესმა რეპრესიებმა, ანტისაბჭოთა გამოსვლები მთლია-

ნად მაინც ვერ შეჩერა. მდგომარეობა კვლავ გამწვავდა. სექტემბრის შუა რიცხვებში აჭარის საგანგებო ხუთეულმა თბილისიდან-საქართველოს საგანგებო კომისიისაგან მიიღო ცნობა, რომ მზადდებოდა ახალი გამოსვლები, რომ მას შეიძლებოდა მძიმე ხასიათი მიეღო ბათუმ-ფოთის რაიონში. მოსალოდნელი საშიშროების აღკვეთის მიზნით მზადყოფნაში მოიყვანეს საგანგებო ხუთეულის მთელი ძალები. განსაკუთრებით გააძლიერეს სასაზღვრო და სანაპირო დაცვა. მარტო ბათუმში მოსალოდნელი გამოსვლების აღსაკვეთად მობილიზებული იქნა 1000 - ზე მეტი კომუნარი[17].

აჭარის საგანგებო კომისიისათვის ცნობილი გახდა იატაკქვეშა ძალების შემადგენლობა და მათი გეგმები. ნოემბრის შუა რიცხვებში საგანგებო კომისიას ხელში ჩაუვარდა საქართველოს მენშევიკური პარტიის 15 ოქტომბერს დაბეჭდილი პროკლამაცია, რომელიც თბილისიდან გამოუგზავნეს ბათუმის მენშვიკურ ორგანიზაციას[18]. ამან შთქმულების ყველა ძაფს აჭარის საგანგებო კომისიის ხელში მოუყარა თავი, მანაც არ დააყოვნა და მიმართა ჩვეულ რეპრესიებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივში სხვა მრავალ დოკუმენტთან ერთად არის ორი მეტად საინტერესო დოკუმენტი. ესაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარის (იმავე დროს აჭარის ცენტრალური საგანგებო ხუთეულის თავჯდომარე - ო.გ.) თახსიმ ხიმშიაშვილის 1924 წლის 4 სექტემბერს ს.ორჯონიკიძისა და მ.კახიანისამი გაგზავნილი წერილი. მასში ნათქვამია: „ამ წერილში უნდა ავღნიშნო ამხანაგ დათიკო კილაძის მოღვაწეობა... რა კარგ დროს იქნა გამოგზავნილი ამხ. კილაძე აჭარაში სამუშაოდ. რა კარგად და რა დროზე ჩაიგდო ხელში ბათუმის პარიტეტული კომიტეტის მთელი შემადგენლობა, სამხედრო ორგანიზაცია და მათი შტაბი მთელი გეგმითა და მეთაურებით.

სწორედ ამ დროზე მიღებულმა ღონისძიებებმა დააბნია მათი მოლოდინი, გეგმები და განზრახვა[19].

აჯანყების დამარცხების მცდელობის შემდეგ აჭარის ცენტრალური საგანგებო ხუთეულის 12 დეკემბრის სხდომამ დაადგინა: „აჭარის საგანგებო ხუთეული მხედველობაში იღებს რა მენშევიკური გამოსვლების სრულ ლიკვიდაციას, ამიერიდან დასავლეთ საქართველოში თავის მისიას დასრულებულად თვლის"[20]. ამავე დადგენილებით ლიკვიდირებულ იქნა საგანგებო სამეულები აჭარის ხუთივე მაზრაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. აღწ. 1, საქ.3. ფურც1.

2. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 14, აღწ. საქ.3. ფურც 4.

3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი(პარტიული ფონდი) ფ.1. აღწ.1. საქ.212. ფურც.34.

4. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი(შემდეგში შემოკლებითაა აცსა) ფ.რ-2. აღწ.1. საქ.7. ფურც 23.

5. აცსა(პარტიული ფონდი)ფ.რ-2. აღწ.1. საქ.7. ფურც 30.

6. საქართველოს უახლესი ისტორიის არქივი, ფ.14. აღწ.7. საქ.74. ფურც 82.

7. აცსა(პარტიული ფონდი)ფ.1. აღწ.1. საქ.146. ფურც 5.

8. აცსა(პარტიული ფონდი)ფ.1. აღწ.1. საქ.13. ფურც 56.

9. აცსა(პარტიული ფონდი)ფ.1. აღწ.1. საქ.225. ფურც 14.

10. აცსა ფ.რ-2. აღწ.1. საქ.19. ფურც 160.

11. აცსა ფ.რ-2. აღწ.1. საქ.19. ფურც 141.

12. გაზეთი „კომუნისტი", 1924 წლის 2 სექტემბერი.

13. აცსა ფ.რ-2. აღწ.1. საქ.19. ფურც 224.

14. აცსა ფ.რ-2. აღწ.1. საქ.30. ფურც 474.

15. აცსა ფ.რ-2. აღწ.1. საქ.30. ფურც 226.
16. აცსა ფ.რ-2. აღწ.1. საქ.30. ფურც 421.
17. აცსა ფ.რ-2. აღწ.1. საქ.18. ფურც 1161-1162.
18. აცსა ფ.რ-2. აღწ.1. საქ.18. ფურც 1229.
19. აცსა ფ.რ-2. აღწ.1. საქ.34. ფურც 704-705.
20. აცსა ფ.რ-2. აღწ.1. საქ.18. ფურც 1227.

August of 1924 in Adjara

Summary

In February and March of 1924 the occupation of Georgia by the Soviet Russia was followed by the disguised factual annexation of the country. The practical activity of the newly created Soviet bodies did not correspond with the interests of people. Instead of the democratic freedom and State Sovereignty the State and Party bodies foisted on Georgia the dictatorial governing of the centre, as well as the restriction the rights of national State system and absolute persecution of so-called "class enemies". All these were followed by the strong wave of national-liberation movement, which was revealed in mass demonstrations of 1921-1924.

The peace-loving Georgian people could not bear the communist dictatorship and started the armed rebellion against the governing authorities.

სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ბათუმში XX საუკუნის დასაწყისში

ბათუმის ეკონომიკური დაწინაურება განაპირობა ბაქოს ნავთობის საზღვარგარეთ ტრანსპორტირების ყველაზე უმოკლესი გზის ძიებამ. ბათუმის პორტი ყველაზე უმოკლესი გზა აღმოჩნდა, თუმცა იყო სხვა პორტების ვარიანტებიც, მაგრამ ბათუმმა ყველას აჯობა. ქალაქში ათეულობით სავაჭრო-საექსპორტო ფირმებთან ერთად, მტკიცედ დაფუძნდნენ ნავღობის უმსხვილესი, მონოპოლისტი ფირმები (როტშილდი, ნობელი, მანთაშევი) და ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურის პირობებში, ენერგიული ოპერაციებით აქედან ნავთობის ექსპორტის მაგნატებად იქცნენ. მათსავე კონტროლს დაექვემდებარა აქ ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული სოლიდური, იმ დროისათვის ტექნიკურად საუცხოოდ აღჭურვილი საწარმოების (ტარის–ხის ყუთი, თუნუქის, ბიდონი, კასრი, გადამსხმელი სადგური - ო.გ.) ფუნქციონირება, რომელიც მთელ დასავლეთ ამიერკავკასიის ინდუსტრიის წამყვანი დარგი და თვით ქალაქის კომერციული ცხოვრების პროფილისა და მაჯისცემის განმსაზღვრელი შეიქმნა. მსოფლიო ბაზრის, მეურნეობის სისტემაში ჩართული ბათუმი თამამად დგებოდა მსოფლიო მნიშვნელობის ნავსადგურთა რიგებში.

ქალაქის ასეთმა განვითარებამ აქ თავი მოუყარა 15 ათასიან მუშათა რაზმს, რომელშიც ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოების მუდმივი და დროებითი მუშები, ამავე დარგთან დაკავშირებული „დროგარები" და ნავსადგურის მტვირთავები დომინირებულ რაოდენობას შეადგენდნენ,

ათეული წლის განმავლობაში ნავთობის საექსპორტო ჭურჭელის მრეწველობაში მიმდინარე რაციონალიზაციის, წარმოებისა და მუშახელის კონცეტრაცია-ცენტრალიზაციის ბუნებრივი პროცესის დასრულებას, რაც მსოფლი ეკონომიკურმა კრიზისმა დააჩქარა, საწარმოთა დახურვა, არაერთი მექარხნე ექსპორტიორის გაკოტრება და ძლიერი უმუშევრობა მოჰყვა. 1902 წელს აქ 5 ქარხანა მუშაობდა 3500-მდე მუშით, „რომელთა წარმატება... დაყვანილი იქნა ადრინდელი 8 ქარხნის საერთო ტირაჟის მოცულობამდე" (41.216-217). ეს ხანა ასევე მუშათა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებზე მეწარმეთა გაძლიერებული შეტევით აღინიშნა: დაეცა მათი ხელფასი, გადიდდა სამუშაო დროის ხანგრძლივობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ საუკუნის დასაწყისში მუშათა რაოდენობა აქ 62,5%-ით, ხოლო ხელფასი–50-70%-ით შემცირდა (84,346), ამ მხრივ ტიპობრივი იყო როტშილდის („ბნიტოს") „მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სათუთე ქარხანა" (23,4), სადაც ქარხნის კარებს მიღმა დარჩა 2500 კაცი (36,165), ხოლო უმაღლეს ხარისხამდე აყვანილი ჯარიმების სისტემით" მუშებს 6000 მანეთი წაგლიჯეს (36.35). ძლიერ დაბალი იყო დოკერთა ხელფასიც, რომლებიც 1886 წლის კონრაქტით განსაზღვრული ჯამაგირით სულდგმულობდნენ, ხოლო ბათუმი კი ამ დროს ცხოვრების სიძვირით „კავკასიის ყველა ქალაქზე მაღლა იდგა და რუსეთშიც კი – მხოლოდ დედაქალაქს ჩამოუვარდებოდა (16.3). ყოველივე ეს მაშინ, როცა ნავთობის პროდუქტების საექსპორტო ჭურჭლის წარმოება და ნავთობის ბიზნესი ბათუმში თავის „ოქროს ხანას" განიცდიდა.

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: როგორ ახერხებდნენ ნავთობის ბათუმელი ბიზნესმენები, მექარხნეები გამ-

დიდრებას, როცა მათ საექსპორტო ორგანიზაციის, ურთიერთკავშირის, სათანადო რაოდენობის საკუთარი საოკეანო გემების და საერთაშორისო ვაჭრობის მსხვილ ცენტრებში გზებისა და სავაჭრო აგენტურის უყოლობის გამო ბათუმის ნაპირებზე მაჯაჭვულებმა (ნაწილობრივ თვით უპირველესი მაგნატი როტშილდიც კი - ო.გ.) და ნავთობის გასაღებაში შუამავალი როლის შემსრულებლებმა ვაჭრობის ყველაზე მომგებიანი ნაწილი – საქონლის უშუალო გაყიდვა ბაზარზე, მისი ოქროს გადაქცევა უცხოელებს გადასცეს? როგორ შეძლეს მათ ამერიკელებზე უფრო იაფი ტარის დამზადება, ნავთობის დიდი მოცულობის სატარო ექსპორტის წარმოება (ხმელთაშუაზღვის, ახლო, მახლობელი და, განსაკუთრებით, შორეული აღმოსავლეთის ბაზარზე ო.გ.) ხარისხოვანი ნავთის, ხე-ტყის, გადამწვეტი უპირატოსების მქონე ამერიკელებთან ჭიდილში, როცა ამისთვის ყველაფერს – კაპიტალსა და ფულს, დაზგებსა და მანქანებს, ნავთს, ხე-ტყეს, თუნუქს, ტყვიას, სპილენძს, თუთიას, მარილმჟავას, კალოზიტს, გარედან და თან, ძირითადად უცხოეთიდან იღებდნენ, მაშინ როდესაც იქვე, ქალაქიდან 40-70 ვერსზე, ბათუმსსა და ართვინის ოკრიგებში არსებულ ტყეებს შეეძლო ხის ყუთების ქარხნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება (24,4) ამაზე, ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთი ასე პასუხობდა: ბათუმელი მექარხნეების ერთ-ერთი საყრდენი იყო ამერიკელებთან შედარებით მუშახელის სიიაფე ბათუმში. ამერიკაში ხის ყუთების ქარხნების მუშები დღეში იღებდნენ 3-5 დოლარს მაშინ, როცა ბათუმის ქარხნებში იმის ნახევარსაც არ იღებდნენ, ხოლო ნაირ-ნაირ დაქვითვების გამო მიღებული ხელფასის მეოთხედიც კი არ რჩებოდათ. გარდა ამისა, ბათუმის ქარხნები ხალისით ივსებოდა მოზარდებით ათი წლის ასაკიდან, უფროსი მუშების გასამრჯელოს ნახევარ

და ნაკლებ ფასად (19.3), ე.ი. მუშახელის სიჭარბის წყალობითაც მისი ინტენსიური ექსპლოატაცია წარმოადგენდა ბათუმელ მექარხნე-ექსპორტიორთა წარმატების, ტარის წარმოების სტაბილურობა-გამძლეობისა და მაღალი სტატუსის მნიშვნელოვან ფაქტორს. ამ გარემოებამ ქალაქს ვიწრო სპეციალიზაციისაკენ, ცალმხრივი ეკონომიკური განვითარებისაკენ უბიძგა, რაც შიდასახელმწიფოებრივ მოხმარებაზე კი არ იყო დაფუძნებული, არამედ – ნავთობის ძლიერ მერყევ საექსპორტო კონიუნქტურაზე მსოფლიო ბაზარზე (38.40-41), რომელზედაც ყოვლისშემძლე ამერიკელ „სტანდარტ ოილს" შეეძლო სასურველ დროს ვეტო დაედო. საკმარისი იყო მას გამოეყო 2-3 მლნ მანეთი თავისი კაპიტალიდან, დაეწია ფასი ყუთზე ან ნავთზე, ბათუმში ყველაფერი თავდაყირა დადგებოდა: იკვეცებოდა, ხოლო დროდადრო სრულებით ჩერდებოდა ხის ყუთების რეგულარული წარმოება, რაც დამღუპველ ზეგავლენას ახდენდა საქარხნო და სანაპირო მუშახელის მატერიალურ კეთილდღეობაზე (20.3).

დროის კვალობაზე მუშახელი ძლიერ იცვლებოდა. მათ უმრავლესობას ქართველები და სომეხები შეადგენდნენ, „ხალხი სამხრეთული ტემპერამენტით, უნარიანი, მუშაობდნენ რა ბათუმში, რომელიც ყოველთვის ინარჩუნებდა ევროპელი ქალაქის იერსახეს, მათთვის არ იყო სხვა შეხედულებები, სხვა ქვეყნის ადამიანებთან აზრის გაზიარება. და ეს სკოლა, მათ გონებას რომ ავითარებდა, ძირფესვიანად ცვლიდა მათ წარმოდგენებს ცხოვრებასა და მთელ გარესამყაროზე და განსხვავებით მორჩილი შრომის ყოველგვარ პირობებზე თანახმა თურქი მუშებისაგან, რომლებიც აქ „რაღაც ჩინური ტომრების მსგავს როლს თამაშობდნენ" (21.3), კრიტიკულად განაწყობდა არსებული მდგომარეობისადმი და ასევე, ატმოსფეროსადმი,

როცა არავის არ აინტერესებდა მუშათა არც შრომის პირობები და დამოკიდებულება თავიანთ მეპატრონეებისადმი... უზარმაზარი ბრბო... საღამოობით ავსებდა ქალაქის ყველა ჯურღმულსა და ქუჩაბანდს, მოკლებული ადამიანურ ყოფასა და არსებობას, ყველაზე ელემენტარულ სანიტარიულ პირობებს... არც მთავრობას, არც ქალაქის თვითმართველობას არაფერი საზრუნავი არ გააჩნდა ამ საქმეში"(18.3-4).

ასეთ პირობებში მუშებში თანდათანობით განმტკიცდა რწმენა, რომ „მათი შრომისა და ჯანმრთელობის ხარჯზე ფირმებმა დიდი კაპიტალი მოიხვეჭეს"..... – ამას მოახსენებდა საგუბერნიო საფაბრიკო ინსპექტორი გუბერნატორს 1902 წელს –..... უკმაყოფილება და გაღიზიანება მეპატრონეთა წინააღმდეგ ერთობ ბევრი დაგროვდა..... საჭირო იყო მუშათა აშკარა გაღიზიანებისა და მათი ერთიანობის სულისკვეთების გამოყენება, რათა საქმე დაწყებულიყო..."(39.184). ამას კი, როგორც რევოლუციური იდეების განხორციელების ნოყიერ ნიადაგს, სოციალ-დემოკრატიამ დროულად მიაპყრო იმედიანი მზერა, აქეთ გამოეშურენ ამ მოძრაობის თავკაცებიც და 1902 წელს აქ დაარსებულმა რსდმპ ბათუმის კომიტეტმა მუშათა მეამბოხე და რევანშით განწყობილ სულისკვეთებას (ხელფასის მომატება, სამუშაო დღის შემცირება, უმუშევართა წარმოებაში დასაქმება - ო.გ.) ორგანიზებული და შემტევი ხასიათი მისცა და უკვე 1902-03 წლებში ბათუმში მომხდარ 38 გაფიცვიდან სადაც 35986 კაცი მონაწილეობდა ქალაქის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ამ ბარომეტზე–ტარის ქარხნებზე–34 გაფიცვა მოდიოდა 35706 კაცის მონაწილეობით. მუშათა მძლავრი რევოლუციური მოძრაობის გაშლა გადაეღობა „სტანდარტ ოილის" მიერ რუსეთის ნავთობის მაგნატების წინაღმდეგ საგარეო ბაზრებისათვის გაჩაღებული ძლევამოსილი ბრძოლის

პირველ რაუნდს და შემდეგ 1905-07 წლების რუსეთის პირველ სახალხო რევოლუციასა და „ნავთობის ომის" ბატალიებში გადაიზარდა.

მას, ერთერთ შედეგად, უცხოურ ტრესტებთან პირშეკრული რუსული ნავთობის პატრონების მარცხი და მათი ბაქოსკენ „სილმეში უკან დახევა და გამაგრება" მაჰყვა. ეს თავისი შედეგების პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ბათუმში თავიდანვე შემდეგნაირად წარიმართა:

1903 წლის აპრილისათვის, საგუბერნიო ხელისუფალთა აღიარებით, „ბათუმის მთელი ხის ყუთებისა და თუნუქის ბიდონების ქარხნებში არანორმალური ვითარება შეიქმნა. ქარხნებში კეთდება ყველაფერი ის, რასაც მოისურვებენ მუშები და არა ქარხნის მეპატრონენიო". ექსპორტიორი ფირმებისა და სანაოსნო საზოგადოებათა ინტერესების გამომხატველი ბრიტანეთის კონსული ბათუმში პ. სტივენსი თავის ანგარიშებში შეშფოთებით წერდა, რომ გაფიცვების წინაშე „ხელასუფლებაც კი განიცდის მნიშვნელოვან სიძნელეებსო", და აქაური მუშების ქცევით გაკვირვებული აღნიშნავდა, რომ ევროპაში „მუშებმა იციან, თუ რა სურთ მათ და თუ მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, მაშინ სამუშაოს უბრუნდებიან... პასუხისმგებლობის გრძნობით", აქ კი ისინი განსაზღვრული დათმობების შემდეგაც აგრძელებენ გაფიცვებს. უფრო მეტიც, საერთო მუშათა გაფიცვას კვალიფიციური (ნავსადგურის) მუშებიც შეუერთდნენ და ეს მას შემდეგ, რაც მათ ხელფასი 100%-ით გაუზარდეს.ო. 1905 წელს, კონსულის თქმით, ვითარება ქალაქში „ცუდიდან უარესობისაკენ წავიდა", ხოლო აპრილისათვის „ქაოსური მდგომარეობა" შეიქმნა, როცა მუშებმა, გაეთიანებულებმა „კარგად... ორგანიზებულ ჯგუფებში,

მკაცრი დისციპლინით", რომელთა შორის არსებობდა" სრული ჰარმონია და აბსოლიტური სოლიდარობა", მეწარმეების მიმართ „წინააღმდეგობის ძალა განსაკუთრებით ეფექტური" გახადესო. ამ „უკიდურესად შფოთიანი პროლეტარიატის" სათავეში მდგარმა ანტისამთავრობო მოძრაობის გამოჩენილმა ხელმძღვანელებმა, – მოახსენებდა ბათუმის დროებითი გენერალ-გუბერნატორი მეფისნაცვალს,– „ფაქტობრივ ქალაქელთა მთელი ცხოვრების მართვა დაიწყეს. ყოველგვარი ვაჭრობა ქალაქსა და ნავსადგურში ჩაქრა... მოსახლეობაში იქმნება დრტვინვა, უკმაყოფილება და რწმენა ხელისუფლების სისუსტისა და უმოქმედობისაც კი". ერთ-ერთი უცხოური სანაოსნო საზოგადოების შეშფოთებული წარმომადგენლის განცხადებით, ნავსადგურის მუშათა პრეტენზიებს საზღვარი არ ჰქონდა და მათი ასეთი ქცევისათვის წამქეზებელი „რევოლუციური კომიტეტის" „უჩინარი სიძლიერე დაუსჯელად, აბუჩად" იგდებდა ხელისუფლებას და „პირდაპირ ტერორიზებული" ჰყავდა ქალაქი. აშშ-ს კონსული ბათუმში მუშათა ამ გამოსვლებს „საშინელ და წარმოუდგენლად ველურ და სასტიკ ვნებათა აფეთქებას" უწოდებდა, „რომელსაც კაცი ჩაიდენს მხოლოდ უკულტურობის მდგომარეობაშიო" და, ამავე დროს, კმაყოფილებას ვერ მალავდა იმით, რომ ეს დარტყმას აყენებდა ბაქოს ნავთობის პრესტისაჟსა და პოზიციებს მსოფლიო ბაზარზე.

1905-06 წლების მიჯნაზე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა დესტაბილიზაციამ ქალაქში თავის აპოგეას მიაღწია. სამეფისნაცვლოს მიერ აქ მოვლენილი ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო ხელისუფალის მოწმობით, „ადმინისტრაცია უძლური და მიუსაფარი იყო... ხელისუფლება შედგებოდა მხოლოდ პირა-

დად სმხედრო გუბერნატორის, მისი თანაშემწისა და პოლიც-მეისტერისაგან. ერობის ჩაფრები, თვით სამხედრო გუბერნატორის პირადი მცველნი გაიქცნენ. ბოქაულები უმოქმედოდ იდგნენ. ქალაქისა და დაბალი ჩინის პოლიციელები ტერორიზებული იყვნენ, ხოლო 1906 წლის დასაწყისში ქალაქი, აქური გაზეთის ცნობით, „ძნელად საცნობი" შეიქმნა „მუშათა გაფიცვების წყალობით... რომლებიც მხარდაჭერას პოულობდნენ „ყოვლისშემძლე საიდუმლო კომიტეტისაგან".

„აქ ყველაფერს დაეუფლა, ყველას ბოიკოტს უწევს საიდუმლო კომიტეტი... ადმინისტრაციულ ხელისუფლებას არ სურს მუშისა და დამქირავებლის საქმეში ჩარევა".

საბოლოოდ ბათუმის ეკონომიკური ცხოვრება უპრეცედენტოდ მოიშალა. „რუსეთში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამეფებული გაფიცვები და უწესრიგობები, წერდა ერთ-ერთი აქ გამომავალი გაზეთი, – მძიმედ აისახა ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ არა ისე, როგორც ბათუმში.... აქ... მოდუნება... თვალსაჩინოდ პროგრესირდება".

ხელისუფლება, რეპრესიული კურსის მიუხედავად, უძლური შეიქმნა თავიდან აეცილებინა მუშათა რევოლუციური „სოციალისტური მოძღვრების ბოროტი თესლიდან ხელოვნურად აღმოცენებული მოძრაობა, რომელიც, მისი აზრით, მიზნად ისახავდა არა იმდენად მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიღწევას... რამდენადაც სახელწიფოში არსებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობის შეცვლას".

მიზნითაც „საიდუმლო საზოგადოებათა ორგანიზაციები დიდი მონდომებით ეკიდებოდნენ გაფიცვებს, ყოველგვარ საშუალებებით უწყობდნენ ხელს მათ და იწვევდნენ" როგორც

უკმაყოფილო პირთა უდიდესი რიცხვის შექმნისა და ხალხისადმი ხელისუფლების უძლურების ჩვენების საშუალებას", რაც „წარმოადგენდა.. მოძრაობის მახინჯ გამოვლენას, მთელ რიგ უაზრო გაფიცვებს, მაშინ როცა მუშებმა მიაღწიეს ყველაზე მაღალ შესაძლებელ ხელფასს, სამრეწველო ბაზრის მდგომარეობით თვით შეუძლებელსაც კი".

ამავე დროს, პირველ ხანებში, მუშებში ანტისამთავრებო განწყობილებათა ფაქტიურ გაღვივებაში, ხელისუფლება ნაკლებად პასუხისმგებლობას როდი აკისრებდა თვით მექარხნეებს. წმინდა კომერციული მოსაზრებებით, კარგი სავაჭრო-საექსპორტო კონიუნქტურის პირობებში, წარმოებათა შეჩერების თავიდან აცილების მიზნით, ისინი ხელისუფლების გვერდის ავლით ხშირად მიდიოდნენ მუშებთან დათმობებზე.

მეფისნაცვლისადმი ქუთაისის გუბერნატორის 1903 წლის აპრილის მოხსენებაში ნათქვამია, რომ, „1902 წლის მარტიდან დღემდე ყველა ქარხანაში ადგილი ჰქონდა მუშათა მიერ მუშაობის შეწყვეტის 30 შემთხვევას, მაგრამ მექარხნეთა მიერ დროული ზომების მიღების შემდეგ, ნაწილობრივი დათმობებით არცერთი გაფიცვა ოფიციალურად არ გამოცხადებულა და მუშათა ყველა უკანონო მოქმედებანი დაუსჯელი დარჩაო".

მანთაშევის ადმინისტრაციის მოქმედებით შეშფოთებული გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორი ხელისუფლებას ფირმებზე ზეგავლენის მოხდენისაკენ მოუწოდებდა, ვინაიდან ქარხნის ადმინისტრაციას მუშებისადმი გაუთავებელი დათმობებით „სრული დემორალიზაცია შეაქვს. ბათუმის საქარხნო რაიონის მუშათა წრეში მუშები არ ღებულობენ ანგარიშწორების წიგნაკებს, არ ასრულებენ ხელშეკრულებებს და მთელ თავიანთ მოქმედებას თვითნებობასა და ძალადობაზე აფუძნებენო". ყველაზე სახიფათოდ, ამ მხრივ, პოლიციის დეპარტამენტი

როტშილდის ადმინისტრაციის ქცევას თვლიდა, რომლის მმართველმა გიონმა ქარხანაში „ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი მოამზადა ყოველგვარი გაფიცვებისა და ანტისამთავრობო უწესრიგობებისათვის.. გიონი ნიადაგ ასრულებდა მუშათა მოთხოვნებს და ადმინისტრაციას უმალავდა უმრავლეს საქარხნო უწესრიგობებს და ჩანს, თანაუგრძნობდა მათ... ქარხანა უმოკლეს დროში ბათუმის რევოლუციური კომიტეტის ბუდედ და თავშესაფრად იქცა".

1904 წლის მეორე ნახევარიდან ბათუმელი მეწარმენი, უცხოური სანაოსნო საზოგადოებები ხელისუფლებას განუწყვეტელი თხოვნით მიმართავდნენ, გადამჭრელ ზომებისაკენ მოუწოდებდნენ. კამპანიაში დიპლომატიური სამსახურიც ჩაერია. ბრიტანეთის კონსული პ.სტივენსი 1905 წლის იანვარში გუბერნატორს განმეორებით თხოვდა დახმარებას „აქაურ პორტში არსებული უაღრესად მწვავე მუშათა საკითხის გამო", რომ არანორმალური ვითარება აქ სატვირთო ოპერაციების ნორმალურ მსვლელობას პარალიზებას უკეთებს" და „ბრიტანეთის გემები მთელი კვირეების მანძილზე ჩერდებიან პორტში ისე, რომ თითქმის არავითარ სამუშაოებს არ აწარმოებენო". ამასვე იმეორებდა ავსტრია-უნგრეთის ვიცეკონსული ჯ.სტივენსი და გუბერნატორს მოუწოდებდა თავისი ქვეყნის ქვეშევრდომთა უსაფრთხოებისა და მათი ინტერესების „დაცვისათვის" ზომების მიღებას, თან ატყობინებდა, რომ მეწარმენი თანახმანი არიან საკუთარ თავზე აიღონ ყველა ხარჯი, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება გემებზე დაცვის დაყენების აუცილებლობა.

სწორედ შექმნილი ვითარების გამომხატველი იყო აქ თვითმართველობის გამგეობისა და სავაჭრო-სამრეწველო ფირ-

მების წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართული თათბირი, სადაც „მუშათა საკითხმა" ფაქტობრივად ცენტრალური ადგილი დაიკავა. ტარის საწარმოთა მეპატრონენი ერთხმად ჩიოდნენ, რომ „ქარხნები პირდაპირ გამოუვალ მდგომარეობაშია: ისინი მთლიანად მუშების ხელთაა, ხოლო მუშათა მოთხოვნებს საზღვარი არ აქვს... ადმინისტრაცია არავითარ დახმარებას არ გვიწევს.." და ეს შეუძლებელს ხდის ოპერაციების წარმოებასო.

„მუშათა საკითხს" მიეძღვნა ადგილობრივ მსხვილ ვაჭარ-მრეწველთა, სანაოსნო საზოგადოებათა და თვითმართველობის წევრთა მონაწილეობით 1905 წლის მარტში გამართული თათბირი, რომელმაც ამ დროს ფინანსთა მინისტრის ეგიდით მოსკოვში მოქმედ იმპერიის სამრეწველო საწარმოებში მუშათა მდგომარეობისა და ყოფის მომწესრიგებელი კომისიის მუშაობაში თავისი ორი წარმომადგენლის დაშვება დაადგინა, ხოლო ადგილზე, კონფლიქტურ სიტუაციას შესანელებლად, მუშებთან მოლაპარაკებაზე წასვლა, დროებითი შერეული კომისიის ორგანიზება გადაწყვიტა. თუმცა თვით მოთათბირეთა აღიარებით, საქმეს მხოლოდ „არსებული კანონმდებლობის ძირეული რეფორმა" უშველიდა. უშედეგოდ დამთავრდა მუშების დამშვიდების მიზნით ფოთის ქალაქის თავის ნ.ნიკოლაძის ვიზიტი ბათუმის ქალაქის თავ ანდრონიკაშვილთან, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა აქ მოღვაწე სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ ლიდერთან კ.ჩხეიძესთან.

საქმიანი წრეების დაუყოვნებელი თხოვნის შედეგი იყო ფინანსთა სამინისტროს მიერ „მუშათა საკითხის განმხილველი განსაკუთრებული სასათბიროს" ბათუმს მოვლინება და შექმნილი ვითარების ადგილზე შესწავლა-რევიზია. მაგრამ

მოვლენებმა მალე დაადასტურეს ამ სხვადასხვა რანგის „კომისიის" უძლურება, ოდნავ მაინც შეენელებინათ აქ სოციალური კონფლიქტი. საბოლოოდ მეწარმენი, მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ. მარტო როტშილდის ქარხანაში მუშათა რაოდენობა 1904 წელს 1901 წელთან შედარებით 63 %-ით გაზარდა; ხოლო დღიური ხეფასი 72%-ით, ეს მაშინ, როცა წარმოებული პროდუქციის მოცულობა აქ არ გაზრდილა. ხოლო საექსპორტო ტარის მთელ მეურნეობაში, 1905 წლის დამდეგს 1902 წელთან შედარებით, ხელფასი 20%-დან 300%-მდე გაიზარდა და ქარხნები სხვადასხვა განყოფილებებისათვის სამუშაო დროის ხანგრძლივობა 10 საათიდან 8 საათამდე, ხოლო ზოგან შემდეგ 6 საათამდე შემცირდა; მუშათა რიცხვი ქარხნებში 30% გაიზარდა, ამასთან დაეცა მუშაობის ხარისხი. –ამაღლდა ნავთობის სავსე ყუთების გემში დატვირთვის ფასი 10დან-40 მანეტამდე (1000 ყუთის), მათი ქარხნებიდან გემებზე მიწოდების ღირებულება–38%-ით, ტრიუმში ჩატვირთვისა –300%-ით რამაც, აბსოლიტურ ციფრებზე გადაყვანით, საქონლის 12 კაპიკით გაძვირება მოგვცა, საბოლოოდ რუსული ნავთობი უცხოეთის ბაზრებზე 20%-ით გაძვირდა. შეირყა ბათუმელ ექსპორტიორთა და მექარხნეთა პოზიციები და რეპუტაცია. დოკერთა „თავგასულობამ" ბათუმის ნავსადგურს „გამოუსწორებელი", „მუდმივი შფოთისა და არეულობის" სახელი დაუმკვიდრა, რასაც, საბოლოოდ, სანაოსნო საზოგადოებათა მიერ ოპერაციების ერთდროული შეწყვეტა, ბათუმის მოქმედი რეისების განრიგიდან ამორიცხვა მოჰყვა. საკუთარი ფლოტის არმქონე მექარხნე-ექსპორტიორებმაც 1905 წლის შუახანებში დახურეს ნავთობის საექსპორტო ტარის საწარმოები, მოახდინეს მათ მოწყობილობათა მნიშვნელოვანი ნაწილის დემონტაჟი და ისინი ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში გადაიტანეს.

„ნავთობის ჭიშკარმა" ფაქტობრივად შეწყვიტა ფუნქციონირება, რამაც შედეგად ის გამოიღო, რომ იმპერიის ისედაც შერყეულმა ხაზინამ 70,2 მილიონი მანეთი იზარალა. იზარალეს რკინიგზებმა (20,5 მლნ მანეთ). ხე-ტყის მრეწველობამ. უზომოდ შეირყა ნავთობის რეალიზაციაზე დაფუძნებული ქალაქის მეურნეობა და ფინანსები. კრიზისი მთელი სისასტიკით ადგილობრივ მოსახლეობას დაატყდა, რომლის ოჯახურ ბიუჯეტს ტარის დამზადების, მისი გემებზე დატვირთვისათვის ყოველწლიური ხელფასის სახით 2-3 მილიონი მანეთი მოაკლდა. უმუშევარი დარჩა 4718 კაცი,ოლქის მუდმივად დასაქმებულ მუშათა 94%, რისი შედეგი ძალზე ტრაგიკული გამოდგა... მუშა დაუბრუნდა უკან გურია-სამეგრელოს სოფლებს, ბევრი მათგანი შემდეგ წლებში „ექსპროპრიაციებს" მიეტანა და ციმბირი ხანგძლივ ბინად გაიხადა. ქალაქში 1906 წლის შუა ხანებში 2000-მდე უმუშევარი დარჩა, რომელთა ნაწილი, უკიდურესი სიღატაკის გამო, ჯარისკაცთა ულუფის ნარჩენებით იკვებებოდა და რამდენიმე მათგანის შიმშილით სიკვდილსაც ჰქონდა ადგილი.

მომხდარმა ფაქტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია იმთავითვე, მიზეზების ძიებისას, უმრავლეს შემთხვევაში მთავარ სამიზნედ არჩეული იქნა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, რევოლუციური იდეები „წმინდა აზიური ექცესებითა და სამხრეთული ტემპერამენტის უკიდურესობით", ნ. ნიკოლაძის სიტყვებით „მოკლეს ოქროს ქათამი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობისათვის ოქროს კვერცხს დებდაო". უფრო შორს წავიდა ბათუმის ოლქის, ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ოკრუგის უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი დ.სუშჩევსკი: „ბათუმსა და ბაქოში გაფიცვების გეგმიური ორგანიზაცია, დიდი ფულადი სახსრები, რომლითაც მომარაგებული იყვნენ მუშები,

ასევე ბათუმში ხომალდების შემოსავლის დროისა და მათი დანიშნულების ზუსტი ცოდნა მიუთითებენ იმაზე, რომ გაფიცვები ორგანიზებული იყო დიდი კაპიტალის მქონე ხალხის მიერ, რომელთა ინტერესები მოითხოვდა ნავთის ექსპორტის განადგურებას...'' და ასეთებად ასახელებდა „სტანდარტ ოილ კომპანიას'', ნავთის ევროპულ საზოგადოებასა და ინგლისურ კომპანიებს.

1906 წლის დასაწყისში შეზღუდული მასშტაბით მუშაობა განაახლა რამდენიმე საექსპორტო ფირმამ და ტარის ორმა ქარხანამ, სადაც 470-მდე მუშა დასაქმდა. პრესა მუშებს თავშეკავებისა და რეალიზმისაკენ მოუწოდებდა, რადგან დაკარგულ ბაზრების „ხელახალი მოპოვება... დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, ხოლო მეწარმე კაპიტალის დახარჯვაზე წავა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ.... ის უკან დაბრუნდება მოგებით... ბაქოში პროდუქტებზე არსებული მაღალი ფასების პირობებში.... ფირმა ეკონომიას გააკეთებს რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხოლო 8-საათიანი სამუშაო დღე და გაფიცვამდელი ხელფასი ცუდად ესადაგება ეკონომიის ცნებას. თუ მუშებს სურთ, რომ ქარხნები თანდათან გაიხსნას, მათ არ უნდა წამოაყენონ მიუღებული მოთხოვნები-ო'', რევოლუციის ახალი კოშმარით შეშინებული ადგილობრივი ხელისუფლება მუშებს ახალი სამუშაო ადგილების გამოძებნით აშშვიდებდა. ასეთად გათვალისწინებული იყო სახერხი ქარხანა, რომელიც სადგურ ნატანებთან შენდებოდა. ტყეში სამუშაოებისთვის საჭირო იყო 200 მუშის რაოდენობა და სახერხი ქარხნისათვის 40-50 კაცის ადგილი მხოლოდ ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების ყოფილი მუშებით უნდა შევსებულიყო. გამომდინარე აქ ნავთობის საექსპორტო ტარის საწარმოთა წელში გასამართავად. მთავრობის მხრი-

დან დახმარებას ისახავდა მიზნად თვითმართველობის წარმომადგენელთა მონაწილეობა 1907 წლის დასაწყისსი ფინანსთა სამინისტროს ეგიდით რკინიგზის საქმეთა დეპარტამენტისა და ნავთობმრეწველ-ექსპორტიორთა თათბირში, მიძღვნილს ა/კ რკინიგზაზე ტარიფის შემცირებისადმი. ქალაქის თავმა ივანე ანდრონიკაშვილმა მხარი დაუჭირა რა მის 19-დან 10 კაპიკამდე შემცირებას, თავის მხრივ, ბათუმიდან ნავთობის ტარით ექსპორტზე განსაკუთრებული, შეღავათიანი ტარიფის შემოღების საკითხი დასვა. მისი მტკიცებით, საუკეთესო შემთხვევაში, სპეციალური, უფართოესი ბაზრებისა და უფრო მაღალი ღირებულების მქონე სატარო სისტემა სანავსადგურო-საბაჟო გადასახადებით განუწყვეტლივ უზრუნველყოფდა სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის ზრდას, სამამულო ხე-ტყის მრეწველობის პროდუქციის გასაღებას, მრავალათასიანი მუშახელის დასაქმებასა და ყოველწლიურად 3 მილიონი მანეთის უცხოური კაპიტალის მიღებას. ხოლო, სხვაგვარად, ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში მოქმედ ანალოგიურ პროფილის საწარმოებთან უკიდურესად არათანაბარ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი ქარხნები უძლური იქნებიან აღიდგინონ და განიმტკიცონ პოზიციებიო. შუამდგომლობა არავინ მოიწონა – თვით „ბნიტოსა" და მანთაშევის ფირმის წარმომადგენლებმაც. ხელისუფლებისა და საქმიანი წრეების დამოკიდებულება ექსპორტის ამ საშუალებისადმი მრავალისმთქმელად გამოხატა ნავთობმრეწველობის ყრილობის თავჯდომარემ პ.გუკასოვმა: „ტარით ნავთობპროდუქტების ვაჭრობის საშუალება არქაულია და ბუნებრივად უნდა დაუთმოს ადგილი გადასხმას, ამიტომ საჭირო არ არის ვაჭრობის ამ საშუალებისადმი ხელოვნური ზომებითა და შეღავათებით მხარდაჭერა". მართლაც, მსოფლიო ბაზარზე

და მსოფლიოს მეურნეობაში მომხდარ ძირეული ძვრები ძნელად ექვემდებარებოდა ხელოვნური ზემოქმედებას, აქ როლები უკვე განაწილებული იყო. 1910-იან წლებში ნავთობის პროდუქტების საექსპორტო ჭურჭლეულის საწარმოო დაწესებულების ერთგვარი გამოცოცხლება ძლიერ შორს აღმოჩნდა ადრინდელი ხანისაგან.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის ცენტრალური არქივი (შემოკლებით აცა), ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 28.

2. აცა, ფ. 1, ანაწ. 1, საქ. 143.

3. აცა, ფ. 1, ანაწ. 1, საქ. 144.

4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემოკლებით სცსსა), ფ. 12, ანაწ. 16, საქ. 156.

5. სცსსა, ფ. 13, ანაწ. 30, საქ. 1.

6. სცსსა, ფ. 1, ანაწ. 1, საქ. 193.

7. სცსსა, ფ. 7, ანაწ. 1, საქ. 414.

8. სცსსა, ფ. 7, ანაქ. 1, საქ. 431.

9. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (შემოკლებით ასმხფ) №2, საქ. 60.

10. ასმხფ, ფ. 4, საქ. 4.

11. ასმხფ, ფ. 4, საქ. 23.

12. ასმხფ, ფ. 4, საქ. 108.

13.Обзор батумской области за 1910, батуми, 1912.

14. Газета «нефтяное дело», №8, 1907.

15. Газета «Черноморский вестник» №137 1904.

16. Газета «кавказ» №76, 1905.

17. Газета «Черноморский вестник», №4, 1906.

18.„————————" №5, 1906.

19.„————————" №7, 1906.

20. „————————" №8, 1906.
21.„————————" №15,1906.
22. „————————" №16,1906
23. „————————" №39, 1906.
24. Газета «Ватум» №41, 1905.
25. Газета «Черноморский вестник», №44, 1906.
26. „————————" №51, 1906.
27. „————————" №122, 1906.
28. Газета «Батумские вести», №803, 1912.
29. Газета «Батумская Правда», №2, 1912.
30. Н. Николадзе, полукопечний сбор, Поти, 1908.
31. Ватумское побережье, Ватум, 1912.
32. დ. ღამბაშიძე, ჩვენი ქვეყნის უცხოეთთან ვაჭრობის მიმოხილვა 1884-1912 წლამდე. ლონდონი, 1914.
33.პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა საქართველოს და ამიეერკავკასიაში. თბ., 1941.
34. ნ. ტყემელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864-1920). თბ., 1958.
35. პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890-1914 წწ). ბათუმი; 1959.
36. А. А. Фурсенко, Нефтяные трести и мировая политика в 1880-1912 гг, М. – Л , 1965.
37. ვ. ჯაოშვილი, ბათუმი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნაკრები. თბ., 1966.
38. ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში. თბ., 1968.
39. А. А. фурсенко, династия рокфеллерои Л ., 1970.
40. გრ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი. 1864-1917. თბ., 1976.
41. ქ. მუშკუდიანი, ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატის რევოლუცია დასავლეთ საქართველოში (1880-1914 წწ) თბ., 1982.

Summary

In the beginning of XX century Batumi became "a gateway of the oil" of Baku and main export point, where were founded dozens of export trade companies and the largest monopolist firms of the oil (Rotshild, Nobel, Mantashev). In the conditions of profitable and marketable conjuncture, they became magnates of export of the oil by energetic operations. Abovementioned firms subordinated the functionality of the solid factories related to oil export, which were equipped with an excellent technics. Batumi, "city with the future of New York of Caucasus», was involved in the world market and it was growing like "fabulous giant". Batumi gradually was standing in the row of the ports of world importance.

Summary

The work contains articles, in which is described many novelties and notable events. There is notable information about the past of the south-west Georgia in these articles. Articles deals with turbulent and fervent historical events of XIX-XX centuries. Some of the events were so important that the world society was attracted. Articles deal with different issues, namely colonial policy of tsarism in Adjara, an effective work of society for the spreading of Christianity, political end economic situation in the district of Batumi, which had place at the beginning of XX century, Frenchmen's activities in this region(some aspects of Frenchmen's activities is not known for society and reader will know many interesting facts about this issue), 1920-1921 density, many unknown facts about anti-Soviet movement.

The work is intended for wide circle of readers.

სარჩევი

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ბათუმის ოლქში 3
About Some Aspects of Tsarist Colonial Policy in Batumi Region 14

ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მოღვაწეობა ბათუმის ოლქში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში 16
The activity of the Christian Society for the restoration of the Christianity in the Batumi District in the 80-90th of the XIX century 29

ფრანგები ბათუმში 30
The French in Batumi 38

სამართლებრივი მდგომარეობა აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში 39
The Law Situation in Adjara during Oscan Domination 53

ქალაქ ბათუმის თვითმართველობის ისტორიიდან 54
From the history of Batumi's self-government 66

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ბათუმში 1905 წელს 67
Political Parties in Batumi, 1905 75

ბათუმი-კულტურათა დიალოგის ცენტრი (XIX-XX ს.ს.) 77
Batumi-Cultural Dialogue Center (XIX-XX cc) 91

გერმანელები აჭარაში 92
The Germans in Adjara 114

ბათუმის ოლქი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში 115
Batumi Region – the Member of the Democratic Republic 143

აჭარა ბობოქარ 1922-1924 წლებში 144
Adjara during the years 1922-1924 154

1924 წლის აგვისტოს დღეები აჭარაში 155
August of 1924 in Adjara 164

სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ბათუმში XX საუკუნის დასაწყისში 165
Social-economic situation in Batumi in the beginning of XX century 182

From Batumi history 183